# თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო მაგისტრალის ნატახტარი-აღაიანის 27-43კმ მონაკვეთის რეკონსტრუქცია

## მონიტორინგის ანგარიში

თბილისი
2009

ანგარიში მომზადებულია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ პროექტის - **"საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე გამოყოფილი საბიუჯეტო თანხების მონიტორინგი"** - ფარგლებში, ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველო"-ს ფინანსური მხარდაჭერით

ფონდი "ღია საზოგადოება-საქართველო"
OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION

საჯარო ფინანსების გამჭვირვალობისთვის
FOR TRANSPARENCY OF PUBLIC FINANCE
TPF

ავტორი: **თამარ ჩუგოშვილი**

რედაქტორი: **ხათუნა ყვირალაშვილი**

ტექ. რედაქტორი: **ირაკლი სვანიძე**

გამოცემაზე პასუხისმგებელი: **თამარ ხიდაშელი**

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
საია GYLA
Georgian Young Lawyers' Association

აიწყო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.
კრილოვის ქ.15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 95 23 53, 93 61 01
ტირაჟი: 300 ც.

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

© 2009, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

# შინაარსი

წინასიტყვაობა ........................................................................................ 4

შესავალი .................................................................................................. 5

მზადება ავტომაგისტრალის ნატახტარი-ალაიანის მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქციისათვის ............................ 5

ა) მშენებლობა-რეკონსტრუქციის დაფინანსება ................................... 5

ბ) სახელმწიფო შესყიდვების გეგმები ..................................................... 7

ტენდერი №1 – ნატახტარი-ალაიანის მონაკვეთის I რიგის სამუშაოების შესყიდვა .................................................. 7

ა) ტენდერის გამოცხადება ........................................................................ 8

ბ) ტენდერის შესახებ განცხადების გამოქვეყნება ................................ 9

გ) ტენდერის I ეტაპი — მონაწილეობის მსურველები .......................... 10

დ) ტენდერის II ეტაპი — წინადადებების განხილვა და შეფასება ...... 12

ე) გამარჯვებული კომპანიის გამოვლენა ............................................. 20

ვ) დასკვნა ........................................................................................................ 25

I რიგის სამუშაოს შესრულება .................................................................. 26

ტენდერი №2 – ნატახტარი-ალაიანის მონაკვეთის II რიგის სამუშაოების შესყიდვა ................................................. 27

ა) განცხადება ტენდერის შესახებ ........................................................... 27

ბ) ტენდერის I ეტაპი — მონაწილეობის მსურველები .......................... 27

გ) ტენდერის II ეტაპი — წინადადებების განხილვა და შეფასება ...... 29

დ) ტენდერის გამარჯვებულის გამოვლენა ........................................... 31

II რიგის სამუშაოს შესრულება ................................................................. 33

განათების სამუშაოების შესყიდვა ........................................................ 33

დასკვნა ....................................................................................................... 35

დანართები ................................................................................................. 36

# წინასიტყვაობა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია 2008 წლის ივლისიდან ახორციელებს პროექტს *„საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე გამოყოფილი საბიუჯეტო თანხების ხარჯვის მონიტორინგი“*. პროექტი ხორციელდება ფონდ **„ღია საზოგადოება – საქართველოს“** ფინანსური მხარდაჭერით, „საჯარო ფინანსების გამჭვირვალობისათვის“ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კოალიციის ფარგლებში.[1]

საქართველოს მთავრობის ძირითად სტრატეგიულ მიმართულებებში ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების რეაბილიტაციასა და მშენებლობას. საკითხი პრიორიტეტულ მიმართულებად არის განსაზღვრული საქართველოს მთავრობის 2007-2010, 2008-2011 წლების საშუალოვადიან სტრატეგიებში.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილი მონიტორინგი მოიცავს სამ მიმართულებას:

- საქართველოში პირველი ჩქაროსნული გზატკეცილის — თბილისი-სენაკი-ლესელიძის ფარგლებში საბიუჯეტო თანხების ხარჯვის მონიტორინგი;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზღვრებში მდებარე ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების რეაბილიტაციის სამუშაოებზე ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო თანხების ხარჯვის მონიტორინგი;
- საქართველოს მთავრობასა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის/სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანიებს შორის *ზოგიერთი სახელმწიფო გზის რეაბილიტაციის შესახებ* 2007 წლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული 10 მილიონიანი გრანტის ხარჯვის მონიტორინგი.

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებას პირდაპირ უკავშირდება ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპი, უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციები, ქვეყანაში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის ზრდა და ათვისება, ტურიზმის განვითარება. შესაბამისად, მაღალია თავად საზოგადოების ინტერესი ამ კუთხით საქართველოს მთავრობის საქმიანობისა და მიღწეული შედეგების მიმართ.

წარმოდგენილი ანგარიში მოიცავს საქართველოში პირველი ჩქაროსნული გზატკეცილის – თბილისი-სენაკი-ლესელიძის ნატახტარი-ალაიანის 27-43კმ მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქციის პროცესის მონიტორინგის შედეგებს.

საქართველოს სინამდვილისათვის „ავტობანი“ ნოვატორულია თავისი მასშტაბებისა და ცემენტო-ბეტონის საფარის თვალსაზრისით. გარდა ამისა, მისი განხორციელება საკმაოდ დიდი საბიუჯეტო სახსრების ათვისებასთან არის დაკავშირებული. წინასწარი გათვლებით,[2] პროექტი, რომლის მშენებლობის დასრულება 2010 წლისათვის არის ნავარაუდევი, საჭიროებს 2 მილიარდ ევროს.

წარმოდგენილი დოკუმენტის საშუალებით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია მიზნად ისახავს, საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია პირველი ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ნატახტარი-ალაიანის 27-43კმ მონაკვეთზე ჩატარებული შესყიდვების პროცედურების მიმდინარეობისა და ამ პროცესში გამოვლენილი ხარვეზების შესახებ. გარდა ამისა, ვფიქრობთ, საზოგადოებისათვის საინტერესო იქნება აღნიშნული მონაკვეთის მშენებლობის სამართლებრივი და ფინანსური ანალიზი.

სახელმწიფოს მიერ საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების ფარგლებში შესრულებული სხვადასხვა სამუშაოს ეფექტურობის სიღრმისეულ კვლევას საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია მომავალშიც შემოგთავაზებთ.

---

[1] კოალიციის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ „საჯარო ფინანსების გამჭვირვალობისათვის“ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კოალიციის ინტერნეტ-გვერდზე: www.piblicfinance.ge .

[2] საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდის მონაცემები: www.georoad.ge .

# შესავალი

2005 წელს საქართველოს მთავრობამ ხანგრძლივი და ძვირადღირებული პროექტის განხორციელება გადაწყვიტა. საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 15 სექტემბრის №554 ბრძანებულებით – *„საქართველოს საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“* – თბილისი-სენაკი-ლესელიძის 552 კილომეტრი სიგრძის საავტომობილო მაგისტრალი №1 მნიშვნელობის გზად გამოცხადდა და ქვეყნის მთავარი საავტომობილო მაგისტრალის მშენებლობა-რეკონსტრუქციისთვის მზადება დაიწყო.

აღნიშნული პროექტი საქართველოსათვის მნიშვნელოვანი წამოწყებაა. მაღალი სტანდარტების შესაბამისი საავტომობილო მაგისტრალის არსებობას შეუძლია სერიოზული წვლილი შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ გზის რეკონსტრუქციის პროცესი ხანგრძლივი, რთული და ძვირადღირებულია, არსებობს საფრთხე, რომ რესურსები შეიძლება არაეკონომიურად, არაეფექტურად ან, თუნდაც, კორუფციულად განიკარგოს. აღნიშნული გზის რეკონსტრუქცია ხორციელდება სახელმწიფოს მიერ იმ სახსრებით, რომელიც მას საზოგადოებამ მიანდო. ეს რესურსები საქართველოს მოქალაქეებს ეკუთვნით, იხარჯება საქართველოს მოქალაქეების დაკვეთით და სახელმწიფოც ანგარიშვალდებული, სწორედ, მოქალაქეების წინაშეა. შესაბამისად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი კონტროლის როლი, აუცილებელია პროცესების ობიექტური შესწავლა, მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზი და მიღწეული შედეგების შეფასება. ამგვარი საქმიანობა იძლევა საშუალებას:

- ობიექტურად შეფასდეს სახელმწიფოსადმი მინდობილი რესურსების განკარგვის ეფექტურობა;
- დაისვას დაშვებული შეცდომების გამოსწორების საკითხი; და
- მოთხოვნილ იქნეს საუკეთესო შედეგი მინიმალური დანახარჯებით.

საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესის დასაკმაყოფილებლად, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ გადაწყვიტა თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო მაგისტრალის ნატახტარი-აღაიანის 16 კილომეტრიანი ზოლის მშენებლობა-რეკონსტრუქციის **80 500 000 ლარიანი** პროექტის ფინანსური და სამართლებრივი მონიტორინგის განხორციელება. წარმოდგენილი ანგარიში ასახავს თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო მაგისტრალის ნატახტარი-აღაიანის მონაკვეთის მშენებლობის სამართლებრივ და ფინანსურ ანალიზს.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მონიტორინგის განხორციელებისას, ეყრდნობოდა მხოლოდ საჯარო დაწესებულებებიდან კანონის საფუძველზე ოფიციალურად გამოთხოვნილ დოკუმენტაციას. შესაბამისად, მოგვეპოვება ქვემოთ მოყვანილი ყოველი მონაცემის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი.

ვიმედოვნებთ, რომ წარმოდგენილი ანგარიში სახელმწიფო უწყებებს დაეხმარება, მომავალში უფრო ეფექტურად და წარმატებულად განახორციელონ თავიანთი საქმიანობა.

# მზადება ავტომაგისტრალის ნატახტარი-აღაიანის მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქციისათვის

## ა) მშენებლობა-რეკონსტრუქციის დაფინანსება

2005 წელს საქართველოს მთავრობის განკარგულებით[3] – „თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 27-43კმ (ნატახტარი-აღაიანი) მონაკვეთის ჩქაროსნულ ავტომაგისტრალად რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის (მშენებლობის) ღონისძიებათა შესახებ“ – თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის ოთხზოლიან ჩქაროსნულ ავტომაგისტრალად გარდაქმნის პროცესი აქტიურ ფაზაში შევიდა.

[3] საქართველოს მთავრობის 2005 წლის №580 განკარგულება „თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 27-43კმ (ნატახტარი-აღაიანი) მონაკვეთის ჩქაროსნულ ავტომაგისტრალად რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის (მშენებლობის) ღონისძიებათა შესახებ“.

გადაწყდა თბილისი-სენაკი-ლესელიძის ნატახტარი-აღაიანის 27-43კმ მონაკვეთის 16 კმ-იანი ზოლის რეკონსტრუქცია.

აღნიშნული პროცესი ორ ძირითად ნაწილად დაიყო:

- უპირველეს ყოვლისა, უნდა განხორციელებულიყო პირველი რიგის რეკონსტრუქცია;
- მოგვიანებით კი – მეორე რიგის მშენებლობა.

შესაბამისად, 2006-2007 წლების განმავლობაში უნდა განხორციელებულიყო თბილისი-სენაკი-ლესელიძის 27-43კმ მონაკვეთის პირველი რიგის გადაკეთება ოთხზოლიან მაგისტრალად, ხოლო მონაკვეთის მეორე რიგისა – 2007-2008 წლებში.

თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო მაგისტრალის მშენებლობა-რეკონსტრუქციის პროცესში საქართველოს სახელმწიფოს საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიც უჭერენ მხარს, მაგალითად, მსოფლიო ბანკი აქტიურად აფინანსებს ზემოაღნიშნული მაგისტრალის მშენებლობას. თუმცა, თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო მაგისტრალის ნატახტარი-აღაიანის 16 კილომეტრიანი მონაკვეთის რეკონსტრუქცია მთლიანად საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით დაფინანსდა.

2006 წელს, სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით, პირველად დაიწყო საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ მიზნით თანხის გამოყოფა. ამ წლის სახელმწიფო ბიუჯეტის თანახმად, ნატახტარი-აღაიანის 16 კილომეტრიანი მონაკვეთის პირველი რიგის მშენებლობისთვის **46 847 000 ლარი** იქნა გათვალისწინებული.

2006 წლის ბოლოსათვის აღნიშნული თანხიდან ათვისებულ იქნა **46 207 000 ლარი,** ანუ ბიუჯეტით გათვალისწინებულ თანხაზე **640 000 ლარით** ნაკლები.

ნატახტარი-აღაიანის მონაკვეთის რეკონსტრუქციის ხარჯების დაფინანსება გათვალისწინებული იყო 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტშიც. კერძოდ, 2007 წლის ბიუჯეტის[4] თანახმად, თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 27-43კმ მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციისათვის გათვალისწინებული იყო **33 000 000 ლარი**. აღნიშნული თანხიდან 2007 წელს ათვისებულ იქნა **28 116 000 ლარი**, ანუ დაგეგმილზე **4 884 000 ლარით** ნაკლები.

ნატახტარი-აღაიანის მონაკვეთის რეკონსტრუქციის სამუშაოების დასრულება 2008 წლის განმავლობაშიც ხორციელდებოდა. კერძოდ, 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში[5] თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 27-43კმ მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციისათვის გათვალისწინებულ იქნა **7 065 000 ლარი**.

| წელი | გამოყოფილი თანხა | ათვისებული თანხა | ნაშთი |
|---|---|---|---|
| 2006 | 46 847 000 ლარი | 46 207 000 ლარი | 640 000 ლარი |
| 2007 | 33 000 000 ლარი | 28 116 000 ლარი | 4 884 000 ლარი |
| 2008 | 7 065 000 ლარი | 6 265 000 ლარი | 800 000 ლარი |
| **სულ** | **86 912 000 ლარი** | **80 588 000 ლარი** | **6 324 000 ლარი** |




[4] 43-ე მუხლის საორგანიზაციო კოდი – 26 14 01 02 04.
[5] 39-ე მუხლის საორგანიზაციო კოდი – 26 11 01 02 04.

ეს თანხები განკუთვნილი იყო თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო მაგისტრალის ნატახტარი-აღაიანის 27-43კმ მონაკვეთის ორივე რიგის რეკონსტრუქციისათვის. შესაბამისად, აღნიშნული თანხებით დაფინანსდა 16 კილომეტრიანი მონაკვეთის სრული მშენებლობა-რეკონსტრუქცია.

**ბ) სახელმწიფო შესყიდვების გეგმები**

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი[6] ადგენს: *„შემსყიდველი ორგანიზაცია შესყიდვებს ახორციელებს წინასწარ განსაზღვრული და დამტკიცებული წლიური გეგმის შესაბამისად... შესყიდვის წლიურ გეგმას ამტკიცებს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი და წარუდგენს სააგენტოს.“*

ამრიგად, ყოველი შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, ყოველწლიურად განსაზღვროს და დაამტკიცოს სახელმწიფო შესყიდვის გეგმები, რომლებშიც განსაზღვრული იქნება წლის განმავლობაში დაგეგმილი შესყიდვები.

თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო მაგისტრალის ნატახტარი-აღაიანის რეკონსტრუქციისათვის აუცილებელი შესყიდვები გათვალისწინებულია საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2006, 2007 და 2008 წლების შესყიდვის გეგმებში:

- **საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ შემუშავებული 2006 წლის** სახელმწიფო შესყიდვების გეგმის მიხედვით, გათვალისწინებული იყო თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს/გზის 27(0,6)-43(0,3) კმ მონაკვეთის მოდერნიზაცია-მშენებლობის სამუშაოს შესყიდვა 35 300 000 ლარის ფარგლებში;
- **საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ შემუშავებული 2007 წლის** სახელმწიფო შესყიდვების გეგმა ითვალისწინებდა თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს/გზის 27(0,6)-43(0,3)კმ მონაკვეთის I რიგის მოდერნიზაცია-მშენებლობის სამუშაოს შესყიდვას 46 320 000 ლარის ფარგლებში; ასევე, II რიგის სამუშაოების შესყიდვას 31 992 400 ლარის ფარგლებში;
- **საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2008 წლის** სახელმწიფო შესყიდვების გეგმის მიხედვით, თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს/გზის 27(0,6)-43(0,3)კმ მონაკვეთის მოდერნიზაცია-მშენებლობის სამუშაოების შესყიდვისათვის გათვალისწინებული იყო 6 761 100 ლარი; 16-24კმ მონაკვეთში წყლის აცილების მიზნით ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოებისათვის – 458 500 ლარი.

ამრიგად, სახელმწიფომ უზრუნველყო საავტომობილო გზების დეპარტამენტი საჭირო თანხებით, სხვა რესურსებითა და მხარდაჭერით და გადააბარა ამ პროცესის წარმართვის და ზედამხედველობის პასუხისმგებლობა.

## ტენდერი №1 – ნატახტარი-აღაიანის მონაკვეთის I რიგის სამუშაოების შესყიდვა

საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მისი საქმიანობის მანძილზე ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებას 2006 წლის დასაწყისში შეუდგა. დეპარტამენტის გათვლებით, პროექტის ღირებულება 35 000 000 ლარს აჭარბებდა. შესაბამისად, მისი განმახორციელებელი კომპანიის შერჩევა მხოლოდ ტენდერის მეშვეობით იყო დასაშვები, რადგან „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, ნებისმიერი სამუშაოს შესყიდვა, რომლის ღირებულება აღემატება 200 000 ლარს, უნდა განხორციელდეს ტენდერის მეშვეობით.

საავტომობილო გზების დეპარტამენტის სატენდერო კომისიამ მიიღო ორ ეტაპიანი ტენდერის გამოცხადების[7] გადაწყვეტილება, რომელიც სახელმ-

[6] „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი.

[7] საავტომობილო გზების დეპარტამენტის სატენდერო კომისიის 2006 წლის 9 იანვრის №1 სხდომის ოქმში მითითებული იყო, რომ ცხადდებოდა „ღია საერთაშორისო ტენდერი“.

წიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-20 მუხლის თანახმად: *„შეიძლება ჩატარდეს იმ შემთხვევაში, როდესაც შესყიდვის ობიექტის თავისებურებიდან გამომდინარე, შეუძლებელია ყველა ეკონომიკური და ტექნიკური პირობის წინასწარ განსაზღვრა და შემსყიდველ ორგანიზაციას აუცილებლად მიაჩნია ტენდერის პირველ ეტაპზე პრეტენდენტებთან მოლაპარაკება ტექნიკური მაჩვენებლების, ეკონომიკური და სხვა მონაცემების დაზუსტების მიზნით."*

ტენდერის შესახებ გამოქვეყნდა შესაბამისი განცხადება, რომელზეც მომდევნო ქვეთავში ვისაუბრებთ.

### ა) ტენდერის გამოცხადება

2006 წლის 9 იანვარს ჩატარდა საავტომობილო გზების დეპარტამენტის სატენდერო კომისიის პირველი სხდომა (იხ. დანართი №1), რომელზეც დამტკიცდა:[8]

1) თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო მაგისტრალის ნატახტარი-აღაიანის მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოების შესყიდვაზე ღია საერთაშორისო ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების ტექსტი;

2) აღნიშნული ტენდერისათვის პირველადი სატენდერო დოკუმენტაცია;

3) პრეტენდენტთა შეფასების ძირითადი კრიტერიუმები.

სხდომაზე სატენდერო კომისიამ გადაწყვიტა, სამ ლოტად დაეყო შესყიდვის ობიექტი და ტენდერი გამოაცხადა შემდეგი მომსახურების შესყიდვაზე:

**ლოტი I** — თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ.30-კმ.37 მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოები;

**ლოტი II** — თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ.37-კმ.43 მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოები;

**ლოტი III** — თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ.27-კმ.30 მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოები.

სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის თანახმად, სატენდერო კომისიამ განსაზღვრა პრეტენდენტთა შერჩევის ძირითადი კრიტერიუმები.

| *№* | *შეფასების კრიტერიუმი* | *პრიორიტეტის კოეფიციენტი* |
|---|---|---|
| **I** | **ტექნიკური ნაწილი** | **0.3** |
| | 1) პრეტენდენტის კონკრეტული გამოცდილება და ძირითადი მომსახურე პერსონალის გამოცდილება — 35% | 0.105 |
| | 2) შემოთავაზებული პროგრამა — 30% | 0,09 |
| | 3) ტექნიკური აღჭურვილობა — 35% | 0,105 |
| **II** | **ფინანსური ნაწილი** | **0.7** |

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საერთოდ არ იცნობს „ღია საერთაშორისო ტენდერის" ცნებას. „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულებაში ნახსენებია „ღია ტენდერი", თუმცა, არ არის მოცემული მისი განმარტება. ამ ცნების არსებობა დებულებაში გარკვეულწილად კანონთან წინააღმდეგობაში მოდის. ხოლო რაც შეეხება „საერთაშორისო ტენდერს", სახელმწიფო შესყიდვის ეს ფორმა საქართველოს კანონმდებლობაში საერთოდ არ არსებობს. ამრიგად, საავტომობილო გზების დეპარტამენტმა ტენდერის გამოცხადებისას შესაბამის დოკუმენტაციაში, „ორეტაპიანი ტენდერის" ნაცვლად, სრულიად გაუგებარი „ღია საერთაშორისო ტენდერი" გამოაცხადა, რასაც საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

[8] საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სატენდერო კომისიის 2006 წლის 9 იანვრის №1 სხდომის ოქმი.

## ბ) ტენდერის შესახებ განცხადების გამოქვეყნება

საქართველოს კანონმდებლობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ტენდერის შესახებ განცხადების გამოქვეყნებისა და ინფორმაციის სათანადოდ გავრცელების პროცედურას, რადგან ასეთი მნიშვნელოვანი ტენდერების დროს აუცილებელია, რომ ინფორმაციამ გამოცდილ, კვალიფიციურ კომპანიებამდე მიაღწიოს და მოიზიდოს ისინი მონაწილეობის მისაღებად.

ბუნებრივია, შემსყიდველ ორგანიზაციას მხოლოდ მაშინ აქვს საშუალება საუკეთესო პრეტენდენტი შეარჩიოს, როდესაც ფართო არჩევანი აქვს.

ამასთან დაკავშირებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-12 მუხლი ადგენს:

*„1. ტენდერის ჩატარებისას სატენდერო კომისია შემსყიდველი ორგანიზაციის სახელით ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებას აქვეყნებს:*

*ა) სააგენტოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განსაზღვრულ საინფორმაციო საშუალებაში;*

*ბ) ვაჭრობის საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებულ ერთ-ერთ ენაზე, უცხო ქვეყნების იმ პერიოდულ ან სპეციალიზებულ გამოცემებში, რომლებიც ფართოდ ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და ამ განცხადებას უგზავნის საქართველოში აკრედიტებულ უცხო ქვეყნების დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგენლობებს, თუ შესასყიდი საქონლის ან მომსახურების სავარაუდო ღირებულება აღემატება 600 000 ლარს, ხოლო სამუშაოს სავარაუდო ღირებულება — 8 000 000 ლარს".*

**ამრიგად, 8 000 000 ლარზე მეტი ღირებულების მომსახურების შესაძენად ტენდერის ჩატარებისას განცხადება ტენდერის თაობაზე, ადგილობრივ მედია საშუალებასთან ერთად, უნდა გამოქვეყნდეს უცხო ქვეყნების იმ პერიოდულ ან სპეციალიზებულ გამოცემებში, რომლებიც ფართოდ ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით.**

კანონის ამ მოთხოვნის საფუძველზე, საავტომობილო გზების დეპარტამენტის სატენდერო კომისიამ 2006 წლის 9 იანვრის სხდომაზე გადაწყვიტა, განცხადება ტენდერის შესახებ გამოქვეყნებულიყო გაზეთ „24 საათში", გაზეთ „The Messenger"-ში, ასევე, დაგზავნილიყო საქართველოში აკრედიტებულ უცხო ქვეყნების დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგენლობებში.

კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად, განცხადება გაზეთ „24 საათის" 2006 წლის 11 იანვრის ნომერში და გაზეთ „The Messenger"-ში გამოქვეყნდა.

აღსანიშნავია, რომ გაზეთი „The Messenger" არ წარმოადგენს **უცხო ქვეყნების იმ პერიოდულ ან სპეციალიზებულ გამოცემას, რომელიც ფართოდ ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით.** იგი თბილისის მხოლოდ 90%-ს ფარავს და ადგილობრივ გაზეთად ითვლება, იმ განსხვავებით, რომ ინგლისურენოვანია და სასტუმროებში ვრცელდება. შესაბამისად, ჩვენი აზრით, ინფორმაციის „The Messenger"-ში გამოქვეყნება **„საერთაშორისო მასშტაბით ფართოდ გავრცელებად" ვერ ჩაითვლება.**

სატენდერო კომისია აღნიშნულის შესახებ ფლობდა ინფორმაციას, რასაც საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2006 წლის 14 თებერვლის №2 კომისიის სხდომის ოქმი ადასტურებს, რომელშიც აღნიშნულია: **„განცხადება ტენდერის შესახებ ადგილობრივ გაზეთებში ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოქვეყნდა".**

ამრიგად, ტენდერის დასაწყისშივე, განცხადების გამოქვეყნებისას, საქართველოს საგზაო დეპარტამენტმა დაარღვია კანონის იმპერატიული მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, განცხადება საერთაშორისო დონეზე ფართოდ გავრცელებად მედია საშუალებაში უნდა გამოქვეყნებულიყო. შესაბამისად, ტენდერით ვერ დაინტერესდნენ დიდი გამოცდილების მქონე უცხოური კომერციული ორგანიზაციები.

### გ) ტენდერის I ეტაპი — მონაწილეობის მსურველები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით, გამოცხადდა ორ ეტაპიანი ტენდერი.

„საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ორეტაპიანი ტენდერის პირველ ეტაპზე: *„პრეტენდენტები წარადგენენ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს და პირველად სატენდერო წინადადებებს ღირებულების მითითების გარეშე“.*

პირველი ფაზა გულისხმობდა ტენდერში მონაწილეობის უფლების მქონე პრეტენდენტების შერჩევას.

სატენდერო კომისიამ მიიღო ყველა მსურველი კომპანიის პირველადი განაცხადი.[9] დასაწყისისათვის, კომისიის ამოცანას წარმოადგენდა კომპანიების პირველადი განაცხადების შესწავლა და ტენდერის მეორე ეტაპზე გადასულთა გამოვლენა.

2006 წლის 14 თებერვალს სატენდერო კომისიის მე-2 სხდომაზე გაიხსნა ტენდერში მონაწილე პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი მოსაზრებები (იხ. დანართი №2).

ტენდერში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს შემდეგმა კომპანიებმა:

| № | ტენდერში მონაწილე პირების დასახელება | ლოტი I | ლოტი II | ლოტი III |
|---|---|---|---|---|
| 1 | შპს „დ და გ ტექნოლოგი“ | + | + | + |
| 2 | შპს „ზიმო“ და „კავკასუს როუდ პროჯექტი“ | + | + | + |
| 3 | შპს „ემი-ოილი“ | + | + | + |
| 4 | ს/ს „ოზტაშ ინშაათ ინშაათ მაზემელერი თიჯარეთ“ OZTAS | + | + | + |
| 5 | შპს „როლიდერი“ | + | + | + |
| 6 | შპს სამშენებლო კომპანია „115 პლიუსი“ | + | + | + |
| 7 | შპს „გზამშენი 4“ | + | + | – |
| 8 | შპს „ონური ტაჰუტ თაშიმალიჯიქ“ | + | + | + |
| 9 | თურქულ-ქართული ერთობლივი კომპანია „ბლექ სი გრუპი“ | + | + | + |
| 10 | შპს „გზა-2005“ | + | – | – |
| 11 | შპს ჰოლდინგ „იმედი“ | – | + | – |
| 12 | სამშენებლო კომერციული კორპორაცია „ხიდი“ | – | – | + |

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2006 წლის 3 იანვრის №1 ბრძანების თანახმად,[10] ორეტაპიანი ტენდერის პირველ ეტაპზე, პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად, სატენდერო კომისიას წარედგინება პირველადი სატენდერო წინადადებები და ზოგადი მონაცემები, რომელთა ანალიზის საფუძველზე წყდება, თუ რომელი ფირმები დაიშვებიან ტენდერის მეორე ეტაპზე.

ამ საკითხის შესწავლის მიზნით, კომისიის სხდომაზე გადაწყდა ექსპერტთა ჯგუფის[11] შექმნა, რომელსაც უნდა განეხილა ტენდერში მონაწილე იურიდ-

[9] საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2008 წლის 22 სექტემბრის №2/4-5492 წერილითა და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2008 წლის 2 ოქტომბრის №02-03/3578 წერილით მოწოდებული მონაცემები.

[10] სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2006 წლის 3 იანვრის №1 ბრძანება „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების შესახებ.

[11] ექსპერტთა ჯგუფში შედიოდნენ: თ. გველესიანი, გ. ამბრიაშვილი, მ. ნიქაბაძე, ა. ჯორჯიკია, ი. ტიხანაშვილი, ლ. ქორქია.

იული პირების მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები, შეეფასებინა ისინი და რეკომენდაციების თანხლებით წარედგინა სატენდერო კომისიისათვის.

2006 წლის 20 თებერვალს სატენდერო კომისიის მესამე სხდომაზე გაიმართა ღია ტენდერში მონაწილე იურიდიული პირების მიერ შემოთავაზებული საკვალიფიკაციო მონაცემების განხილვა-შეფასება. წარმოდგენილ იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ თითოეულ კომპანიასთან დაკავშირებით მომზადებული დასკვნები (იხ. დანართი №3).

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციის საფუძველზე, ტენდერის მეორე ეტაპზე მონაწილეობისათვის არ იქნენ დაშვებული შემდეგი კომპანიები:[12]

1. **შპს „ემი-ოილი“ –** აღნიშნული კომპანიის მიერ საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის წარდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები არ აკმაყოფილებდა პირველი ეტაპისათვის მოთხოვნილი 13 კრიტერიუმიდან რვა ძირითად მოთხოვნას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ამ კომპანიას არ გააჩნდა საკუთარი მანქანა-დანადგარები, რომლებიც აუცილებელია საგზაო მშენებლობისათვის. ასევე, არ გააჩნდა ანალოგიური ხასიათის სამუშაოს შესრულების გამოცდილება. **აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფმა შპს „ემი-ოილ“-ს არ გაუწია რეკომენდაცია ტენდერში მონაწილეობისათვის;**
2. **შპს სამშენებლო კომერციული კორპორაცია „ხიდის“** მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცხადყოფდა, რომ მას გამოცდილება გააჩნდა ძირითადად სამოქალაქო ობიექტების და არა საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობაში. დოკუმენტაცია ვერ აკმაყოფილებდა პირველ ეტაპზე გამოცხადებული საკვალიფიკაციო მონაცემების უმრავლესობას, შესაბამისად, **ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება, არ გაეწია რეკომენდაცია შპს სამშენებლო კომერციული კორპორაცია „ხიდი“-სთვის ტენდერში მონაწილეობის მისაღებად;**
3. **შპს ჰოლდინგ „იმედი“** – კომპანია არ ფლობდა საკუთარ ქონებას, გარდა საწესდებო კაპიტალისა, რომელიც შეადგენდა 2000 ლარს. დოკუმენტაციით წარმოდგენილი ტექნიკა ეკუთვნოდა მის დამფუძნებელ ფირმებს და არა უშუალოდ განმცხადებელს. შესაბამისად, ფირმას არ ჰქონდა საშუალება, საჭიროების შემთხვევაში, საკუთარი ქონებით ეგო პასუხი. ამასთან, ფირმას არ გააჩნდა სამშენებლო გამოცდილება. **აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ფირმას არ მიეცა ტენდერში მონაწილეობის რეკომენდაცია;**
4. **შპს „როლიდერი“** – კომპანიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ცხადი ხდებოდა, რომ მას არ გააჩნდა გზების მასშტაბური მშენებლობისათვის საჭირო ტექნიკური მექანიზმები და პერსონალი, **შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა არ გაუწია ტენდერში მონაწილეობის რეკომენდაცია;**
5. **ს/ს „ოზტაშ ინშაათ, ინშაათ მაზემელერი თიჯარეთ“ OZTAS** — ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის თანახმად, აღნიშნულ კომპანიას ძირითადად გააჩნდა სამოქალაქო ობიექტების მშენებლობის გამოცდილება, **რაც კომისიამ არასაკმარისად მიიჩნია;**
6. **შპს სამშენებლო კომპანია „115 პლიუს“** – აღნიშნული კომპანია დაფუძნებული იყო სამშენებლო კომპანია „115“-ისა (ირანი) და სამშენებლო კომპანია შპს „ავტობანის“ ურთიერთპარტნიორობის საფუძველზე. დამფუძნებელი ორგანიზაციები ფლობდნენ საკმაოდ დიდ გამოცდილებას საგზაო მშენებლობის სფეროში, თუმცა, შპს „115 პლიუს“-ს, თავის მხრივ, არანაირი ქონება და გამოცდილება ამ სფეროში არ ჰქონდა, გარდა 200 ლარიანი საწესდებო კაპიტალისა. საავტომობილო გზების დეპარტამენტის სამუშაო შეხვედრაზე აღნიშნული კომპანიის წარმომადგენლებთან, დამფუძნებელმა კომპანიამ „115“ გამოთქვა მზადყოფნა, თავად განეხორციელებინა ტენდერის პირობებით გათვალისწინებული გზების მშენებლობა და საკუთარ თავზე აეღო სამუშაოს შესრულების პასუხისმგებლობა. თუმცა, როგორც შეხვედრის ოქმიდან[13] ირკვევა,

[12] საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სატენდერო კომისიის 2006 წლის 20 თებერვლის №3 კომისიის სხდომის ოქმი.

[13] 2006 წლის 20 თებერვალს გამართული სატენდერო კომისიის №3 სხდომის ოქმი.

საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარემ რომან დალაქიშვილმა მიიჩნია, რომ ყველა პასუხისმგებლობა ეკისრებოდა შპს „115 პლიუს"-ს, რადგან ყველა დოკუმენტს სწორედ ეს უკანასკნელი მოაწერდა ხელს. აღნიშნულის საფუძველზე, შპს-ს „115 პლიუს" უარი ეთქვა ტენდერში მონაწილეობაზე;

7. **შპს „გზა-2005"** – აღნიშნული კომპანია სატენდერო კომისიამ არ დაუშვა ტენდერში მონაწილეობისათვის იმ ძირითადი მოტივის გამო, რომ კომპანიას გარკვეული აუცილებელი ტექნიკა და მექანიზმები იჯარით ჰქონდა აღებული ტენდერში მონაწილე კონკურენტი ფირმის – შპს „ზიმო"-სგან. შესაბამისად, ამ უკანასკნელის გამარჯვების შემთხვევაში, შპს „ზიმოს" შეიძლებოდა შეეწყვიტა იჯარის ხელშეკრულება შპს „გზა-2005"-სთვის. აქვე, აქცენტი იყო გაკეთებული იმაზე, რომ შპს-მ „გზა-2005" რამდენჯერმე დაარღვია საავტომობილო გზების დეპარტამენტთან დადებული კონტრაქტის პირობები. ამრიგად, საავტომობილო გზების დეპარტამენტმა პირველივე ეტაპზე კომპანიას უარი უთხრა ტენდერში მონაწილეობაზე.

სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციით და კომისიის გადაწყვეტილებით, ტენდერში მონაწილეობის პრეტენდენტებად დამტკიცდნენ შემდეგი ფირმები:

| **ლოტი I** | **ლოტი II** | **ლოტი III** |
|---|---|---|
| შპს „ბლექ სი გრუპი" | შპს „ბლექ სი გრუპი" | შპს „ბლექ სი გრუპი" |
| შპს „დ და გ ტექნოლოგი" | შპს „დ და გ ტექნოლოგი" | შპს „დ და გ ტექნოლოგი" |
| შპს „ზიმო" | შპს „ზიმო" | შპს „ზიმო" |
| შპს „ონური ტაჰუტ თაშიმალიჯიქ" | შპს „ონური ტაჰუტ თაშიმალიჯიქ" | შპს „ონური ტაჰუტ თაშიმალიჯიქ" |
| შპს „გზამშენი 4" | შპს „გზამშენი 4" | |

პრეტენდენტი კომპანიების გამოვლენით დასრულდა ტენდერის პირველი ეტაპი.

## დ) ტენდერის II ეტაპი — წინადადებების განხილვა და შეფასება

საავტომობილო გზების დეპარტამენტის სატენდერო კომისიის 2006 წლის 20 თებერვლის №3 სხდომაზე, პრეტენდენტთა ვინაობის გარკვევის შემდეგ, დასრულდა ორეტაპიანი ტენდერის პირველი ნაწილი და დაიწყო მეორე ეტაპი, რომელიც ითვალისწინებდა სატენდერო წინადადებების წარმოდგენას, შეფასებასა და გამარჯვებული კომპანიის გამოვლენას.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, შემსყიდველ ორგანიზაციას ენიჭება უფლებამოსილება, ორეტაპიანი ტენდერის პირველი ეტაპის შემდეგ შეცვალოს სატენდერო წინადადებების შეფასების კრიტერიუმები, აგრეთვე, მოთხოვნები შესყიდვის ობიექტის ნებისმიერი ტექნიკური და ხარისხობრივი პარამეტრის მიმართ. საავტომობილო გზების დეპარტამენტმა ტენდერის პირველი ეტაპის დასრულების შემდგომ საჭიროდ არ მიიჩნია შეფასების კრიტერიუმებისა და შესყიდვის ობიექტის მიმართ სხვა ტექნიკური და ხარისხობრივი მოთხოვნების შეცვლა. შესაბამისად, ტენდერის პირობები უცვლელი დარჩა.

2006 წლის 6 მარტს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სატენდერო კომისიის №4 სხდომაზე თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს/გზის 16 კილომეტრიანი მონაკვეთის სამ ლოტად დაყოფილი რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებულ ორეტაპიან ტენდერში პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები გაიხსნა[14] (იხ. დანართი №4).

[14] საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2008 წლის 22 სექტემბრის №2/4-5492 წერილი.

დალუქული პაკეტების გახსნის შემდეგ დაფიქსირდა შემდეგი შედეგები:

**პირველი ლოტი**

| *ლოტი I* | | | |
|---|---|---|---|
| **პრეტენდენტი ფირმა** | **შემოთავაზებული ფასი** | **სავარაუდო ღირებულება** | **სხვაობა** |
| შპს „ბლექ სი გრუპი“ | 11 843 483 | 11 864 582 | **- 21 099** |
| შპს „დ და გ ტექნოლოგი“ | 11 036 245 | | **- 828 337** |
| შპს „ზიმო“ | 12 210 473,09 | | **+ 345 891** |
| შპს „ონური ტაჰუტ თაშიმალიჯიქ“ | 18 139 705,84 | | **+ 6 275 124** |
| შპს „გზამშენი 4“ | 10 940 994,03 | | **- 923 588** |

**ტენდერის პირველ ლოტზე ყველაზე მაღალი თანხა დაასახელა შპს „ონური ტაჰუტ თაშიმალიჯიქ“-მა, ყველაზე დაბალი კი, შპს „გზამშენი 4“-მა. დალუქული კონვერტების გახსნის შემდეგ მონაწილეთა შემოთავაზებები შემდეგნაირად გადანაწილდა.**




**მეორე ლოტი**

| *ლოტი II* | | | |
|---|---|---|---|
| **პრეტენდენტი ფირმა** | **შემოთავაზებული ფასი** | **სავარაუდო ღირებულება** | **სხვაობა** |
| შპს „ბლექ სი გრუპი“ | 18 805 269.74 | 19 033 707 | **- 228 437** |
| შპს „დ და გ ტექნოლოგი“ | 17 582 308 | | **- 1 451 399** |
| შპს „ზიმო“ | 19 024 358,83 | | **- 9 348** |
| შპს „ონური ტაჰუტ თაშიმალიჯიქ“ | 18 185 392,72 | | **- 848 315** |

**დალუქული კონვერტების გახსნის შემდეგ დაფიქსირდა, რომ შპს-მ „ზიმო“ წარმოადგინა ყველაზე ძვირადღირებული წინადადება, შპს-მ „დ და გ ტექნოლოგი“ კი, ყველაზე ნაკლები ფასი დააფიქსირა.**




**მესამე ლოტი**

| *ლოტი III* | | | |
|---|---|---|---|
| **პრეტენდენტი ფირმა** | **შემოთავაზებული ფასი** | **სავარაუდო ღირებულება** | **სხვაობა** |
| შპს „ბლექ სი გრუპი“ | 15 248 449,25 | 14 689 180 | **- 559 269** |
| შპს „დ და გ ტექნოლოგი“ | 13 680 002.02 | | **- 1 009 178** |
| შპს „ზიმო“ | 15 897 743,09 | | **+ 1 208 563** |
| შპს „ონური ტაჰუტ თაშიმალიჯიქ“ | 18 053 621,74 | | **+ 3 364 442** |

**მესამე ლოტისათვის ყველაზე ძვირადღირებული წინადადება შპს „ონური ტაჰუტ თაშიმალიჯიქ“-მა წარმოადგინა, ყველაზე ნაკლები თანხა კი, ისევ შპს-მ „დ და გ ტექნოლოგი“ შესთავაზა საგზაო დეპარტამენტს.**




ამრიგად, პრეტენდენტებს შორის ადგილები შემდეგნაირად გადანაწილდა:

სამივე ლოტზე ყველაზე დაბალი ფასი პრეტენდენტებს შორის შეთავაზებული აქვს **შპს-ს „დ და გ ტექნოლოგი“ – საერთო ღირებულებით, 32 368 555 ლარი.**

დაბალი ფასის შემოთავაზების მხრივ, მომდევნო საუკეთესო შედეგის მქონე კომპანიაა **შპს „ბლექ სი გრუპი“ – საერთო ღირებულებით, სამ ლოტზე 45 897 201 ლარი**;

მესამე – **შპს „ზიმო“ – საერთო ღირებულებით, სამ ლოტზე 47 132 574 ლარი;** ყველაზე ძვირადღირებული შემოთავაზება ჰქონდა **შპს-ს „ონური ტაჰუტ თაშიმალიჯიქ“ – საერთო ღირებულებით, სამ ლოტზე 55 450 236 ლარი.**




ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სატენდერო კომისიის მიერ წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების თანახმად, ტენდერში საუკეთესო შედეგების მქონე ფირმას წარმოადგენდა **შპს „დ და გ ტექნოლოგი“.**

„სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების[15] მიხედვით, სატენდერო წინადადებების გახსნისა და ფასების გამოცხადების შემდეგ, პირველ რიგში უნდა განხორციელდეს მათი შერჩევა. შერჩევის მიზანია წარმოდგენილი სატენდერო წინადადებებისა და თანმხლები დოკუმენტების სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

შერჩევის პროცედურის დროს მოწმდება:

1. სრულად არის თუ არა წარმოდგენილი ყველა საჭირო დოკუმენტი, მათ შორის, ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც უნდა დაერთოს სატენდერო წინადადებას;
2. არის თუ არა ყველა საჭირო დოკუმენტი შედგენილი შესაბამისი ფორმის დაცვით;
3. არსებითად შეესაბამება თუ არა სატენდერო წინადადება სატენდერო დოკუმენტაციაში აღნიშნულ ტექნიკურ მოთხოვნებს, ვადებს და სხვა პარამეტრებს.

შერჩევის პროცესში სატენდერო კომისია ახდენს სატენდერო წინადადებების კლასიფიკაციას შემდეგ კატეგორიებად:

ა) სატენდერო წინადადებები, რომლებიც შეიძლება მისაღებად ჩაითვალოს;

ბ) სატენდერო წინადადებები, რომლებიც მნიშვნელოვანი გადახრების ან შეცდომების, ანდა სატენდერო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის გამო ვერ ჩაითვლება მისაღებად.

აღნიშნული წესის შესაბამისად, სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით,[16] დეპარტამენტს დაევალა ტენდერში მონაწილეთა სატენდერო წინადადებების ტექნიკური და ფინანსური ნაწილის დეტალურად შესწავლა და 5-6 დღეში კომისიისათვის გაცნობა.

სატენდერო კომისიის 2006 წლის 11 მარტის №5 სხდომაზე წარმოდგენილ იქნა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები თითოეული პრეტენდენტის სატენდერო წინადადებასთან დაკავშირებით (იხ. დანართი №5).

[15] სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2006 წლის 3 იანვრის ბრძანება №1 „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების შესახებ.

[16] საავტომობილო გზების დეპარტამენტის სატენდერო კომისიის 2006 წლის 6 მარტის №4 სხდომის ოქმი.

ექსპერტთა მიერ თითოეული პრეტენდენტი შემდეგნაირად შეფასდა:

**I.** **შპს „ბლექ სი გრუპი“** – მოცემულ კომპანიას სამივე ლოტთან მიმართებით წარდგენილ სატენდერო წინადადებებში არ წარუდგენია განცხადება, საკვალიფიკაციო მონაცემები და ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მონაცემების აღწერილობა. ექსპერტთა დასკვნებში მითითებულია, რომ ექსპერტთა ჯგუფი საეჭვოდ მიიჩნევს, პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში, ობიექტის მოცემულ ვადებში დამთავრებას, ვინაიდან პრეტენდენტს არ აქვს წინასწარი მოსაზრება და შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულებები სამშენებლო მასალის (ცემენტი, არმატურე, ბიტუმი და სხვა) შეძენაზე, ასევე, გზაგამტარისა და ხელოვნური ნაგებობების კონსტრუქციების, საგზაო ნიშნების, სპეცპროფილის პარაპეტების და ა.შ. შეძენის ან დამზადების წყაროების შესახებ. პრეტენდენტს ასევე არ ჰქონდა დიფერენცირებული გზაგამტარის მშენებლობის სამუშაოები, რაც კომისიის დასკვნებში მნიშვნელოვან ხარვეზად არის მოხსენიებული.

საავტომობილო გზების დეპარტამენტის სატენდერო კომისიამ განიხილა ექსპერტთა აღნიშნული დასკვნა და მიიღო გადაწყვეტილება, რომ *„შპს „ბლექ სი გრუპ“-ს წარმოდგენილი აქვს საჭირო დოკუმენტები, რომლებიც შედგენილია შესაბამისი ფორმის დაცვით, არსებითად შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციაში აღნიშნულ ტექნიკურ მოთხოვნებს და არ შეიცავს მნიშვნელოვან გადახრებს ან შეცდომებს“.* **შესაბამისად, სატენდერო წინადადება ჩაითვალა მისაღებად და დაშვებულ იქნა შესაფასებლად.**

**II.** **შპს „გზამშენი-4“** – სატენდერო წინადადებაში მოცემულ კომპანიას არ წარუდგენია ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მონაცემების აღწერილობა, ასევე, გზაგამტარის მშენებლობის მეთოდიკა, მისი განხორციელების ვადები. კალენდარული გრაფიკი არ ითვალისწინებდა ხელოვნური ნაგებობების მშენებლობის დიფერენციაციას. მიუხედავად აღნიშნული ხარვეზებისა, *სატენდერო კომისიამ მიიჩნია, რომ სატენდერო წინადადება არსებითად შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციაში აღნიშნულ ტექნიკურ მოთხოვნებს.* **შპს „გზამშენი 4“-ის სატენდერო წინადადება შეფასდა დადებითად და დაშვებულ იქნა ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.**

**III.** **შპს „ონური ტაჰუტ თაშიმალიჯიქ“** – ექსპერტთა დასკვნის თანახმად, დადგინდა, რომ არც აღნიშნულ კომპანიას წარმოუდგენია ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მონაცემების აღწერილობა, სამუშაოების შესრულების მეთოდები და სპეციფიკა. კომპანიას არ ჰქონდა წინასწარი მოსაზრება და შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულებები სამშენებლო მასალების შეძენაზე (ცემენტი, არმატურა, ბიტუმი და სხვა), ასევე, გზაგამტარისა და ხელოვნური ნაგებობების კონსტრუქციის, საგზაო ნიშნების და ა.შ. შეძენის ან დამზადების წყაროების შესახებ. პრეტენდენტს პირველ და მეორე ლოტებთან დაკავშირებულ წინადადებებში არ ჰქონდა წარმოდგენილი საბანკო გარანტიები საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

სატენდერო კომისიამ განიხილა ექსპერტთა დასკვნა, გაითვალისწინა, რომ პრეტენდენტს არ ჰქონდა წარმოდგენილი ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მონაცემების აღწერილობა, სამუშაოების შესრულების მეთოდი და სპეციფიკა, წარმოდგენილი შესრულების ორგანიზაციულ-საწარმოო მეთოდოლოგია. ექსპერტთა განცხადებით, ასევე გაუგებარი იყო, თუ სად ექნებოდა კომპანიას მოწყობილი საწარმოო ბაზა და ქარხანა. კომპანიას ასევე არ ჰქონდა წარმოდგენილი ინფორმაცია კარიერების შესახებ, საიდან მოიტანდა ინერტულ მასალას და ა.შ. ექსპერტების დასკვნის მიხედვით, შეუძლებელი იყო მათი წინადადების შეფასება (მისი არარსებობის გამო) ხელოვნური ნაგებობების, განსაკუთრებით კი, გზაგამტარებისა და ხიდების მოწყობის თაობაზე. წარმოდგენილი მოსაზრებები სამუშაოთა წარმოების წარმართვის ორგანიზაციულ-საწარმოო გეგმებისა და ქმედებების თაობაზე ვერ ასახავს სრულყოფილ სურათს, – ვკითხულობთ დასკვნაში.

*მიუხედავად აღნიშნული ნაკლოვანებებისა, სატენდერო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ* **შპს „ონურის“ სატენდერო წინადადება არსებითად შეესაბამებოდა სატენდერო დოკუმენტაციაში აღნიშნულ ტექნიკურ მოთხოვნებს, მიიჩნია იგი მისაღებად და დაუშვა შესაფასებლად.**

**IV. შპს „ზიმო“** – აღნიშნულ კომპანიას თავის სატენდერო წინადადებაში არც ერთ ლოტზე არ წარუდგენია მისაწოდებელი ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მონაცემების სრული აღწერილობა. წინადადებაში არ იყო სათანადოდ ჩამოყალიბებული საგზაო სამოსის მოწყობის ტექნოლოგია, გრაფიკში კი ბუნდოვნად იყო აღწერილი გზაგამტარის მშენებლობის გრაფიკი.

ყურადღებას იმსახურებს სატენდერო კომისიისა და ექსპერტთა ჯგუფის ცალსახად კეთილგანწყობილი შეფასება ამ პრეტენდენტის მიმართ. თუკი ექსპერტთა დასკვნებსა და კომისიის შეფასებებში სხვა პრეტენდენტების მიმართ „ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მონაცემების აღწერილობის“ წარმოუდგენლობა განსაკუთრებით უხეშ დარღვევად მოიხსენიებოდა, შპს „ზიმოსთან“ მიმართებით ოქმში მითითებულია: *„არ აქვს წარმოდგენილი მხოლოდ ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მონაცემების აღწერილობა“.*

საავტომობილო გზების დეპარტამენტის სატენდერო კომისიის სუბიექტური მიდგომა შპს „ზიმოს“ მიმართ უკვე ამ ეტაპზე აშკარად გამოიკვეთა.

*შპს „ზიმოს“ წინადადებასთან დაკავშირებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ* **იგი არსებითად შეესაბამებოდა მოთხოვნებს და დაშვებული უნდა ყოფილიყო ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.**

**V. შპს „დ და გ ტექნოლოგი“** – კომპანიის სატენდერო წინადადება არასრულად მოიცავდა ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მონაცემების აღწერილობას, ასევე, ზოგადი ხასიათის იყო მშენებლობის გრაფიკი, მასზე არ იყო მოცემული გზაგამტარის მშენებლობის სამუშაოები დიფერენცირებული სახით, ბურჯების, სამალო ნაშენისა და სხვა სამუშაოების ხანგრძლივობა და მათი შესრულების მიმდევრობა. კომპანიის მიერ წარმოდგენილ განაცხადში არ იყო შეტანილი გაუთვალისწინებელი ხარჯების ნაწილი.

ამ ხარვეზების გათვალისწინებით, **შპს „დ და გ ტექნოლოგი“-ს წინადადება სამივე ლოტზე არ ჩაითვალა მისაღებად და იგი არ იქნა დაშვებული შესაფასებლად.**

2006 წლის 11 მარტის სატენდერო კომისიის №5 სხდომის ოქმის თანახმად, ორმა პრეტენდენტმა – შპს-მ „გზამშენი 4“ და შპს-მ „ზიმო“ – წარმოადგინეს ალტერნატიული სატენდერო წინადადებები.

შპს „გზამშენი 4“-მა ალტერნატიული წინადადება, ისევე, როგორც ძირითადი, მხოლოდ პირველ ლოტზე წარმოადგინა. ალტერნატიული წინადადება 1 409 898 ლარით ნაკლები იყო ძირითად წინადადებაზე, ანუ, თუკი ამ კომპანიის ძირითადი სატენდერო წინადადებით შემოთავაზებული ფასი იყო 10 940 994 ლარი, მისივე ალტერნატიული წინადადების ფასი წარმოადგენდა 9 531 096 ლარს.

რაც შეეხება შპს „ზიმო“-ს, მის ალტერნატიულ წინადადებას იგივე ფასი ჰქონდა, რაც ძირითადს, კერძოდ: I ლოტზე — 12 210 473 ლარი; II ლოტზე — 19 024 358 ლარი; III ლოტზე — 15 897 365 ლარი.

შპს „ზიმო“-ს მიერ შემოთავაზებული ალტერნატიული წინადადება გამოირჩეოდა იმით, რომ გულისხმობდა თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 27-43კმ მონაკვეთის **„რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოებზე საგზაო სამოსის კონსტრუქციის მოწყობას ცემენტობეტონის საფარით“.**

საავტომობილო გზების დეპარტამენტის სატენდერო კომისიამ ორივე ალტერნატიული წინადადება დასაშვებად ცნო და ტენდერში მონაწილეობის ნება დართო.

ზემოთ დეტალურად განვიხილეთ თითოეული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები, მათი ხარვეზები, ექსპერტთა შეფასებები და კომისიის გადაწყვეტილებათა საფუძვლები, რათა დაინტერესებული მკითხველისთვის მიგვენდო იმის შეფასება, თუ რამდენად ობიექტურად განიხილა შემსყიდველმა ორგანომ სატენდერო დოკუმენტაცია.

როგორც ვნახეთ, ერთადერთი კომპანია, რომელიც ტენდერში მონაწილეობის მისაღებად არ იქნა დაშვებული, იყო **შპს „დ და გ ტექნოლოგი"** – კომპანია, რომელმაც ტენდერში სამუშაოს შესრულების საუკეთესო ფასი წარმოადგინა. ამ ფაქტის გათვალისწინებით, საავტომობილო გზების დეპარტამენტს განსაკუთრებით მაღალი ინტერესი უნდა ჰქონოდა ამ ფირმის ტენდერში მონაწილეობის კუთხით, მით უმეტეს, რომ კომისიის მიერ წინასწარ დამტკიცებულ შეფასების კრიტერიუმებში განსაკუთრებულ ადგილს სწორედ ფასი იკავებდა.

როგორც ექსპერტთა დასკვნებიდან და პრეტენდენტების მიერ წარდგენილი დოკუმენტებიდან იკვეთება, თითქმის ყველა სატენდერო წინადადება შეიცავდა ისეთივე ხარვეზებს, როგორსაც **შპს „დ და გ ტექნოლოგი"**-ს მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადება, კერძოდ:

- მისაწოდებელი ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მონაცემების სრული აღწერილობა არ წარუდგენია არც ერთ პრეტენდენტს;
- ხარვეზებით იყო წარდგენილი შესრულების ორგანიზაციულ-საწარმოო მეთოდოლოგია და მოსაზრებები;
- თითქმის არც ერთ შემთხვევაში არ იყო წარდგენილი წინასწარი მოსაზრება და შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულებები სამშენებლო მასალების შეძენაზე (ცემენტი, არმატურა, ბიტუმი და სხვა), ასევე, გზაგამტარისა და ხელოვნური ნაგებობების კონსტრუქციის, საგზაო ნიშნების და ა.შ. შეძენის ან დამზადების წყაროების შესახებ;
- თითქმის არც ერთ შემთხვევაში არ იყო დიფერენცირებული გზაგამტარის მშენებლობის სამუშაოები.

ექსპერტთა დასკვნებსა და კომისიის სხდომის ოქმებში ერთი და იგივე ხარვეზები სხვადასხვა პრეტენდენტთან მიმართებით სრულიად განსხვავებულად ფასდებოდა.

მაგალითად, *„მისაწოდებელი ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მონაცემების სრული აღწერილობის"* წარუდგენლობა **შპს „ბლექ სი გრუპის"**, **შპს „ონური ტაჰუტ თაშიმალიჯიქ"**-ისა და **შპს „გზამშენი-4"**-ის შემთხვევაში **„მნიშვნელოვან ხარვეზად"** დაკვალიფიცირდა, თუმცა, **იქვე, სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ ეს გარემოება არ შეუშლიდა პრეტენდენტ ფირმებს ხელს ტენდერში მონაწილეობაში**.

იგივე დოკუმენტის წარუდგენლობა **შპს „ზიმოს"** შემთხვევაში ხარვეზად არ იქნა მიჩნეული. ექსპერტებმა დასკვნაში აღნიშნეს **„ . . . არ აქვს წარმოდგენილი მხოლოდ ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მონაცემების აღწერილობა"**. შპს „ზიმო" უპირობოდ იქნა დაშვებული ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

კომისიის მხრიდან სრულიად განსხვავებული მიდგომა დაფიქსირდა ტენდერის ლიდერი კომპანიის **შპს „დ და გ ტექნოლოგი"**-ს მიმართ. თუკი სხვა კომპანიებისათვის *„მისაწოდებელი ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მონაცემების სრული აღწერილობის"* წარუდგენლობას ტენდერში მონაწილეობაში ხელი არ შეუშლია, ამ კომპანიის შემთხვევაში აღნიშნული დოკუმენტის არასრულად წარდგენა დაკვალიფიცირდა, როგორც **„ყოვლად დაუშვებელი და მიუღებელი"**. გარდა ამისა, ამ კომპანიაზე საუბრისას კომისიის ტონი საგრძნობლად გამკაცრდა, გაჩნდა ზოგადი ხასიათის შეფასებები, როგორიცაა: *„ხარჯთაღრიცხვა შესრულებულია არაპროფესიონალურად და უპასუხისმგებლოდ"*, *„უამრავი არითმეტიკული შეცდომით"*, *„წარმოდგენილია ზოგადი არასრული სახით"*.

გარდა ზემოთ მითითებული უარყოფითი შეფასებებისა, ექსპერტთა დასკვნიდან არ იკვეთება არც ერთი დარღვევა, რომელიც სხვა პრეტენდენტების მიერ წარდგენილ წინადადებებში არ აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ **შპს „დ და გ ტექნოლოგი"** შემსყიდველ ორგანიზაციას სთავაზობდა მომსახურების გაწევას ყველაზე დაბალ ფასში და მის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია

არ შეიცავდა განსაკუთრებულ ხარვეზებს, ის აღმოჩნდა ერთადერთი პრეტენდენტი, რომლის დაშვება ტენდერში კომისიამ **„ყოვლად დაუშვებლად და მიუღებლად“** მიიჩნია.

**ჰქონდა თუ არა სატენდერო კომისიას უფლება, არ დაეშვა შპს „დ და გ ტექნოლოგი“ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად?**

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების მე-15 მუხლის მე-6 პუნქტი განსაზღვრავს შემთხვევებს, როდესაც სატენდერო წინადადებები ითვლება მიუღებლად და არ დაიშვება შეფასებისათვის:

> *„ა) პრეტენდენტის მიერ არ არის წარმოდგენილი ყველა საჭირო დოკუმენტი ან/და ინფორმაცია, საჭიროების შემთხვევაში — ნიმუში;*
>
> *ბ) თუ სატენდერო კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში პრეტენდენტი ვერ შეძლებს თავისი საკვალიფიკაციო მონაცემების ხელახალ დადასტურებას;*
>
> *გ) თუ პრეტენდენტი უარს განაცხადებს ან არ დაეთანხმება სატენდერო წინადადებაში ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად შესწორების შეტანაზე;*
>
> *დ) თუ სატენდერო წინადადება ან/და საკვალიფიკაციო მონაცემები არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციით ან/და ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებით განსაზღვრულ მოთხოვნებს;*
>
> *ე) თუ შესყიდვის პროცედურების დროს ადგილი ექნება პრეტენდენტის არაკეთილსინდისიერ ქმედებას;*
>
> *ვ) თუ შესყიდვის პროცედურებში მონაწილე პირის მიერ წარმოდგენილი მონაცემები ან/და მათი დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება“.*

შპს **„დ და გ ტექნოლოგი“-ს შემთხვევაში არ ფიქსირდებოდა ზემოთ ჩამოთ**ვლილ პირობათაგან არც ერთი, შესაბამისად, არ არსებობდა ტენდერიდან მისი გამოთიშვის სამართლებრივი საფუძველი.

აქედან გამომდინარე, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აზრით, სატენდერო კომისიამ შპს „დ და გ ტექნოლოგი“-ს მიმართ დაარღვია კანონით დადგენილი **– პრეტენდენტების მიმართ არადისკრიმინაციული და თანაბარი მიდგომის – პრინციპი.**

როგორც აღვნიშნეთ, სატენდერო კომისიის სხდომის ოქმებიდან იკვეთება, რომ კომისიის გადაწყვეტილებით,[17] ტენდერის ლიდერი კომპანია შპს „დ და გ ტექნოლოგი“ არ იქნა დაშვებული შეფასების სტადიაზე, შესაბამისად, არ შეფასებულა მისი წინადადება. კომპანიის მონაწილეობა ტენდერში უბრალოდ დაუშვებლად იქნა მიჩნეული და იგი მანამდე გამოეთიშა პროცესს, ვიდრე მისი წინადადების ხელსაყრელობა გაანალიზდებოდა.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ტენდერის ყოველ ეტაპზე პრეტენდენტებს უნდა ეცნობოთ შესაბამისი სტადიის შედეგები. ტენდერის პირველი ეტაპის შედეგები უნდა ეცნობოს პირველადი სატენდერო წინადადებების წარმდგენ ყველა პირს გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადისა. ასევე, ტენდერის მეორე ეტაპზე სატენდერო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში შედეგები უნდა ეცნობოს ტენდერში მონაწილე ყველა პრეტენდენტს.

შპს „დ და გ ტექნოლოგი“, როგორც ცნობილია, გადავიდა ტენდერის მეორე ეტაპზე და იყო ერთადერთი პრეტენდენტი, რომელიც უკვე მეორე ეტაპზე ისე გამოეთიშა ტენდერს, რომ არ იქნა დაშვებული შესაფასებლად. შესაბამისად, შპს „დ და გ ტექნოლოგს“ უნდა მისვლოდა შეტყობინება, რომელიც ამცნობდა, რომ, კომისიის გადაწყვეტილებით, იგი არ იქნა დაშვებული შეფასების სტადიაზე და ისე გამოეთიშა ტენდერს, რომ მისი წინადადება არ შეუფასებია კომისიას.

თუმცა, ასეთი შინაარსის წერილი შპს „დ და გ ტექნოლოგს“ არ მიუღია. ამის ნაცვლად, მან მიიღო ისეთივე შეტყობინება, როგორიც ტენდერის მეორე ეტაპში დამარცხებულმა პრეტენდენტებმა.

[17] საავტომობილო გზების დეპარტამენტის სატენდერო კომისიის 2006 წლის 11 მარტის სხდომის №5 ოქმი.

შემსყიდველმა ორგანიზაციამ 2006 წლის 21 მარტს შპს-ს „დ და გ ტექნოლოგი" გაუგზავნა შემდეგი შინაარსის **„შეტყობინება ტენდერის შედეგების შესახებ"** (იხ. დანართი № 6):

*„საავტომობილო გზების დეპარტამენტი გიხდით მადლობას სამ ლოტად დაყოფილი საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ.27-43 მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებულ საერთაშორისო ტენდერში მონაწილეობისათვის და გაცნობებთ, რომ, სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით, თქვენმა ორგანიზაციამ სამივე ლოტზე წარმოდგენილი სატენდერო წინადადებით* **ამჯერად ვერ გაიმარჯვა.**

*საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი გამოხატავს რა თქვენდამი ღრმა პატივისცემას, გამოთქვამს იმედს და სურვილს, რომ ჩვენ შორის საქმიანი ურთიერთობები მომავალშიც გაგრძელდება".*

აღნიშნულ წერილში ნათქვამია, რომ შპს-მ „დ და გ ტექნოლოგი" უბრალოდ ვერ გაიმარჯვა ტენდერში, რაც გულისხმობს, რომ მისი წინადადება შეფასდა სხვა წინადადებებთან ერთად და არ იქნა მოწონებული. თუმცა, საავტომობილო გზების დეპარტამენტის ეს წერილი ეწინააღმდეგება კომისიის სხდომის №5 ოქმში ასახულ სურათს, რომლის თანახმად, აღნიშნული კომპანიის წინადადება სატენდერო კომისიას სინამდვილეში არ შეუფასებია. მან არათუ ვერ მოიგო ტენდერი, არამედ მისი შემოთავაზება სატენდერო კომისიის მიერ არც კი შეფასებულა.

### ე) გამარჯვებული კომპანიის გამოვლენა

ტენდერში გამარჯვებული კომპანიის შერჩევის ეტაპზე საავტომობილო გზების დეპარტამენტის სატენდერო კომისიამ კანონის კიდევ ერთ მოთხოვნას აუარა გვერდი. კერძოდ, საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ", ისევე, როგორც დებულება „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ",[18] ადგენს:

*„ორეტაპიანი ტენდერის პირველ ეტაპზე სატენდერო კომისიას უფლება აქვს, გამართოს მოლაპარაკებები პრეტენდენტებთან პირველადი სატენდერო წინადადებების ნებისმიერი პირობის დაზუსტების და სატენდერო დოკუმენტაციის საბოლოო მოთხოვნების განსაზღვრის მიზნით. . ."*

*„ორეტაპიანი ტენდერის მეორე ეტაპი ტარდება იმავე წესით, როგორც ერთეტაპიანი ტენდერი".*

ერთეტაპიანი ტენდერის შემთხვევაში:

*„სატენდერო კომისიას უფლება არა აქვს, გამართოს მოლაპარაკება ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებთან და პრეტენდენტებთან".*

ამრიგად, კანონმდებელს სრულიად ნათლად აქვს ჩამოყალიბებული ორეტაპიანი ტენდერის დროს პრეტენდენტებთან მოლაპარაკების წესები და მიზნები. ეს მოლაპარაკება შესაძლოა განხორციელდეს:

ა) მხოლოდ ტენდერის პირველ ეტაპზე;

ბ) მხოლოდ პირველადი სატენდერო წინადადებების ნებისმიერი პირობის დაზუსტების და სატენდერო დოკუმენტაციის საბოლოო მოთხოვნების განსაზღვრის მიზნით.

ტენდერის მეორე ეტაპზე კი, მას შემდეგ, რაც დამტკიცდებიან პრეტენდენტი კომპანიები, **აკრძალულია ყოველგვარი მოლაპარაკება ამ კომპანიებთან**.

როგორც ჩვენ მიერ შესწავლილი დოკუმენტებიდან ჩანს, საავტომობილო გზების დეპარტამენტმა გვერდი აუარა კანონის ზემოთ მითითებულ მოთხოვნას, რასაც ტენდერის მიმდინარეობის პროცესში პრეტენდენტი კომპანიების აქტიური მონაწილეობაც ადასტურებს.

[18] სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2006 წლის 3 იანვრის ბრძანება №1 „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე.

მაგალითად, ერთ-ერთი პრეტენდენტის – შპს „გზამშენი-4“-ის – საგზაო დეპარტამენტთან მიმოწერიდან[19] ირკვევა, რომ სატენდერო კომისიას 2006 წლის 15 მარტს უნდა გამოევლინა ტენდერში გამარჯვებული კომპანიები, თუმცა, შპს **„გზამშენი-4“-სთვის შედეგები რამდენიმე დღით ადრე იყო ცნობილი.**

კომისიის სხდომამდე ორი დღით ადრე, 2006 წლის 13 მარტს, კომპანიამ სატენდერო კომისიას მიმართა წერილით,[20] რომელშიც მითითებული იყო (იხ. დანართი №7):

> **„ჩვენმა ორგანიზაციამ მონაწილეობა მიიღო ტენდერის ლოტი №1 გათამაშებაში, სადაც მის მიერ წარდგენილმა წინადადებამ გაიმარჯვა (პირობითად კომიისის დასკვნამდე)“.**

კომპანიისათვის ასევე ცნობილი იყო, რომ მეორე და მესამე ლოტებში გამარჯვებულად შპს „ზიმო“ ცხადდებოდა, ამიტომ კომისიას შესთავაზა შემდეგი წინადადება:

> **„გთავაზობთ ჩვენს მოსაზრებას პირობითად ჩვენ მიერ გამარჯვებულ №1 ლოტზე ა/ბ საფარის ნაცვლად შპს „ზიმომ“ მოაწყოს მხოლოდ ბეტონის საფარი, ხოლო №1 ლოტით გათვალისწინებულ ყველა სახის სამუშაოს შეასრულებს შპს „გზამშენი-4“.**

როგორც ჩანს, ამ შეთავაზებაზე კომპანიამ უარი მიიღო, რადგან მეორე დღეს, 2006 წლის 14 დეკემბერს, „გზამშენი-4“-მა დეპარტამენტის თავმჯდომარეს სრულიად განსხვავებული შინაარსის წერილით[21] მიმართა (იხ. დანართი №8).

წერილში მითითებული იყო: **„როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, მ/წ 14 მარტს შპს „გზამშენი-4“-მა გაიმარჯვა თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის რეკონსტრუქციის ტენდერში №1 ლოტზე, ხოლო მე-2 და მე-3 ლოტებზე გაიმარჯვა შპს „ზიმომ“, რომელმაც საგზაო სამოსის კონსტრუქცია წარმოადგინა ბეტონის საფარით . . . იმის გათვალისწინებით, რომ ვთვლით, სამივე ლოტზე უნდა იყოს ბეტონის საფარი, რომლის შესრულებასაც ჩვენ ამ ეტაპზე მოკლებული ვართ . . . ვიღებთ გადაწყვეტილებას, №1 ლოტზე გამარჯვებულად არ გამოაცხადოთ შპს „გზამშენი-4“.**

ამრიგად, სატენდერო კომისია გასცდა თავისი უფლებამოსილებების ფარგლებს და მოლაპარაკებებს პრეტენდენტებთან აწარმოებდა ტენდერის ყველა სტადიაზე, კანონის მოთხოვნათა დარღვევით.

2006 წლის 15 მარტს გაიმართა საავტომობილო გზების დეპარტამენტის სატენდერო კომისიის რიგით მეექვსე სხდომა, რომელზეც შეფასდა ტენდერში წარდგენილი ყველა ძირითადი და ალტერნატიული წინადადება და გამოვლინდა ტენდერის გამარჯვებული (იხ. დანართი №9).

კომისიის ყველა წევრმა შეაფასა ყველა წარდგენილი სატენდერო წინადადებების ტექნიკური და ფინანსური მხარე:

[19] ინფორმაცია მოწოდებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2008 წლის 22 სექტემბრის №2/4-5492 წერილით საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2008 წლის 17 სექტემბრის №გ-04/17-08 განცხადების (საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე) პასუხად.

[20] შპს „გზამშენი 4“-ის 2006 წლის 13 მარტის №56 წერილი საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის რომან დალაქიშვილის მიმართ.

[21] შპს „გზამშენი 4“-ის 2006 წლის 14 მარტის №57 წერილი საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის რომან დალაქიშვილის მიმართ.

| № | სატენდერო კომისიის წევრები | ლოტი I | | | | | | ლოტი II | | | | ლოტი III | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | შპს „ბლექსიგრუპი“ | შპს „გზამშენი“ ძირ. | შპს „გზამშენი“ ალტ. | შპს „ზიმო“ ძირი. | შპს „ზიმო“ ალტ. | შპს „ონური“ | შპს „ბლექსიგრუპი“ | შპს „ზიმო“ ძირ. | შპს „ზიმო“ ალტ. | შპს „ონური“ | შპს „ბლექსიგრუპი“ | შპს „ზიმო“ ძირ. | შპს „ზიმო“ ალტ. | შპს „ონური“ |
| 1 | რ.დალაქიშვილი | 7.82 | 9.0375 | 9.895 | 8.46 | 8.355 | 5.955 | 9.22 | 9.916 | 9.86 | 9.12 | 9.22 | 9.72 | 9.615 | 8.16 |
| 2 | ი.ლითანიშვილი | 7.55 | 9.09 | 9.91 | 8.46 | 8.04 | 5.48 | 8.85 | 9.93 | 9.51 | 8.63 | 8.85 | 9.72 | 9.3 | 7.72 |
| 3 | გ.წერეთელი | 8.18 | 9.9 | 9.65 | 9.14 | 9.04 | 6.07 | 8.53 | 9.76 | 9.66 | 8.7 | 8.53 | 9.55 | 9.45 | 7.78 |
| 4 | ა.თვალჭრელიძე | 8.055 | 10 | 9.82 | 8.6 | 8.39 | 5.375 | 8.755 | 9.3 | 9.09 | 7.475 | 8.545 | 9.65 | 9.545 | 6.075 |
| 5 | ნ.გასვიანი | 7.783 | 9.09 | 9.595 | 8.355 | 8.055 | 5.175 | 9.025 | 9.811 | 9.511 | 8.474 | 8.71 | 9.713 | 9.413 | 7.445 |
| 6 | თ.გველესიანი | 7.4 | 9 | 9.64 | 8.38 | 8.47 | 5.66 | 8.77 | 9.54 | 9.63 | 7.89 | 8.77 | 9.74 | 9.83 | 7.89 |
| 7 | დ.კორახაშვილი | 7.25 | 9.3 | 10 | 8.6 | 8.285 | 5.69 | 7.25 | 8.6 | 8.285 | 6.39 | 8.65 | 9.3 | 8.985 | 7.09 |
| 8 | ჯ.შუბითიძე | 8.57 | 9.17 | 9.17 | 8.42 | 8.42 | 5.98 | 9.06 | 9.07 | 9.07 | 8.56 | 8.65 | 8.87 | 8.87 | 7.66 |
| **საშუალო კოეფიციენტი** | | **7.828** | **9.323** | **9.71** | **8.552** | **8.382** | **5.673** | **8.683** | **9.491** | **9.327** | **8.155** | **8.741** | **9.535** | **9.376** | **7.477** |

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის თანახმად: **„პრეტენდენტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას სატენდერო კომისიის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობის დასკვნით მიენიჭება უპირატესობა“.**

როგორც ცხრილიდან ნათლად იკვეთება, კომისიის წევრების ხმათა უმრავლესობით, I ლოტზე უპირატესობა მიენიჭა **შპს „გზამშენი-4“-ის ალტერნატიულ წინადადებას** (მიუხედავად იმისა, რომ შპს-მ „გზამშენი-4“ წინა დღეს უარი განაცხადა ტენდერში მონაწილეობაზე), ხოლო II და III ლოტებზე **შპს „ზიმოს“ ძირითად წინადადებას**, რაც გულისხმობდა მთელი გზის მონაკვეთზე ასფალტის საფარის დაგებას. სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ეს წინადადებები ავტომატურად უნდა გამოცხადებულიყო შესაბამის ლოტებზე გამარჯვებულად.

**თუმცა, ტენდერი მოულოდნელი შედეგით დაგვირგვინდა, კერძოდ, ტენდერში გამარჯვებული აღმოჩნდა არა ის წინადადებები, რომლებსაც კომისიის წევრებმა მიანიჭეს უპირატესობა (I ლოტზე შპს „გზამშენი-4“-ის ალტერნატიული წინადადება; II და III ლოტებზე შპს „ზიმო“-ს ძირითადი წინადადება), არამედ წინადადება, რომელიც კომისიის წევრთა შეფასების ცხრილში თითქმის ბოლო ადგილზე იმყოფებოდა, ანუ შპს „ზიმო“-ს ალტერნატიული წინადადება, რაც გულისხმობდა მთელ 16 კილომეტრიან მონაკვეთზე ასფალტის საფარის ნაცვლად ცემენტობეტონის საფარის მოწყობას.**

№1 ლოტზე გამარჯვებული შპს „გზამშენი-4“ იძულებული გახდა, უარი ეთქვა ტენდერის მოგებაზე, რადგან საავტომობილო გზების დეპარტამენტმა მოულოდნელად შეცვალა მოთხოვნის კრიტერიუმები და ასფალტის საფარს ცემენტო-ბეტონის გზა ამჯობინა.

ტენდერის სამივე ლოტზე კომისიის რიგით მეექვსე კომისიის ოქმით, გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ზიმო“-ს ალტერნატიული წინადადება, რაც გულისხმობდა ცემენტო-ბეტონის საგზაო საფარის მოწყობას.

აღნიშნული გადაწყვეტილება კომისიამ მიიღო იმ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ სატენდერო წინადადება ითვალისწინებდა ტექნოლოგიური სიახლის დანერგვას და სასურველი იყო, **„საცდელად მოწყობილიყო ცემენტობეტონიანი საფარის საავტომობილო გზის მონაკვეთი“.**

**<u>რამდენად ჰქონდა ასეთი გადაწყვეტილების მიღების უფლება სატენდერო კომისიას?</u>**

საავტომობილო გზების დეპარტამენტის, როგორც შემსყიდველი ორგანიზაციის აღნიშნული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სახელმწიფო შესყიდვების წესს.

საავტომობილო გზების დეპარტამენტის სატენდერო კომისიამ პირველივე სხდომაზე დაამტკიცა პრეტენდენტთა შეფასების კრიტერიუმები და ეს კრიტერიუმები იყო შემდეგი:

| *№* | *შეფასების კრიტერიუმი* | *კოეფიციენტი* |
|---|---|---|
| **I** | **ტექნიკური ნაწილი** | **0.3** |
| | 1) პრეტენდენტის კონკრეტული გამოცდილება და ძირითადი მომსახურე პერსონალის გამოცდილება — 35% | 0.105 |
| | 2) შემოთავაზებული პროგრამა — 30% | 0,09 |
| | 3) ტექნიკური აღჭურვილობა — 35% | 0,105 |
| **II** | **ფინანსური ნაწილი** | **0.7** |

ამ კრიტერიუმების თანახმად, ძირითადი აქცენტი გაკეთებული იყო ფასზე. რაც შეეხება ტექნიკურ სიახლეს, შეფასების ამგვარი კრიტერიუმი კომისიის მიერ არ ყოფილა გათვალისწინებული არც პირველ სხდომაზე და არც ტენდერის მეორე ეტაპზე, როდესაც კანონმდებლობა იძლეოდა შერჩევის კრიტერიუმების ცვლილებების შესაძლებლობას.

ეს ფაქტი კომისიისთვის რომ კარგად იყო ცნობილი, სატენდერო კომისიის №6 ოქმიდანაც ჩანს:

> **„დადგენილი სატენდერო კრიტერიუმებით ახალი ტექნოლოგიების დანერგვის შეფასება არ იყო გათვალისწინებული, ამიტომ კომისიის წევრებს არ ჰქონიათ საშუალება, შეეფასებინათ ალტერნატიული წინადადებების ტექნოლოგიური აქტუალობა“.**

მიუხედავად ამისა, ოქმში ვკითხულობთ:

> **„თუმცა, ტექნოლოგიის გათვალისწინებით კომისიის წევრები უპირატესობას ანიჭებენ შპს „ზიმოს“ ალტერნატიულ წინადადებას ცემენტობეტონის საფარის მოწყობის სახით“.**

ამრიგად, კომისიამ, მართალია, მიუთითა, რომ არ ჰქონდა უფლება, გადაწყვეტილება მიეღო შემოთავაზებული ტექნოლოგიის საფუძველზე, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება მაინც შემოთავაზების ტექნოლოგიურ მხარეზე აპელირებით მიიღო.

ამ დასაბუთებით, კომისიამ სცადა თავი გაემართლებინა, რომ ტენდერში გამარჯვებულად გამოაცხადა არა ის წინადადებები, რომლებიც ყველაზე მეტად აკმაყოფილებდა კრიტერიუმებით დადგენილ მოთხოვნებს, არამედ სრულიად სხვა შემოთავაზება.

**სატენდერო კომისია „მოიხიბლა“ შპს „ზიმო“-ს წინადადებით, რომელიც ითვალისწინებდა ცემენტობეტონის გზის მშენებლობას, თუმცა, კომისიამ ყურადღება არ მიაქცია იმ ფაქტს, რომ ამგვარი ტექნოლოგიით მშენებლობის არანაირი გამოცდილება ამ კომპანიას არ გააჩნდა და ავტომაგისტრალი მისი პირველი ექსპერიმენტი იქნებოდა.**

სატენდერო კომისიამ I რიგის სამუშაოს შესყიდვისას შპს „ზიმო“-სთან მიმართებით დაადგინა, რომ აღნიშნულ კომპანიას *„ნამდვილად შესწევს უნარი, შეასრულოს ასეთი მნიშვნელოვანი კონტრაქტი მეტად შემჭიდროვებულ ვადებში, რაც მას* **განვლილი გამოცდილების** *ანალიზის გათვალისწინებით უკვე საქმით აქვს დადასტურებული*“.

ერთი წლის შემდეგ კი, იგივე სატენდერო კომისიამ იგივე საგზაო მონაკვეთის II რიგის მშენებლობისას გამოცხადებულ ტენდერში შპს „ზიმო“ არ გამოაცხადა ტენდერში გამარჯვებულად შემდეგი მოტივით – შპს „ზიმოს“ **„საკმარისი გამოცდილება არ გააჩნია“.**

## რა ვიცით შპს „ზიმოს“ შესახებ?

შპს „ზიმო“ დაფუძნდა 1997 წელს თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლოს დადგენილებით. მისი დამფუძნებლები იყვნენ:

1. შპს „ზიარი“;

2. შპს „სტროიმოსტ“.

2004 წელს განხორციელებული ცვლილებების შემდეგ ერთ-ერთი დამფუძნებელი კომპანია შპს „ზიარი“ შეერწყა (მიუერთდა) შპს „ზიმოს“ და დამფუძნებლებად განისაზღვრნენ:

1. შპს „სტროიმოსტი“ — 50%;

2. ლევან მარშანია — 10%;

3. გიორგი ეგოიანი — 10%;

4. ილია ქავთარაძე — 10%;

5. გია უროტაძე — 10%;

6. ზურაბ კიკნაძე — 10%.

შპს „ზიმოს“ საწესდებო კაპიტალი შეადგენს 4000 ლარს, ხოლო მისი საქმიანობის საგანია:

– სავაჭრო ოპერაციები, საცალო და საბითუმო ვაჭრობა;

- სასურსათო პროდუქციის წარმოება, გადამუშავება, შესყიდვა, შემოტანა და რეალიზაცია;
- უალკოჰოლო და ალკოჰოლიანი სასმელების, მინერალური და ბუნებრივი სასმელი წყლების ჩამოსხმა;
- თამბაქოს ნაწარმის წარმოება, შემოტანა, შესყიდვა და რეალიზაცია;
- საკვები ობიექტების შექმნა და ექსპლუატაცია;
- სამრეწველო საქონლის წარმოება, საბითუმო და საცალო რეალიზაცია;
- ნავთობპროდუქტებისა და გაზის შესყიდვა, შემოტანა და რეალიზაცია;
- მშენებლობა;
- სატრანსპორტო მომსახურება;
- სხვადასხვა სახის მომსახურების გაწევა;
- საქმიანობა საფინანსო და საფონდო ბაზრებზე;
- საქმიანობა მედიცინისა და ჯანდაცვის სფეროში;
- მედიკამენტებით მომარაგება, სააფთიაქო ქსელის შექმნა;
- ტურიზმი;
- საქმიანობა გართობის ინდუსტრიის სფეროში;
- ნებისმიერი სხვა საქმიანობის განხორციელება, რომელიც არ არის აკრძალული კანონმდებლობით.

როგორც ვხედავთ, შპს „ზიმოს“ საქმიანობის საგანში მითითებულ კატეგორიათაგან ერთადერთი პუნქტი, რომელშიც საავტომობილო გზების მშენებლობა შეიძლება მოიაზრებოდეს, არის **„ნებისმიერი სხვა საქმიანობის განხორციელება, რომელიც არ არის აკრძალული კანონმდებლობით“.**

**კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი შპს „ზიმოს“ შესახებ:**

**ტენდერის მიკერძოებულად განხორციელების ახსნას საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ თავის ანტიკორუფციულ მონაცემთა ბაზაში „სამართლიანი თამაში“ www.fairplay.ge[22] მიაგნო. ბაზაში განთავსებული საჯარო ინფორმაციის მიხედვით, 2006 წლის 9 აგვისტოს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისათვის შპს-მ „ზიმო“ პოლიტიკურ გაერთიანება ნაციონალურ მოძრაობას 200 000 ლარი შესწირა, მისმა კონტრაქტორმა შპს „კავკასუს როუდ პროჯექტმა“ კი, ამავე რიცხვში დამატებით 100 000 ლარი გადარიცხა ზემოაღნიშნული პარტიის ანგარიშზე.**

**ასევე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მოწოდებული ინფორმაციით,[23] შპს „ზიმო“-მ 2007 წლის 21 ნოემბერს პ/გ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ დამატებით კიდევ 100 000 ლარი ჩაურიცხა.**

### ვ) დასკვნა

თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო მაგისტრალის ნატახტარი-ალაიანის მონაკვეთის I რიგის სამუშაოების შესასყიდად ჩატარებული ტენდერის მოკლე დახასიათებისათვის უფრო ეფექტური იქნება, თუკი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობის იმ ნორმებს ჩამოვთვლით,

[22] მონაცემთა ბაზა „სამართლიანი თამაში“ შექმნილია მხოლოდ საჯარო ინფორმაციაზე დაყრდნობით. ყოველი მონაცემი,რომელიც ბაზაშია შესული,კანონიერი მექანიზმების გამოყენებით, კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ III თავისა (ინფორმაციის თავისუფლება) და სხვა საკანონმდებლო აქტების მეშვეობით არის მოპოვებული საჯარო დაწესებულებებიდან.

[23] ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2009 წლის 22 იანვრის №03-05/35 წერილი.

რომლებიც ამ ტენდერის დროს არ დარღვეულა, თუმცა, მაინც გთავაზობთ ზემოთ დეტალურად განხილული და ტენდერის დროს გამოვლენილი ძირითადი დარღვევების მოკლე შეფასებას:

I. კანონმდებლობის თანახმად, განცხადება ტენდერის შესახებ ადგილობრივ გაზეთთან ერთად უნდა გამოქვეყნებულიყო უცხო ქვეყნის მედია საშუალებაში, რომელიც ფართოდ ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით, თუმცა, განცხადება გამოქვეყნდა ორ ადგილობრივ გაზეთში („24 საათი“ და „The Messenger“) ქართულ და ინგლისურ ენებზე. შესაბამისად, დარღვეულ იქნა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტი.

II. შპს „დ და გ ტექნოლოგი“ მეორე ეტაპზე, შეფასების სტადიაზე, სრულიად დაუსაბუთებლად გამოეთიშა ტენდერს. მართალია, მის მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადება არ იყო სრულყოფილი, მაგრამ იდენტურ ხარვეზებს შეიცავდა ყველა სხვა პრეტენდენტის მიერ წარდგენილი წინადადება. ამასთან, შპს „დ და გ ტექნოლოგი“ ტენდერის ლიდერი იყო იმ მხრივ, რომ იგი შემსყიდველ ორგანიზაციას ყველაზე ნაკლებ ფასს სთავაზობდა. მისი წინადადება 15 000 000 ლარით უფრო მომგებიანი იყო გამარჯვებული კომპანიის შეთავაზებაზე.

III. საავტომობილო გზების დეპარტამენტის სატენდერო კომისია ტენდერის მთელი მიმდინარეობისას კონსულტაციებს აწარმოებდა პრეტენდენტ ფირმებთან, შეუზღუდავად აწვდიდა მათ ინფორმაციას მაშინ, როდესაც, კანონმდებლობის თანახმად, მას პრეტენდენტებთან კონსულტაციის უფლება მხოლოდ პირველ ეტაპზე ჰქონდა. ტენდერის მეორე ეტაპზე, პრეტენდენტ ფირმებთან კონსულტაციების გამართვით, სატენდერო კომისიამ დაარღვია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 და მე-20 მუხლები.

IV. საბოლოო ჯამში, ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა არა ის წინადადებები, რომლებსაც კომისიის წევრთა უმრავლესობამ მისცა ხმა, არამედ ერთ-ერთ ბოლო ადგილზე მყოფი შპს „ზიმოს“ ალტერნატიული წინადადება. სატენდერო კომისიამ დაარღვია როგორც გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენის პროცედურა, ასევე, შეფასებისას გამოიყენა სრულიად ახალი კრიტერიუმი (ტექნოლოგიური სიახლე), რისი უფლებაც მას კანონით არ ჰქონდა.

სატენდერო დოკუმენტაციის დეტალურად გაცნობისას გვრჩება შთაბეჭდილება, რომ საავტომობილო გზების დეპარტამენტს, როგორც შემსყიდველ ორგანიზაციას, დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რათა ტენდერში გამარჯვება შპს „ზიმო“-სთვის მიენიჭებინა.

## I რიგის სამუშაოს შესრულება

საავტომობილო გზების დეპარტამენტმა შპს „ზიმო“-სთან ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ გააფორმა 2006 წლის 20 მარტს.

ხელშეკრულების თანახმად, კონტრაქტორ კომპანიას 2006 წლის 31 დეკემბრამდე უნდა დაესრულებინა თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო მაგისტრალის ნატახტარი-აღაიანის მონაკვეთის პირველი რიგის მშენებლობა.

ხელშეკრულების თანხად განისაზღვრა 47 132 575,41 ლარი.

შპს „ზიმომ“ ვერ მოახერხა სამუშაოების დასრულება ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში და თხოვნით მიმართა საავტომობილო გზების დეპარტამენტს, სამუშაოების დასრულების ვადა 2007 წლის ივლისამდე გადაწეულიყო. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაზე 2006 წლის 18 ნოემბრის №3 დანართი შეთანხმების თანახმად, სამივე ლოტზე შესრულების ვადამ 2007 წლის 1 ივლისამდე გადაიწია.

ამრიგად, თბილისის-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო მაგისტრალის ნატახტარი-აღაიანის 16 კილომეტრიანი მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქცია 2007 წლის ზაფხულში დასრულდა და იგი 46 319 950 ლარი დაჯდა.

# ტენდერი №2 – ნატახტარი-ალაიანის მონაკვეთის II რიგის სამუშაოების შესყიდვა

თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის ნატახტარი-ალაიანის მონაკვეთის პირველი რიგის რეკონსტრუქციის სამუშაოების პარალელურად, საავტომობილო გზების დეპარტამენტმა დაიწყო მზადება აღნიშნული მონაკვეთის მეორე რიგის სამუშაოების განსახორციელებლად.

საავტომობილო გზების დეპარტამენტს, კანონმდებლობის თანახმად, წინასწარ ჰქონდა განსაზღვრული შესყიდვის სავარაუდო ღირებულება. შემსყიდველი ორგანიზაციის წინასწარი გამოთვლებით, ნატახტარი-ალაიანის მონაკვეთის მეორე რიგის სამუშაოების რეკონსტრუქცია, სავარაუდოდ, **35 657 810 ლარი** ეღირებოდა.

## ა) განცხადება ტენდერის შესახებ

2006 წლის 20 ნოემბერს ჩატარდა საავტომობილო გზების დეპარტამენტის სატენდერო კომისიის პირველი სხდომა (იხ. დანართი №10). **სხდომაზე გადაწყდა ორეტაპიანი ტენდერის გამოცხადება II რიგის რეკონსტრუქციის სამუშაოების შესასყიდად.** სხდომაზევე დამტკიცდა სატენდერო განცხადების ტექსტი, სატენდერო დოკუმენტაცია და პრეტენდენტთა შეფასების კრიტერიუმები.

| *№* | *შეფასების კრიტერიუმი* | *კოეფიციენტი* |
|---|---|---|
| I | **ტექნიკური ნაწილი** | **0.3** |
| | 1) პრეტენდენტის კონკრეტული გამოცდილება და ძირითადი მომსახურე პერსონალის გამოცდილება — 35% | 0.105 |
| | 2) შემოთავაზებული პროგრამა — 30% | 0,09 |
| | 3) ტექნიკური აღჭურვილობა — 35% | 0,105 |
| II | **ფინანსური ნაწილი** | **0.7** |

სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით, განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ გამოქვეყნდა გაზეთში „24 საათი", ხოლო განცხადების ინგლისური ტექსტი იმავე გაზეთის ინგლისურენოვან გამოცემაში.

სატენდერო კომისიის №1 სხდომის ოქმში გაზეთ „24 საათის" ინგლისურენოვან გამოცემაში განცხადების განთავსების მოტივად მითითებულია შემდეგი: **„[გაზეთი] ურიგდება საქართველოში აკრედიტებულ უცხო ქვეყნების დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგენლობებს"**. მოცემულ შემთხვევაშიც, საავტომობილო გზების დეპარტამენტმა ისევ დაარღვია კანონის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, 8 000 000 ლარზე მეტი ღირებულების ტენდერის ჩატარებისას, განცხადება ტენდერის თაობაზე, ადგილობრივ მედია საშუალებასთან ერთად, უცხო ქვეყნების იმ პერიოდულ ან სპეციალიზებულ გამოცემებში უნდა გამოქვეყნებულიყო, რომლებიც ფართოდ ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კომისიის გადაწყვეტილებით, განცხადება გამოქვეყნდა მხოლოდ გაზეთ „24 საათში" (ქართულ და ინგლისურ ვერსიებში), რომელიც საქართველოს ადგილობრივ გაზეთს წარმოადგენს და მხოლოდ ქვეყნის მასშტაბით ვრცელდება.

## ბ) ტენდერის I ეტაპი — მონაწილეობის მსურველები

ტენდერის პირველი ეტაპი გულისხმობდა ტენდერში მონაწილეობის მსურველი კომპანიების სატენდერო წინადადებების განხილვას და მათ პრეტენდენტებად დამტკიცებას, ანუ იმ კომპანიების გამოვლენას, რომლებიც გადავიდოდნენ ტენდერის მეორე ეტაპზე.

2006 წლის 26 დეკემბერს სატენდერო კომისიამ გახსნა[24] მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირების მიერ დახურული კონვერტებით წარმოდგე-

[24] საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2006 წლის 26 დეკემბრის №2 სხდომის ოქმი.

ნილი საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადე-ბები.

ტენდერში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს:

- შპს „კუტერ ენდ კომპანი KG";
- შპს „Axios";
- შპს „ზიმო";
- შპს „კავკასუს როუდ პროჯექტი";
- სს „ექსენ პროჟე, ინშაათ, თურიზმ ვე თიჯარეთი";
- სს „ოზთაშ ინშაათ, ინშაათ მაზემელერი თიჯარეთი".

ტენდერში მონაწილეობის მსურველთა გამოვლენის შემდეგ, სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით, შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელსაც დე-ტალურად უნდა შეესწავლა წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები, პირველადი სატენდერო წინადადებები და შესაბამისი რეკომენდაციები წარედგინა კომისიისათვის.

2007 წლის 8 იანვარს სატენდერო კომისიის მესამე სხდომაზე განხილულ იქნა ტენდერში მონაწილეობის მსურველთა მიერ წარმოდგენილი პირვე-ლადი წინადადებები და საკვალიფიკაციო მონაცემები. სპეციალურად შე-ქმნილმა ექსპერტთა ჯგუფმა[25] წარმოადგინა რეკომენდაციები თითოეულ მონაწილესთან მიმართებით. თუმცა, ექსპერტთა მიერ კომისიის №3 სხდო-მაზე წარმოდგენილი ინფორმაცია პრეტენდენტთა დასამტკიცებლად საკმა-რისი არ აღმოჩნდა და ექსპერტთა ჯგუფს მიეცა დავალება, ხელახლა შეეს-წავლა ექვსივე კომპანიის მიერ შემოთავაზებული მონაცემები და წინადადე-ბები. სატენდერო კომისიამ 2007 წლის 8 და 15 იანვარს გამართული № 3 და №4 სხდომების შედეგად გამოარკვია შემდეგი (იხ. დანართი №11):

- **შპს „კავკასუს როუდ პროჯექტის"** მიერ წარმოდგენილი საკვალი-ფიკაციო მონაცემები აკმაყოფილებდა ყველა მოთხოვნას. დაზუსტე-ბას საჭიროებდა: ა) ინფორმაცია ქვეკონტრაქტორების ბალანსზე რიცხული მანქანა-მექანიზმების შესახებ; ბ) ინფორმაცია ობიექტის მშენებლობისათვის საჭირო ძირითადი კონსტრუქციების შესახებ (წარმოდგენილი იყო მხოლოდ ინგლისურ ენაზე). აღნიშნული კომ-პანია ქვეკონტრაქტორებად იწვევდა ფირმებს „Heilit+Woerner Baug GMBH"-სა და „Starbag International GMBH"-ს.

  **სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით, შპს „კავკასუს როუდ პროჯექტი" დამტკიცდა პრეტენდენტად.**

- **შპს „კუტერ ენდ კომპანი KG"-ის** წინადადება საჭიროებდა და-ზუსტებას, კერძოდ, მას არ წარმოუდგენია ცნობა ქვეკონტრაქ-ტორების აყვანის, მათ მიერ გასაწევი სამუშაოსა და ობიექტის მშენ-ებლობისათვის საჭირო ძირითადი კონსტრუქციების შესახებ. ასევე, ზოგიერთი დოკუმენტი საჭიროებდა მეტ დაზუსტებას, კერძოდ, მანქანა-მექანიზმების სიმძლავრეები და ტექნიკური მონაცემები, ასფალტის და ცემენტო-ბეტონის ქარხნების ადგილმდებარეობა და ა.შ.

  **ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული წინადადების და საკვალიფიკა-ციო მონაცემების პირველადი შესწავლისას, კომპანიას მისცა პრეტენდენტად დამტკიცების რეკომენდაცია.**

- **შპს „axios"** მიერ წარმოდგენილი პირველადი წინადადება ვერ აკ-მაყოფილებდა რიგ საკვალიფიკაციო და სატენდერო მოთხოვნებს. კომპანიას არ ჰქონდა წარმოდგენილი ფირმის სპეციალისტების და მათ მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების შესახებ მონაცე-მები, ასევე, ინფორმაცია მსგავსი საქმიანობის განხორციელების გამოცდილების შესახებ. საჭირო ტექნიკა-დანადგარები კომპანიას ნაქირავები ჰქონდა საბერძნეთში არსებული ფირმისაგან, თუმ-ცა, არაფრით დასტურდებოდა ის, რომ ამ ფირმას თავად გააჩნდა აღნიშნული ტექნიკა.

---

[25] ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ: შ.ხალვაში, ო.ხატიაშვილი, ბ.მინჯორაია, რ.ჩეჩელაშვილი, დ.ლომინაძე.

**სატენდერო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, არ დაემტკიცებინა შპს „axios" პრეტენდენტად;**

- **ს/ს „ექსენ პროჟე, ინშაათ, თურიზმ ვე თიჯარეთი"**-ს მიერ წარმოდგენილი წინადადება საჭიროებდა დაზუსტებას, კერძოდ, არ იკვეთებოდა ფირმის გამოცდილება; დასაზუსტებელი იყო ინფორმაცია კომპანიის სპეციალისტების კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ; ინფორმაცია მანქანა-მექანიზმების, მათი ოდენობის, წარმადობისა და მდგომარეობის შესახებ. ასევე, საეჭვო იყო გარიგება კარიერის ქირავნობის შესახებ.

  **მიუხედავად აღნიშნული ხარვეზებისა, ექსპერტთა ჯგუფმა მისცა კომპანიას პრეტენდენტად დამტკიცების რეკომენდაცია. შესაბამისად, კომისიის გადაწყვეტილებით, მას მიეცა ტენდერში მონაწილეობის შესაძლებლობა.**

- **ს/ს „ოზთაშ ინშაათ, ინშაათ მაზემელერი თიჯარეთი"** აკმაყოფილებდა ძირითად კრიტერიუმებს. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის თანახმად, სასურველი იყო მანქანა-დანადგარებისა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაციის დაზუსტება.

  **ექსპერტთა ჯგუფმა მისცა ს/ს „ოზთაშ ინშაათ, ინშაათ მაზემელერი თიჯარეთს" ტენდერში მონაწილეობის რეკომენდაცია და, კომისიის გადაწყვეტილებით, იგი დამტკიცდა პრეტენდენტად.**

- **შპს „ზიმოს"** მიერ წარმოდგენილი წინადადება ძირითადად აკმაყოფილებდა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. საჭირო იყო მხოლოდ რამდენიმე მონაცემის დაზუსტება, კერძოდ, ინფორმაცია ცემენტ-ბეტონის საფარის დამგები კომპლექტის, ბეტონის პარაპეტების მოსაწყობი აგრეგატებისა და ცემენტ-ბეტონის ქარხნის შესახებ.

  **ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციითა და სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით, შპს „ზიმო" დამტკიცდა პრეტენდენტად.**

ამრიგად, საავტომობილო გზების დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით,[26] ტენდერში პრეტენდენტებად დამტკიცდნენ:

- შპს „კავკასუს როუდ პროჯექტი";
- შპს „კუტერ ენდ კომპანი KG";
- სს „ექსენ პროჟე, ინშაათ, თურიზმ ვე თიჯარეთი";
- შპს „ზიმო";
- სს „ოზთაშ ინშაათ, ინშაათ მაზემელერი თიჯარეთი".

ერთადერთი კომპანია, რომელიც არ იქნა დაშვებული ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იყო **შპს „axios".**

### გ) ტენდერის II ეტაპი — წინადადებების განხილვა და შეფასება

2007 წლის 23 თებერვალს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სატენდერო კომისიის №6 სხდომაზე გაიხსნა ტენდერის მეორე ეტაპზე მონაწილე პრეტენდენტების მიერ დახურული კონვერტებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები და დაფიქსირდა მათ მიერ შემოთავაზებული ფასები (იხ. დანართი №12).

| პრეტენდენტი ფირმა | შემოთავაზებული ფასი | სავარაუდო ღირებულება | სხვაობა |
|---|---|---|---|
| შპს „კავკასუს როუდ პროჯექტი" | 38 378 594,76 | 35 657 810 | **+ 2 739 259,71** |
| შპს „კუტერ ენდ კომპანი KG" | 38 025 000 | | **+ 2 367 190** |
| სს „ექსენ პროჟე, ინშაათ, თურიზმ ვე თიჯარეთი" | 32 745 144 | | **– 3 665 363,23** |
| შპს „ზიმო" | 34 791 252,32 | | **– 1 184 459,66** |
| სს „ოზთაშ ინშაათ, ინშაათ მაზემელერი თიჯარეთი" | 37 873 313,76 | | **+ 2 215 817,64** |

[26] საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სატენდერო კომისიის 2007 წლის 15 იანვრის №4 სხდომის ოქმი.




ამავე კომისიის სხდომაზე შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელსაც დაევალა წარმოდგენილი წინადადებების შესწავლა და შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენა სატენდერო კომისიისთვის.

2007 წლის 12 მარტს გამართულ სატენდერო კომისიის რიგით მეშვიდე სხდომაზე[27] განხილულ იქნა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილ სატენდერო წინადადებებთან მიმართებით (იხ. დანართი №13).

აღნიშნული ანალიზის საფუძველზე, სატენდერო კომისიას უნდა მიეღო გადაწყვეტილება, თუ რომელი კომპანიების წინადადებები იქნებოდა დაშვებული შესაფასებლად.

ექსპერტთა ჯგუფის ანალიზის საფუძველზე გამოირკვა შემდეგი:

- **შპს „კავკასუს როუდ პროჯექტის“** მიერ წარმოდგენილი წინადადება არსებითად შეესაბამებოდა დეპარტამენტის მიერ სატენდერო დოკუმენტაციით და განცხადებით მოთხოვნილ პირობებს. თუმცა, სატენდერო წინადადება არ შეიცავდა ამომწურავ ინფორმაციას ქვეკონტრაქტორების ბალანსზე რიცხული საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ.
  - **აღნიშნული კომპანიის წინადადება, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციით და სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით, დაშვებულ იქნა შეფასების სტადიაზე.**
- **შპს „კუტერ ენდ კომპანი KG“** – აღნიშნულმა კომპანიამ თავისი სატენდერო წინადადება წარადგინა მთელი რიგი დარღვევებით. კერძოდ, დაგვიანებით იქნა წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა; საბანკო გარანტია არ აკმაყოფილებდა მოთხოვნებს; **შპს-მ „კუტერ ენდ კომპანი KG“** არასაკმარისი ინფორმაცია წარადგინა მანქანა-მექანიზმების თაობაზე; არასაკმარისად იყო მოცემული ინფორმაცია პერსონალის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით; ასევე, კომპანიამ არასრული ინფორმაცია წარადგინა საკუთარი გამოცდილების თაობაზე.
  - **ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციით და სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით, შპს „კუტერ ენდ კომპანი KG“ არ იქნა დაშვებული წინადადების შეფასების ეტაპზე.**
- **ს/ს „ექსენ პროჟე ინშაათ თურიზმ ვე თიჯარეთი“** – კომპანიის მიერ წარმოდგენილი წინადადება არსებითად შეესაბამებოდა მოთხოვნილ კრიტერიუმებს, თუმცა, წინადადება არასაკმარის ინფორმაციას შეიცავდა სპეციალისტთა კვალიფიკაციის შესახებ, უფრო სწორად, არ ირკვეოდა, ჰქონდათ თუ არა სპეციალისტებს ცემენტობეტონის საფარის მოწყობის გამოცდილება. წარდგენილი დოკუმენტების მიხედვით, ცემენტობეტონის ქარხანა ქალაქ ტრაპზონში მდებარეობდა.

[27] საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სატენდერო კომისიის სხდომის 2007 წლის 12 მარტის №7 სხდომის ოქმი.

- **სატენდერო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, დაეშვა პრეტენდენტი შეფასების სტადიაზე**.

- **შპს „ზიმოს“** მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება ძირითადად აკმაყოფილებდა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ერთადერთი მოთხოვნა, რასაც კომპანია სრულად ვერ აკმაყოფილებდა, ეს იყო თავად ფირმისა და მისი პერსონალის გამოცდილება. მიუხედავად იმისა, რომ საავტომობილო გზების დეპარტამენტმა ცემენტობეტონის გზის მშენებლობა სწორედ ამ ფირმის წინადადებით და შესრულებით დაიწყო, მეორე რიგის სამუშაოების შესყიდვისას მისი გამოცდილება არასაკმარისად მიიჩნია. **თუმცა, კომპანია დაშვებულ იქნა შეფასების სტადიაზე.**
- **სს „ოზთაშ ინშაათ, ინშაათ მაზემელერი თიჯარეთი“-ს მიერ** წარმოდგენილი წინადადება **ს/ს „ექსენ პროჟე, ინშაათ, თურიზმ ვე თიჯარეთის“** მიერ წარმოდგენილი წინადადების იდენტური იყო. კერძოდ, განაცხადში მითითებული იყო იგივე კონტრაქტორები, იგივე მომწოდებლები, იგივე ქარხანა და იგივე ტექნიკა. ერთადერთი განსხვავება იყო შემოთავაზებული ფასი. თუმცა, სატენდერო კომისიას ეს ფაქტი ოქმში არც კი აღუნიშნავს. **კომისიის გადაწყვეტილებით, კომპანია დაშვებულ იქნა შესაფასებლად.**

ამრიგად, სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით, შპს „კუტერ ენდ კომპანი KG“-ის გარდა, ყველა პრეტენდენტი დაშვებულ იქნა შეფასების სტადიაზე.

რაც შეეხება ამ უკანასკნელს, სატენდერო კომისიამ უარი თქვა მის დაშვებაზე შესაფასებლად იმის გამო, რომ ხარვეზიანად ჩათვალა მისი განცხადება.

### დ) ტენდერის გამარჯვებულის გამოვლენა

სატენდერო კომისიის 2007 წლის 12 მარტის მე-7 სხდომაზე კომისიის წევრებს დაევალათ სატენდერო წინადადებების დეტალური შესწავლა გამარჯვებული კომპანიის გამოსავლენად. მომდევნო დღეს, 2007 წლის 13 მარტის რიგით მერვე სხდომაზე კომისია შეიკრიბა საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად და ტენდერში გამარჯვებული კომპანიის დასასახელებლად (იხ. დანართი №14).

კომისიის წევრთა შეფასებები შემდეგნაირად გადანაწილდა:

| № | სატენდერო კომისიის წევრები | პრეტენდენტები | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | შპს „კავკასუს როუდ პროჯექტი“ | შპს „ზიმო“ | ს/ს „ექსენ პროჟე, ინშაათ, თურიზმ ვე თიჯარეთი | ს/ს „ოზთაშ ინშაათ, ინშაათ მაზემელერი თიჯარეთი“ |
| 1 | რ. დალაქიშვილი | 8.51 | 9.21 | 9.7 | 8.58 |
| 2 | ი.ლითანიშვილი | 8.38 | 8.97 | 9.4 | 8.28 |
| 3 | გ. წერეთელი | 8.42 | 9.17 | 9.49 | 8.42 |
| 4 | დ. კილაბერიძე | 8.51 | 9.21 | 9.7 | 8.58 |
| 5 | ნ. გასვიანი | 8.7025 | 9.385 | 9.6475 | 8.6675 |
| 6 | ა. თვალჭრელიძე | 6.35 | 9.0 | 9.415 | 6.525 |
| 7 | თ. გველესიანი | 8.45 | 9.48 | 9.685 | 8.62 |
| 8 | დ. კორახაშვილი | 8.1 | 8.9 | 9.4 | 8.0 |
| 9 | შ. ხალვაში | 8.53 | 9.2 | 9.4 | 8.32 |
| **საშუალო კოეფიციენტი** | | **8.21** | **9.17** | **9.54** | **8.22** |

სატენდერო კომისიის წევრების აბსოლუტური უმრავლესობის გადაწყვეტილებით, ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა **სს „ექსენ პროჟე ინშაათ თურიზმ ვე თიჯარეთი“ (თურქეთი) 31 992 446.77 ლარიანი განაცხადით.**

**რა ვიცით ტენდერში გამარჯვებული კომპანიის შესახებ?**

აღნიშნული კომპანიის მიერ სატენდერო კომისიისათვის წარდგენილი დოკუმენტაციის დეტალურად განხილვისას ჩნდება კითხვა მისი გამოცდილებისა და კვალიფიკაციის შესახებ:

1. ს.ს. „ექსენ პროჟე ინშაათ თურიზმ ვე თიჯარეთ"-მა სატენდერო კომისიას წარუდგინა 2002 წელს გაცემული ცნობა მშენებლობისათვის აუცილებელი მანქანა-მექანიზმების საკუთრების შესახებ, რაც, ჩვენი აზრით, არ უნდა ყოფილიყო საკმარისი კომპანიის ხელთ არსებულ აღჭურვილობაში დასარწმუნებლად;

2. კომპანიას კომისიისათვის არ წარუდგენია ცნობა ბეტონის ქარხნის შესახებ, რაც ტენდერის აუცილებელი მოთხოვნა იყო. კომპანია შემოიფარგლა წერილით, რომლითაც აცნობა კომისიას, რომ ქარხანა მზადაა ქ. ტრაპზონში თურქეთის ტერიტორიაზე, რაც ნიშნავს, რომ კონტრაქტორს ცემენტ-ბეტონი ნატახტარი-აღაიანის ტერიტორიაზე თურქეთიდან უნდა შემოეტანა. აღნიშნული თავისთავად არარეალურად ჟღერს იმის გათვალისწინებით, რომ საავტომობილო გზების დეპარტამენტმა პირველი რიგის სამუშაოების შესყიდვისას არაერთი ფირმა მხოლოდ იმიტომ არ დაუშვა ტენდერში მონაწილეობის მისაღებად, რომ მათი ქარხნები მშენებლობის ადგილიდან მოშორებით იყო განლაგებული;

3. ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა კომპანიის ექსპერტთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების საკითხია. პრეტენდენტისა და ქვეკონტრაქტორის შპს „ონური ინშაათ სანაი ვე თიჯარეთის" მიერ წარმოდგენილი 16 სპეციალისტის მონაცემებიდან ირკვეოდა, რომ შვიდ სპეციალისტს არ გააჩნდა სავალდებულოდ მოთხოვნილი 5 წლიანი გამოცდილება, დანარჩენი ცხრა სპეციალისტის შესახებ წარმოდგენილი მონაცემებიდან კი არ ირკვეოდა, საერთოდ ჰქონდათ თუ არა მათ ცემენტობეტონის გზის მშენებლობის გამოცდილება.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ ტენდერში მონაწილე ორ კომპანიას **სს „ექსენ პროჟე ინშაათ თურიზმ ვე თიჯარეთ"-ისა** და **ს/ს „ოზთაშ ინშაათ, ინშაათ მაზემელერ"**-ის მიერ წარდგენილი წინადადებები მეტისმეტად წააგავდა ერთმანეთს. ორივე კომპანიას ერთი და იგივე ტექნიკური მაჩვენებლები და ერთი და იგივე კონტრაქტორები ჰყავდა, კერძოდ:

1) ორივე მათგანი უთითებდა, რომ ქ. ტრაპზონში, თურქეთის ტერიტორიაზე გააჩნდა ბეტონის ქარხანა, რომელიც ექსპლუატაციაში გაიშვებოდა წარმოების დაწყებიდან 15 დღის ვადაში;

2) ორივე კომპანია ასაბუთებდა, რომ მანქანა-მექანიზმების ნაწილი, რომელიც არ იყო წარმოდგენილი სატენდერო წინადადებაში, მდებარეობდა თურქეთში და ხელშეკრულების გაფორმებიდან 30-45 დღეში იქნებოდა ადგილზე მობილიზებული;

3) ორივე კომპანიას ბეტონის სამუშაოების შესრულების თაობაზე ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული შპს **„ონურ ინშაათ სანაი ვე თიჯარეთთან"**;

4) კოჭის წარმოებისა და სამონტაჟო სამუშაოების შესრულების თაობაზე ორივე კომპანიას ხელშეკრულება ჰქონდა დადებული შპს „77 ინშაათ ვე თაუჰუთთან";

5) სოფელ აღაიანში მდებარე ა/ბ და ცემენტო-ბეტონის ქარხნების დაქირავებას ორივე კომპანია შპს „ბლექ სი გრუპისგან" აპირებდა.

ამ „შემთხვევით" დამთხვევებს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სატენდერო კომისიის წევრებში კითხვები არ გამოუწვევია.

კომისიამ ეს ფაქტი არ ჩათვალა მნიშვნელობის მქონე გარემოებად, თუმცა, თუკი 2006 წელს გამართული იგივე მონაკვეთის I რიგის სამუშაოებთან დაკავშირებულ ტენდერს გავიხსენებთ, ვნახავთ, რომ იმ დროისთვის ამგვარ დამთხვევებს კომისია მეტად სერიოზულად აღიქვამდა.

წინა ტენდერში შპს **„გზა-2005"** მხოლოდ იმიტომ გამოეთიშა ტენდერს პირველივე ეტაპზე, რომ მას გარკვეული ტექნიკა იჯარით ჰქონდა აღებული ტენდერის მეორე მონაწილე შპს **„ზიმო"-საგან.** მაშინ სატენდერო კომისიამ ივარაუდა, რომ თუკი შპს „ზიმო" გაიმარჯვებდა ტენდერში რომელიმე ლოტზე,

მისი ხელშეკრულება შპს „გზა 2005"-სთან ჩაიშლებოდა. სწორედ ამ არგუმენტზე დაყრდნობით, შპს „გზა 2005" გამოეთიშა ტენდერს.

**სს „ექსენ პროჟე ინშაატ თურიზმ ვე თიჯარეთ"-ის შემთხვევაში კი, სატენდერო კომისია არც კი დააეჭვა იმ ფაქტმა, რომ ტენდერში მონაწილე ორი კომპანია ერთსა და იმავე ქონებაზე აცხადებდა საკუთრების უფლებას და ერთი და იგივე კონტრაქტორები ჰყავდა.**

აღნიშნული ფაქტი, ალბათ ყველაზე უკეთ გამოხატავს იმ არათანაბარ მიდგომას საავტომობილო გზების დეპარტამენტის მხრიდან, რომელსაც ეს უწყება სხვადასხვა კომპანიებისა და პირების მიმართ იჩენს.

## II რიგის სამუშაოს შესრულება

სს „ექსენ პროჟე ინშაატ თურიზმ ვე თიჯარეთ"-ის სატენდერო წინადადებისა და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების თანახმად, თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო მაგისტრალის ნატახტარი-აღაიანის 16კმ-იანი ზოლის II რიგის მშენებლობის შესასყიდად საავტომობილო გზების დეპარტამენტმა კონტრაქტორს 31 992 446,77 ლარის ღირებულების ხელშეკრულება დაუდო.

აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, კონტრაქტორს მშენებლობა უნდა დაესრულებინა 2007 წლის 31 დეკემბერს, თუმცა, აღნიშნული სამუშაოები ჯერ კიდევ[28] არ არის დასრულებული. გზის ამ მონაკვეთის მშენებლობა 2009 წელშიც გრძელდება.

თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო მაგისტრალის ნატახტარი-აღაიანის 16 კილომეტრიანი მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქციის ღირებულებამ შეადგინა 30 124 100 ლარი.

## განათების სამუშაოების შესყიდვა

სატენდერო დოკუმენტაციის განსაზღვრის და შესასყიდი მომსახურების ფორმულირების დროს საგზაო დეპარტამენტმა ვერ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ საავტომობილო მაგისტრალზე აუცილებელი იქნებოდა განათების მოწყობა.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, საავტომობილო გზების დეპარტამენტს მიეცა უფლება, ტენდერის ჩატარებასთან დაკავშირებული პრობლემები თავიდან აეცილებინა და განათების შესყიდვა ერთ პირთან მოლაპარაკების გზით განეხორციელებინა.

საქართველოს მთავრობამ 2007 წლის 13 ნოემბერს მიიღო №658 განკარგულება **„საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის პარამეტრებით მოდერნიზებულ მონაკვეთზე განათების სისტემების მოწყობის შესახებ".**

აღნიშნული განკარგულების თანახმად, საავტომობილო გზების დეპარტამენტს დაევალა წიწამური-იგოეთის საავტომობილო გზის მონაკვეთზე, 2008-2009 წლებში კი – იგოეთი-რუისის გზის მონაკვეთზე განათების სამუშაოების სისტემის მოწყობა. აქვე, მთავრობამ დეპარტამენტს დაავალა შესყიდვა განეხორციელებინა ერთ პირთან მოლაპარაკების გზით.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონი ადგენს, თუ რა არის ერთ პირთან მოლაპარაკების გზით სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზანი და რა შემთხვევებში უნდა მოხდეს მისი გამოყენება. სახელმწიფო შესყიდვის ამ ფორმით სარგებლობა სახელმწიფო უწყებებს მაშინ შეუძლიათ, როდესაც შესასყიდი საქონლის ან მომსახურების ღირებულება დაბალია და არ არის მართებული მცირე რაოდენობის შესყიდვის განხორციელებისათვის ხანგრძლივი და რთული პროცედურების შესრულება. ასევე, ერთ პირთან მოლაპარაკების ფორმა გამოიყენება ფორსმაჟორულ სიტუაციებში, როდესაც საჭიროა სწრაფი რეაგირება.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ე"

[28] 2009 წლის იანვრის მდგომარეობით.

ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, თუ: **„სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად გატარების მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის ან/და საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით დადგინდა შესყიდვების განხორციელება“.**

მოცემული მუხლი პრეზიდენტსა და მთავრობას ამ ნორმით სარგებლობის უფლებას მხოლოდ იმ შემთხვევაში აძლევს, თუკი აუცილებელია ღონისძიებების გატარება შეზღუდულ ვადებში, წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველმა ორგანიზაციამ ჩვეულებრივ უნდა დაიცვას კანონით გათვალისწინებული შესყიდვის პროცედურები.

**ნატახტარი-აღაიანის მონაკვეთზე განათების დამონტაჟება სახელმწიფო ბიუჯეტს 3 500 000 ლარი დაუჯდა**. ეს საკმაოდ მსხვილი ციფრია და ამ მოცულობის საბიუჯეტო სახსრების განკარგვა მკაცრი პროცედურული დაცვით უნდა ხდებოდეს. მით უმეტეს, რომ ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთის მშენებლობა 2006 წლის დასაწყისში დაიწყო და ჯერ კიდევ არ დასრულებულა. სამწლიანი პერიოდი საკმაოდ დიდი დროა იმისათვის, რომ განათების სამუშაოების მოწყობა „შეზღუდულ ვადებში“ შესასრულებელ სამუშაოდ არ დაკვალიფიცირებულიყო.

საავტომობილო გზების დეპარტამენტს საკმაო დრო ჰქონდა იმისათვის, რომ განათების სამუშაოების ამ მოცულობის შესასყიდად ტენდერი გამოეცხადებინა და კონკურენტულ გარემოში შეერჩია შემსრულებელი კომპანია, მაგრამ შესყიდვა მაინც ერთ პირთან მოლაპარაკების გზით განხორციელდა.

ამ სამუშაოსათვის მომწოდებლად საავტომობილო გზების დეპარტამენტმა შეარჩია შპს „ენერჯი ინვესტ გრუპი“ და მასთან გაფორმდა ორი ხელშეკრულება:

- თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს/გზის 25-27კმ მონაკვეთზე განათების სისტემის მოწყობისათვის. ხელშეკრულების ფასი განისაზღვრა 400 000 ლარით.
- თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს/გზის 27-46კმ მონაკვეთზე განათების სისტემის მოწყობისათვის. ხელშეკრულების ფასი განისაზღვრა 3 100 000 ლარით.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აზრით, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება განათების სამუშაოების ერთ პირთან მოლაპარაკების გზით შესყიდვის თაობაზე ეწინააღმდეგებოდა სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ კანონმდებლობას.

კანონმდებლობა ნათლად ითვალისწინებს, რომ პრეზიდენტსა და მთავრობას ზემოთ აღნიშნული უფლების გამოყენება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში შეუძლიათ და მაშინაც აუცილებელია დასაბუთდეს, რომ ამ მექანიზმის გამოყენება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ნორმა სახელმწიფო ბიუჯეტის დაუსაბუთებელი და არაეფექტური ხარჯვის საფუძველი გახდება.

მიგვაჩნია, რომ საავტომობილო მაგისტრალის განათების სამუშაოების შესყიდვა სწორედ ის შემთხვევაა, როდესაც საქართველოს მთავრობა გასცდა უფლებამოსილების ფარგლებს და, დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებით, შექმნა საბიუჯეტო სახსრების არაეფექტური ხარჯვის საფრთხე.

## დასკვნა

დასაწყისშივე შევნიშნეთ, რომ თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო მაგისტრალის მშენებლობა-რეკონსტრუქცია ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი წამოწყებაა. პროექტის განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ გზის მშენებლობა-რეკონსტრუქციაზე დახარჯული რესურსები მაქსიმალურად ეფექტურად იქნეს გამოყენებული და საზოგადოება, როგორც ამ პროექტის მთავარი სპონსორი, დეტალურ ინფორმაციას ფლობდეს და მაქსიმალურად იქნეს ჩართული პროცესებში.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, როგორც ყოველთვის, ცდილობს, შეფასების და კრიტიკის გზით უფრო ეფექტური და წარმატებული გახადოს სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობა. ამჯერად ჩვენ დეტალურად შევისწავლეთ ნატახტარი-აღაიანის 16 კილომეტრიანი ზოლის მშენებლობის სამართლებრივი და ფინანსური მხარე და ანალიზის პროცესში კანონმდებლობის არაერთ დარღვევას წავაწყდით.

წარმოდგენილმა ანგარიშმა ცხადყო, რომ სახელმწიფო დაწესებულებებში კვლავაც მწვავედ დგას მიკერძოებულობის, არათანაბარი მიდგომის, კანონის მოთხოვნათა უგულებელყოფის პრობლემები და კორუფციის საფრთხეები.

უახლოეს მომავალში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას დაგეგმილი აქვს, საზოგადოებას წარუდგინოს:

- თბილისი-სენაკი-ლესელიძის გზატკეცილის, აღაიანი-იგოეთის მონაკვეთზე განხორციელებული სამშენებლო საქმიანობის სამართლებრივი და ფინანსური მონიტორინგის შედეგები;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ზოგიერთი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის სამართლებრივი და ფინანსური მონიტორინგის შედეგები;
- საქართველოს მთავრობასა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის/სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანიებს შორის *ზოგიერთი სახელმწიფო გზის რეაბილიტაციის შესახებ* 2007 წლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული 10 მილიონიანი გრანტის ხარჯვის მონიტორინგის შედეგები.

ასევე, გათვალისწინებულია ეკონომიკური და ტექნიკური შინაარსის ექსპერტული კვლევების მომზადება, რათა სრულყოფილად იქნეს შესწავლილი საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების ფარგლებში საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის ეფექტურობა და მიღებული შედეგების ტექნიკური ხარისხის ადეკვატურობა.

# დანართები

## დანართი №1

| | |
|---|---|
| სახელმწიფო შესყიდვების განმახორციელებელი: | – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი |
| სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების საშუალება; | – ღია საერთაშორისო ტენდერი |
| ტენდერი: | – თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ.30(0.7)-კმ.37(0.6)–ლოტი№1, კმ37(0.4)-კმ.43(0.6)–ლოტი№2 და კმ27(0.6)-კმ.30(0.3)–ლოტი№3 მონაკვეთების რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოები |

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის
სატენდერო კომისიის სხდომის

ოქმი № 1

ქ. თბილისი 2006 წლის 09 იანვარი

თემა: *თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ.30(0.7)-კმ.37(0.6) – ლოტი №1, კმ37(0.4)-კმ.43(0.6) – ლოტი №2 და კმ27(0.6)-კმ.30(0.3) – ლოტი №3 მონაკვეთების რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოების შესყიდვაზე ღია საერთაშორისო ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების ტექსტის და პირველადი სატენდერო დოკუმენტაციის დამტკიცების შესახებ.*

სხდომას ესწრებოდნენ:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:

დეპარტამენტის თავმჯდომარე — რ. დალაქიშვილი

სატენდერო კომისიის წევრები:

თავმჯდომარის მოადგილე — ი. ლითანიშვილი

ეკონომიკისა და ფინანსების სამმართველოს უფროსი — ა. თვალჭრელიძე

იურიდიული, კადრების და სამართლებლივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი — დ. კორახაშვილი

სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი
კომისიის პასუხისმგებელი მდივანი — ჯ. შუბითიძე

კომისიამ განიხილა დეპარტამენტის სატენდერო კომისიის წინაშე განსახილველად გამოტანილი ინფორმაცია თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ30(0.7)-კმ37(0.6) – ლოტი №1, კმ37(0.4)-კმ.43(0.6) – ლოტი №2 და კმ27(0.6)-კმ30(0.3) – ლოტი №3 მონაკვეთების რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის შესყიდვაზე და ტენდერის ჩატარების შესახებ საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადების შედგენისთვის საჭირო მოთხოვნების, სატენდერო დოკუმენტაციისა და განცხადების ტექსტის, მისანიჭებელი 10 ბალიანი სისტემის, ფასისა და ტექნიკური ნაწილებისათვის კრიტერიუმების პრიორიტეტულობის კოეფიციენტების დამტკიცების შესახებ. (ინფორმაცია განსახილველად გამოიტანა სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსმა ჯ. შუბითიძემ).

აზრი გამოთქვეს: საავტომობილო გზების ადმინისტრირების სამმართველოს უფროსმა ნ. გასვიანმა, საავტომობილო გზების განვითარებისა და ტექნიკური პოლიტიკის სამმართველოს უფროსმა თ. გველესიანმა, ეკონომიკისა და ფინანსების სამმართველოს უფროსმა ა. თვალჭრელიძემ, რომლებმაც მხარი დაუჭირეს წინადადებას.

კომისიამ იხელმძღვანელა რა საქართველოს კანონით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" და დაადგინა:

1. დამტკიცდეს პირველადი სატენდერო დოკუმენტაცია.
2. დამტკიცდეს ღია საერთაშორისო ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების ტექსტი თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ30(0.7)-კმ.37(0.6)–ლოტი№1, კმ37(0.4)-კმ.43(0.6)–ლოტი№2 და კმ27(0.6)-კმ.30(0.3)–ლოტი№3 მონაკვეთების რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოების შესყიდვაზე და გამოქვეყნდეს გაზეთ „24 საათში", გაზეთ „The messenjer"-ში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე (www.georoad.ge) და დაეგზავნოს საქართველოში აკრედიტებულ უცხო ქვეყნების დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგენლობებს (ამერიკა, ავსტრია, აზერბაიჯანი, ბელგია, გერმანია, ისრაელი, რუსეთი, საბერძნეთი, საფრანგეთი, სომხეთი, თურქეთი, უკრაინა)
3. დამტკიცდეს საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლის საშუალებითაც განხორციელდება ორგანიზაციების საკვალიფიკაციო შერჩევა და გამოვლინდება პრეტენდენტები.
4. დამტიცდეს ტენდერში გამარჯვებულის გამოსავლენად 10 ბალიანი სისტემა, აგრეთვე ფასისა და ტექნიკური ნაწილების ქვემოთ მოცემული პრიორიტეტულობის კოეფიციენტები:

| № | შეფასების კრიტერიუმი | პრიორიტეტის კოეფიციენტი |
|---|---|---|
| 1 | ტექნიკური ნაწილი | 0.3 |
| | მათ შორის: | |
| | ა) პრეტენდენტის კონკრეტული გამოცდილება და ძირითადი მომსახურე პერსონალის გამოცდილება . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 35% | 0.105 |
| | ბ)შემოთავაზებული პროგრამა. . . . . . . . . . . . . 30% | 0.09 |
| | გ) ტექნიკური აღჭურვილობა . . . . . . . . . . . . . 35% | 0.105 |
| 2 | ფინანსური ნაწილი | 0.7 |

 რ. დალაქიშვილი

ი. ლითანიშვილი

ა. თვალჭრელიძე

დ. კორახაშვილი

ჯ. შუბითიძე

შემსრულებელი ა. ჯორჯიკია

**დანართი №2**

| | |
|---|---|
| სახელმწიფო შესყიდვების განმახორციელებელი: | – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი |
| სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების საშუალება; | – ღია ტენდერი |
| ტენდერი: | – თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზი კმ.30(0.7)-კმ.37(0.6) – ლოტი №1, კმ37(0.4)-კმ.43(0.6) – ლოტი №2 და კმ27(0.6)-კმ.30(0.3) – ლოტი №3 მონაკვეთების რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოები |

## საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სატენდერო კომისიის სხდომის

## ოქმი №2

ქ. თბილისი 2006 წელი 14 თებერვალი

თემა: საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ.30(0.7)-კმ.37(0.6) – ლოტი №1, კმ37(0.4)-კმ.43(0.6) – ლოტი №2 და კმ27(0.6)-კმ.30(0.3) – ლოტი №3 მონაკვეთების რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოების შესასყიდად გამოცხადებულ ტენდერზე იურიდიული პირების მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების და პირველადი მოსაზრებების გახსნა.

სხდომას ესწრებოდნენ:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე — რ. დალაქიშვილი

სატენდერო კომისიის წევრები:

თავმჯდომარის მოადგილე — ი. ლითანიშვილი

თავმჯდომარის მოადგილე — გ. წერეთელი

საავტომობილო გზების ადმინისტრირების სამმართველოს უფროსი — ნ. გასვიანი

საავტომობილო გზების ტექნიკური პოლიტიკის სამმართველოს უფროსი — თ. გველესიანი

იურიდიული, კადრების და სამართლებლივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი — დ. კორახაშვილი

სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი კომისიის პასუხისმგებელი მდივანი — ჯ. შუბითიძე

სატენდერო კომისიის სხდომას სათათბირო ხმის უფლებით ესწრებოდნენ:

1. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან – ამირან მურადხანოვი
2. საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან – დავით ჭელიძე
3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან – დავით ხოსრუაშვილი

*მსვლელობა:*

დაფიქსირდა, რომ ტენდერზე მოსაწვევი განცხადება გამოქვეყნდა:

– ~~ადგილობრივ გაზეთში~~ ქართულ და ინგლისურ ენებზე (2006 წლის 11 იანვრის გაზეთი „24 საათი" და გაზეთი „The messenjer").

– საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე (www.georoad.ge)

– დაეგზავნა განცხადება საქართველოში აკრედიტებულ შემდეგი უცხო ქვეყნების დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგენლობებს (ამერიკა, ავსტრია, ზერბაიჯანი, ბელგია, გერმანია, ინგლისი, ისრაელი, იტალია, რუსეთი, საბერძნეთი, საფრანგეთი, სომხეთი, თურქეთი, უკრაინა).

– ასევე დაეგზავნა წერილი-შეტყობინება საქართველოში აკრედიტებულ ზემოთ ხსენებულ უცხო ქვეყნების დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგენლობებს ხსენებული ობიექტის სამუშაოების შესყიდვაზე ტენდერში მონაწილეობის მსურველ კომპანიებთან მათთვის სასურველი ინფორმაციის მიწოდების მიზნით კონფერენციის გამართვის შესახებ. კონფერენცია გაიმართა მიმდინარე წლის 31 იანვრის, 16.00 საათზე დეპარტამენტის სააქტო დარბაზში.

პრეტენდენტი იურიდიული პირების მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი მოსაზრებები შედგენილია საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის სატენდერო კომისიის მიერ 2006 წლის 09 იანვრის №1 ოქმით დამტკიცებული პირველადი სატენდერო დოკუმენტაციის და ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების ტექსტის მოთხოვნების შესაბამისად.

ტენდერში მონაწილე პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი მოსაზრებების გახსნა მოხდა 2006 წლის 14 თებერვალს მათი წარმომადგენლების თანდასწრებით.

საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი მოსაზრებები წარმოადგინა შემდეგი ორგანიზაციებმა:

| №№ | ტენდერში მონაწილე იურიდიული პირის დასახელება | ლოტი №1 | ლოტი №2 | ლოტი №3 |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 1 | შპს „დ და გ ტექნოლოგი" | + | + | + |
| 2 | შპს „ზიმო" და „კავკასუს როუდ პროჯექტი" | + | + | + |
| 3 | შპს „ემი – ოილი" | + | + | + |
| 4 | შპს „ოსტაში" | + | + | + |
| 5 | შპს „ონურ" | + | + | + |
| 6 | შპს „როლიდერი" | + | + | + |
| 7 | შპს სამშენებლო კომპანია „115 პლიუსი" | + | + | + |
| 8 | შპს „გზამშენი-4" | + | + | არ მონაწილ |
| 9 | თურქულ-ქართული ერთ. კომპანია „ბლექსი გრუფი" | + | + | + |
| 10 | შპს „გზა – 2005" | + | არ მონაწილ | არ მონაწილ |
| 11 | შპს ჰოლდინგი „იმედი" | არ მონაწილ | + | არ მონაწილ |
| 12 | სამშენებლო კომერციული კორპორაცია „ხიდი" | არ მონაწილ | არ მონაწილ | + |

აღსანიშნავია, რომ ტენდერში მონაწილეების მიერ წარმოდგენილი არცერთი პირველადი მოსაზრება არ შეიცავდა იმდაგვარ ინფორმაციას, რაც გამოიწვევდა სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნების დაზუსტებას.

აქედან გამომდინარე სატენდერო კომისიის მიერ 2006 წლის 09 იანვრის №1 ოქმით დამტკიცებულმა სატენდერო დოკუმენტაციამ არანაირი ცვლილება არ განიცადა.

სატენდერო კომისიამ დაადგინა:

1. დარჩეს უცვლელი 2006 წლის 09 იანვარს №1-ი ოქმით დამტკიცებული პირველადი სატენდერო დოკუმენტაცია.

2. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს მოამზადოს ბრძანება სპეციალური საექსპერტო ჯგუფის შექმნის შესახებ, რომელიც განიხილავს თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ.30(0.7)-კმ.37(0.6) – ლოტი №1, კმ37(0.4)-კმ.43(0.6) – ლოტი №2 და კმ27(0.6)-კმ.30(0.3) – ლოტი №3 მონაკვეთების რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოებზე ტენდერში მონაწილე იურიდიული პირების მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემებს, ჩაატარებს შესაბამის ანალიზს და სათანადო რეკომენდაციებით წარუდგენს სატენდერო კომისიას განსახილველად და პრეტენდენტების გამოსავლენად.

3. დაინიშნოს სატენდერო კომისიის მომდევნო სხდომა 2006 წლის 20 თებერვალს 14.00 საათზე.

რ. დალაქიშვილი

ი. ლითანიშვილი

გ. წერეთელი

ნ. გასვიანი

თ გველესიანი

დ. კორახაშვილი

ჯ. შუბითიძე

შემსრულებელი ა. ჯორჯიკია

# დანართი №3

| | |
|---|---|
| სახელმწიფო შესყიდვების განმახორციელებელი ორგანო: | – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი |
| სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების საშუალება; | – ღია ტენდერი |
| ტენდერი: | – თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ.30(0.7)-კმ.37(0.6) – ლოტი №1, კმ37(0.4)-კმ.43(0.6) – ლოტი №2 და კმ27(0.6)-კმ.30(0.3) – ლოტი №3 მონაკვეთების რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოების შესყიდვა |

## საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სატენდერო კომისიის სხდომის

## ოქმი №3

ქ. თბილისი 2006 წელი 20 თებერვალი

თემა: საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ.30(0.7)-კმ.37(0.6) – ლოტი №1, კმ37(0.4)-კმ.43(0.6) – ლოტი №2 და კმ27(0.6)-კმ.30(0.3) – ლოტი №3 მონაკვეთების რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებულ ღია ტენდერში მონაწილე იურიდიული პირების მიერ შემოთავაზებული საკვალიფიკაციო მონაცემების განხილვა–შეფასება.

სხდომას ესწრებოდნენ:

| | |
|---|---|
| სატენდერო კომისიის თავმჯდომარე | |
| საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე | რ. დალაქიშვილი |
| სატენდერო კომისიის წევრები: | |
| თავმჯდომარის მოადგილე | ი. ლითანიშვილი |
| თავმჯდომარის მოადგილე | გ. წერეთელი |
| საავტომობილო გზების ადმინისტრირების სამმართველოს უფროსი | ნ. გასვიანი |
| ეკონომიკისა და ფინანსების სამმართველოს უფროსი | ა. თვალჭრელიძე |
| საავტომობილო გზების ტექნიკური პოლიტიკის სამმართველოს უფროსი | თ. გველესიანი |
| იურიდიული, კადრების და სამართლებლივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი | დ. კორახაშვილი |
| სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი კომისიის პასუხისმგებელი მდივანი | ჯ. შუბითიძე |

სატენდერო კომისიის სხდომას სათათბირო ხმის უფლებით ესწრებოდნენ:
1. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან – ამირან მურადხანოვი
2. საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან – დავით ჭელიძე
3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან – დავით ხოსრუაშვილი

2006 წლის 14 თებერვალს თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ.30(0.7)-კმ.37(0.6) – ლოტი №1, კმ37(0.4)-კმ.43(0.6) – ლოტი №2 და კმ27(0.6)-კმ.30(0.3) – ლოტი №3 მონაკვეთების რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოების შესყიდვაზე განაცხადი და პირველადი მოსაზრებები შემოიტანა 12-მა ორგანიზაციამ: შპს „დ და გ ტექნოლოგი" (სამივე ლოტი), შპს „ზიმო" (სამივე ლოტი), შპს „ემი-ოილი" (სამივე ლოტი), შპს „ოსტაში" (სამივე ლოტი), შპს „ონური" (სამივე ლოტი), შპს „როლიდერი" (სამივე ლოტი), შპს „სამშენებლო კომპანია „115 პლიუსი" (სამივე ლოტი), თურქულ-ქართული ერთობლივი კომპანია „ბლექსი გრუფი" (სამივე ლოტი), შპს „გზამშენი-4" (ლოტი-1, ლოტი-2), შპს გზა-2005" (ლოტი-1), შპს ჰოლდინგ „იმედი" (ლოტი-2), სამშენებლო კომერციული კორპორაცია „ხიდი" (ლოტი-3)

წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი მოსაზრებების შესწავლა და სატენდერო კომისიაზე განხილვისათვის მომზადება დაევალა საექსპერტო კომისიას, რომელიც შეიქმნა საავტომობილო გზების დეპარტამენტის სატენდერო კომისიის თავმჯდომარის 2006 წლის 15 თებერვლის №22 ბრძანებით. აღნიშნულმა კომისიამ იმუშავა 2006 წლის 15 თებერვლიდან 19 თებერვლამდე და სამუშაოს შედეგები ანალიზის სახით განსახილველად წარუდგინა სატენდერო კომისიას ტენდერის მეორე ეტაპზე დასაშვები პრეტენდენტი ორგანიზაციების შერჩევისა და დამტკიცების მიზნით. (საექსპერტო კომისიის ანალიზი ოქმს თან ერთვის).

წარმოდგენილი ანალიზის განხილვის შედეგად სატენდერო კომისიამ გადაწყვიტა, რომ ტენდერის პირველ ეტაპზე მონაწილე 12 ორგანიზაციიდან მხოლოდ 5-ის (შპს „დ და გ ტექნოლოგი" (ლოტი-1, ლოტი-2, ლოტი-3), შპს „ზიმო" (ლოტი-1, ლოტი-2, ლოტი-3), შპს „ონური" (ლოტი-1, ლოტი-2, ლოტი-3), შპს „გზამშენი-4" (ლოტი-1, ლოტი-2), თურქულ-ქართული ერთობლივი კომპანია „ბლექსი გრუფი"(ლოტი-1, ლოტი-2, ლოტი-3)) მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი მოსაზრებები შეესაბამება პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს და ისინი შეიძლება დაშვებული იქნას ტენდერის მეორე ეტაპზე

ტენდერის მეორე ეტაპზე არ იქნა დაშვებული შემდეგი კომპანიები;

1. <u>შპს „ემი-ოილი"</u> – სატენდერო კომისიის მიერ პირველი ეტაპისათვის მოთხოვნილი 13 საკვალიფიკაციო მონაცემებიდან ვერ აკმაყოფილებს 8 ძირითადი მოთხოვნას (არ წარმოუდგენია განაცხადი, არ წარმოუდგენია პირველადი მოსაზრებები, არ წარმოუდგენია ცნობა რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე, არ გააჩნია არც ერთი საკუთარი მანქანა-დანადგარი, არ გააჩნია მონაცემები პერსონალის კვალიფიკაციის შესახებ, არ გააჩნია გამოცდილება ანალოგიური ხასიათისა და სირთულის სამუშაოების შესრულებაში, არ გააჩნია გამოცდილება ერთი წლის პერიოდში ანალოგიური ხასიათის და შინაარსის სამუშაოების შესრულებაში, რომელთა საერთო ღირებულება 7.0 მლნ. ლარს შეადგენს).

2. <u>შპს ჰოლდინგ „იმედი"</u> – საზოგადოება არ ფლობს არავითარ ქონებას (მათ შორის მანქანა-დანადგარებს) გარდა საწესდებო კაპიტალისა, რომელიც

შეადგენს 2000 ლარს. ამიტომ მას არ აქვს საშუალება საჭიროების შემთხვევაში პირადი ქონებით აგოს პასუხი; ფირმა ვერ პასუხობს ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნას უკანასკნელი 3 წლის მანძილზე შესრულებული სამუშაოების შესახებ, რადგან მას არავითარი სამშენებლო სამუშაოს გამოცდილება არ გააჩნია. არ არის წარმოდგენილი მოსაზრებები თუ როგორ აპირებს საზოგადოება სამუშაოების ორგანიზაციას გამარჯვების შემთხვევაში.

3. <u>შპს „როლიდერი“</u> – სატენდერო დოკუმენტაცია არ არის სწორად წარმოდგენილი და არეულია. წარმოდგენილი მასალა არეულია სხვა სატენდერო მასალებში. მანქანა-მექანიზმების ჩამონათვალში არ არის მოხსენიებული მშენებლობისათვის გათვალისწინებული 8 ტიპის მექანიზმი; ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის რაოდენობა არ ჰყოფნის სამივე ლოტის მოთხოვნილებებს და არასრულად არის წარმოდგენილი მასალა მათი კვალიფიკაციის შესახებ; წარმოდგენილი მასალებით ფირმას არ აქვს საგზაო სამუშაოების შესრულების გამოცდილება (იგი დაკავებულია ძირითადად ინფრასტრუქტურის სამუშაოებზე), ასევე არ არის ინფორმაცია დიფერენცირებული წლების მიხედვით შესრულებული სამუშაოების შესახებ. არ არის წარმოდგენილი ფირმის წესდება, არ არის პირველადი სატენდერო მოსაზრებები მშენებლობის ორგანიზაციის შესახებ.

4. <u>შპს სამშენებლო კომერციული კორპორაცია „ხიდი“</u> – სატენდერო კომისიის მიერ პირველი ეტაპისათვის მოთხოვნილი საკვალიფიკაციო მაჩვენებლებიდან ვერ აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს: არ არის წარმოდგენილი განაცხადი, პირველადი მოსაზრებები, არ გააჩნია ასფალტო-ბეტონის ქარხანა, ცივი რეციკლირების მანქანა, ასფალტის დამგები, მოსანიშნი მანქანა, ავტოგრეიდერი; არ გააჩნია გამოცდილება ერთი წლის პერიოდში ანალოგიური ხასიათის და შინაარსის სამუშაოების შესრულებაში, საერთო ღირებულებით 7.0 მლნ. ლარის ოდენობით, პერსონალს არ გააჩნია საგზაო სამუშაოების არანაირი გამოცდილება; საეჭვოა, რომ კომპანიამ ასეთი სირთულის სამუშაოები შეასრულოს დროულად და ხარისხიანად. ყველაზე მნიშვნელოვანია ის ფაქტორი, რომ თანახმად შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო ინფორმაციული ბიუროს მიერ გაცემული ცნობისა კომპანიის დირექტორი ზ. ტატუნაშვილი 2005 წლის 11 ივლისს საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ თანახმად სსკ-ის 182-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 182-ე მუხლის II ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 182-ე მუხლის II ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 362-ე მუხლის II ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით პასუხისგებაში იყო მიცემული.

5. <u>შპს სამშენებლო კომპანია „115 პლიუსს“</u> – რომელიც განაცხადით ტენდერში უშუალოდ ღებულობს მონაწილეობას, დაფუძნებულია სამშენებლო კომპანია „115„-ისა (ირანი) და სამშენებლო კომპანია „შპს „ავტობანის“ ურთიერთპარტნიორობის საფუძველზე, რომელსაც არაფერი არ გააჩნია (მატერიალური სახსრები, მანქანა-მექანიზმები და სხვა სიმძლავრეები, ანალოგიური სამუშაოების გამოცდილება), მაშინ როდესაც მთელი პასუხისმგებლობა ტექნიკური პრობლემის გადაწყვეტაზე, ფინანსებზე და საქმიანობაზე მას (შპს „115 პლიუსს“) ეკისრება. სწორედ ამიტომ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილია პარტნიორი ორგანიზაციის სამშენებლო კომპანია „115“ (ირანი) სახელით, რომელსაც

ახლად შექმნილი კომპანია შპს „115 პლიუსი"-ს მიმართ არავითარი ვალდებულებები და პასუხისმგებლობა არ გააჩნია.

6. <u>შპს „ოსტაში"</u> – ინფორმაცია წინა წლებში შესრულებული სამუშაოების შესახებ ცხადყოფს, რომ ორგანიზაცია ძირითადად სპეციალიზირებულია სამოქალაქო- სამრეწველო და კომუნალური დანიშნულების ობიექტების მშენებლობაში. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს 2000-2003 წლებში აზერბაიჯანში ორი საავტომობილო გზის მშენებლობაში მონაწილეობის მიღება, რაც ჩვენი აზრით არასაკმარისია ანალოგიური ხასიათისა და სირთულის სამუშაოების გამოცდილების თვალსაზრისით. რაც შეეხება ინფორმაციას ბოლო სამი წლის განმავლობაში, ერთ-ერთ წელს მაინც ანალოგიური ხასიათისა და შინაარსის სამუშაოების შესრულებაზე, რომელთა საერთო ღირებულება 7.00 მლნ. ლარს შეადგენს, არასრულყოფილად იყო წარმოდგენილი (არ იყო დაკონკრეტებული შესრულებული სამუშაოების ღირებულება ცალკეული წლების მიხედვით). აქედან გამომდინარე, დეპარტამენტმა წერილობით მიმართა ზემოაღნიშნულ ორგანიზაციას ამ მონაცემის დაზუსტების მიზნით, რაზედაც სათანადო პასუხი დღემდე მიღებული არ არის.

7. <u>შპს „გზა-2005"</u> – სატენდერო კომისიის მიერ პირველი ეტაპისათვის მოთხოვნილი საკვალიფიკაციო მონაცემებიდან ვერ აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს: არ არის წარმოდგენილი პირველადი მოსაზრებები სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის შესახებ, არ გააჩნია ინფორმაცია 60 ტ.-ნი ამწის მფლობელობაზე, წინასწარი ხელშეკრულებები მანქანა-მექანიზმების იჯარით შეძენის შესახებ გაფორმებულია სხვადასხვა 13 სამშენებლო ორგანიზაციასთან; მათ შორის ავტოგრეიდერი ავტომატური ნიველირების მოწყობილობით და ასფალტობეტონის ქარხანა 120ტნ/სთ-ში წარმადობით ეკუთვნის ლოტში მის უშუალო კონკურენტს (შპს „ზიმო"), რომელსაც სხვა ლოტში გამარჯვების შემთხვევაში შესაძლებელია ისეთი სიტუაციები შეექმნას, რომ მან ვერ შეასრულოს „გზა-2005"-ის წინაშე აღებული ვალდებულება იჯარის თაობაზე, ამასთან ხელშეკრულებაში მითითებული არ არის მისი მოქმედების ვადა. ქარხანა, რომელიც ეკუთვნის შპს „ქცია"-ს ვისთანაც ასევე ხელშეკრულებაა გაფორმებული და შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ალტერნატივა შპს „ზიმოს" ქარხნის მიმართ, განლაგებულია ობიექტიდან დაახლოებით 100კმ-ის დაშორებით. ასეთი მანძილიდან ასფალტობეტონის ზიდვა არ არის რეკომენდირებული, რის გამოც შესაძლოა დააქვეითებული იქნას საფარის ხარისხი. შპს „გზა-2005"-ის ქვე-კონტრაქტორი სრულად ვერ აკმაყოფილებს ანალოგიური და მსგავსი სირთულის სამუშაოების გამოცდილების კუთხით იმ მოთხოვნებს, რომლებსაც აყენებს აღნიშნული ტენდერი ხელოვნური ნაგებობების მშენებლობასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია და საყურადღებოა ის ფაქტორი, რომ შპს „გზა-2005"-ეა დაარღვია სამუშაოთა წარმოების გრაფიკი ორწლიან ობიექტზე თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ 16-კმ28 და პირველ წელს შეთანხმებული გრაფიკით გათვალისწინებული სამუშაო შეასრულა 74.5%-ით. მთლიანად დაირღვა სამუშაოთა წარმოების შეთანხმებული გრაფიკი თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ.67,71-73, 137-143, რომელიც უნდა ჩაბარებულიყო 2005 წლის ოქტომბერში. გარკვეული პრობლემები იყო შექმნილი მსოფლიო ბანკის თანხებით დაფინანსებული ობიექტების მშენებლობის ვადების დაცვის საკითხებში, რომელთა დასრულება ხელშეკრულებათა ფარგლებში საფრთხის ქვეშ იდგა. დეპარტამენტს გააჩნია გარკვეული შენიშვნები სამუშაოთა შესრულების ხარისხზე ისეთ

ობიექტებზე, როგორიცაა თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ115-118, და იგივე გზის კმ134-136. ზემოაღნიშნული ფაქტების გათვალისწინებით, რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოების მნიშვნელობიდან და სამუშაოთა შემჭიდროებულ ვადებში განხორციელების აუცილებლობიდან გამომდინარე შპს „გზა-2005“-სთვის შესაძლოა მათი დაძლევა გართულებული იყოს და მის მიერ პროექტის წარმატებით შესრულება მცირე ალბათობით ხასიათდება.

სატენდერო კომისიამ დაადგინა:

1 თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ.30(0.7)-კმ.37(0.6) – ლოტი №1, კმ37(0.4)-კმ.43(0.6) – ლოტი №2 და კმ27(0.6)-კმ.30(0.3) – ლოტი №3 მონაკვეთების რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოების შესასყიდად გამოცხადებულ ტენდერზე დამტკიცდნენ პრეტენდენტებად:

– შპს „დ და გ ტექნოლოგი“ (ლოტი-1, ლოტი-2, ლოტი-3)
– შპს „ზიმო“ (ლოტი-1, ლოტი-2, ლოტი-3)
– შპს „ონური“ (ლოტი-1, ლოტი-2, ლოტი-3)
– შპს „გზამშენი-4“ (ლოტი-1, ლოტი-2)
– თურქულ-ქართული ერთობლივი კომპანია „ბლექსი გრუფი“(ლოტი-1, ლოტი-2, ლოტი-3)

2. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს:

– დაუყონებლივ აცნობოს ტენდერის პირველი ეტაპის შედეგები ყველა მონაწილე ორგანიზაციას
– მოსაკრებლის გადახდისთანავე გადასცეს პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტაცია

3. სატენდერო წინადადების წარმოდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2006 წლის 06 მარტი 12.00 საათი.

| | |
|---|---|
| რ. დალაქიშვილი | ი. ლითანიშვილი |
| გ. წერეთელი | ა. თვალჭრელიძე |
| თ. გველესიანი | ნ. გასვიანი |
| დ. კორასაშვილი | ჯ. შუბითიძე |

შემსრულებელი ა. ჯორჯიკია

## დანართი №4

| | |
|---|---|
| სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების საშუალება; | ორეტაპიანი ტენდერი |
| ტენდერი: | სამ ლოტად დაყოფილი საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი სენაკი-ლესელიძის ს/გზის კმ27-კმ43 მონაკვეთის რეკონსტრუქცია მოდერნიზაციის სამუშაოების შესყიდვა |

საავტომობილო გზების დეპარტამენტის
სატენდერო კომისიის სხდომის

ოქმი № 4

ქ. თბილისი 06.03..2006

*თემა:* თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს/გზის კმ30(0.7)-კმ37(0.6) – ლოტი-I, კმ37(0.4)-კმ43(0.6) – ლოტი-2 და კმ27(0.6)-კმ30(0.3) – ლოტი-3, მონაკვეთების რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებულ ორეტაპიან საერთაშორისო ტენდერში პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებების გახსნა-დაფისქირება.

***სხდომას ესწრებოდნენ:***

*სატენდერო კომისიის თავმჯდომარე :*

*სატენდერო კომისიის წევრები:*

თავმჯდომარის მოადგილე ი. ლითანიშვილი
თავმჯდომარის მოადგილე გ. წერეთელი

საავტომობილო გზების ტექნიკური პოლიტიკის სამმართველოს უფროსი თ. გველესიანი
ეკონომიკისა და ფინანსების სამმართველოს უფროსი ა. თვალჭრელიძე

იურიდიული, კადრებისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი დ. კორახაშვილი

სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი ჯ. შუბითიძე

საავტომობილო გზების ადმინისტრირების სამმართველოს უფროსი ნ. გასვიანი

*არასამთავრობოებიდან ესწრებოდნენ წარმომადგენლები:*

*ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია: ბოლოთაშვილი თეიმურაზი*

*ახალგაზრდა ფინანსისტთა ასოციაცია: ლექვინაძე ირაკლი*

*იუსტიციის სამინისტრო: ჭელიძე დავითი*

*მსვლელობა:*
ლოტების მიხედვით, 2006 წლის 6 მარტს თავიანთი სატენდერო წინადადებების ტექნიკური და ფინანსური ნაწილები დალუქული პაკეტებით წარმოადგინეს შემდეგმა პრეტენდენტებმა:

ლოტი I
1. შპს „ბლექსიგრუპი“
2. შპს „გზამშენი-4“
3. შპს „ზიმო“
4. შპს „ონური“
5. შპს „დ და გ“ ტექნოლოგი

ლოტი II
1. შპს „ბლექსიგრუპი“
2. შპს „ზიმო“
3. შპა „ონური“
4. შპს „დ და გ“ ტექნოლოგი

ლოტი III
1. შპს „ბლექსიგრუპი“
2. შპს „ზიმო“
3. შპა „ონური“
4. შპს „დ და გ“ ტექნოლოგი

ტენდერის ჩატარების პროცედურის შესაბამისად დალუქული პაკეტების გახსნის შემდეგ დაფიქსირდა, რომ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტების სატენდერო წინადადებები შეიცავდნენ იმ დოკუმენტებს, რაც სატენდერო დოკუმენტაციით იყო განსაზღვრული.

პაკეტების გახსნის შემდეგ, ლოტების მიხედვით დაფიქსირდა პრეტენდენტების მიერ სამუშაოების შესასრულებლად შემოთავაზებული ფასები:

ლოტი I თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს/გზის კმ30(0.7)-კმ37(0.6) მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოები

| № | პრეტენდენტები | შემოთავაზებული ღირებულება |
|---|---|---|
| 1 | შპს „დ და გ ტექნოლოგი“ | 11 050 870 |
| 2 | შპს „ზიმო“ | 12 210 473.09 |
| 3 | შპს „ონური“ | 18 139 705.84 |
| 4 | შპს „გზამშენი-4“ | 10 940 994.03 |
| 5 | შპს „ბლექსიგრუპი“ | 11 846 934.91 |

ლოტი II თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს/გზის კმ37(0.4)-კმ43(0.6) მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოები

| № | პრეტენდენტები | შემოთავაზებული ღირებულება |
|---|---|---|
| 1 | შპს „დ და გ ტექნოლოგი“ | 17 825 574 |
| 2 | შპს „ზიმო“ | 19 024 358.83 |
| 3 | შპს „ონური“ | 18 185 392.72 |
| 4 | შპს „ბლექსიგრუპი“ | 18 805 269.74 |

ლოტი III თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს/გზის კმ27(0.6)-კმ30(0.3) მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოები

| № | პრეტენდენტები | შემოთავაზებული ღირებულება |
|---|---|---|
| 1 | შპს „დ და გ ტექნოლოგი“ | 13 314 131 |
| 2 | შპს „ზიმო“ | 15 897 365.49 |
| 3 | შპს „ონური“ | 18 053 937.16 |
| 4 | შპს „ბლექსიგრუპი“ | 15 251 456.10 |

სატენდერო კომისიის წევრების წინადადებით ექსპერტთა ჯგუფმა და დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველომ დეტალურად შეისწავლოს პრეტენდენტების სატენდერო წინადადებების ტექნიკური და ფინანსური ნაწილები. დადგინდეს სრულად არის თუ არა წარმოდგენილი ყველა საჭირო დოკუმენტები, არის თუ არა ისინი შედგენილი შესაბამისი ფორმის დაცვით, არსებითად შეესაბამება თუ არა პრეტენდენტების სატენდერო წინადადებები სატენდერო დოკუმენტაციაში აღნიშნულ ტექნიკურ მოთხოვნებს, ვადებს და სხვა პარამეტრებს. ფინანსური წინადადებების შესწავლისას შემოწმდეს არის თუ არა მათში დაშვებული მექანიკური შეცდომა. ექსპერტთა ჯგუფმა შედეგები წარუდგინოს სატენდერო კომისიას.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით სატენდერო კომისიამ გადაწყვიტა:

1. დაევალოს დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს და ექსპერტთა ჯგუფს 5-6 დღის განმავლობაში დეტალურად შეისწავლონ ტენდერში მონაწილეთა სატენდერო წინადადებების ტექნიკური და ფინანსური ნაწილი და შედეგები წარმოუდგინონ სატენდერო კომისიას განსახილველად.

ი. ლითანიშვილი

გ. წერეთელი

თ. გველესიანი

დ. კორახაშვილი

ა. თვალჭრელიძე

ნ. გახვიანი

ჯ. შუბითიძე

შემსრულებელი ქ. გელაშვილი

# დანართი №5

| | |
|---|---|
| სახელმწიფო შესყიდვების განმახორციელებელი: | საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი |
| სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების საშუალება | საერთაშორისო ორეტაპიანი ტენდერი |

## საავტომობილო გზების დეპარტამენტის სატენდერო კომისიის სხდომის

ოქმი № 5

ქ. თბილისი 2006 წლის 11 მარტი

| | |
|---|---|
| თემა: | სამ ლოტად დაყოფილი თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ.27-კმ.43 მონაკვეთის (ნატახტარის სატრანსპორტო კვანძი) რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოების შესყიდვაზე საერთაშორისო ორეტაპიან ტენდერში მონაწილე ორგანიზაციების სატენდერო წინადადებების ანალიზი.<br><br>ლოტი-1: თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ.30(0.70)-კმ.37(0.60) მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოები;<br><br>ლოტი-2: თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ.37(0.40)-კმ.43(0.60) მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოები;<br><br>ლოტი-3: თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ.27(0.6)-კმ.30(0.3) მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოები (ნატახტარის სატრანსპორტო კვანძი) |

სატენდერო კომისიას ესწრებოდნენ:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე — რ. დალაქიშვილი

სატენდერო კომისიის წევრები:

თავმჯდომარის მოადგილე — ი. ლითანიშვილი

თავმჯდომარის მოადგილე — გ. წერეთელი

საავტომობილო გზების ადმინისტრირების სამმართველოს უფროსი — ნ. გასვიანი

ეკონომიკისა და ფინანსების სამმართველოს უფროსი — ა. თვალჭრელიძე

საავტომობილო გზების ტექნიკური პოლიტიკის სამმართველოს უფროსი — თ. გველესიანი

იურიდიული, კადრებისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი — დ. კორახაშვილი

სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი, კომისიის პასუხისმგებელი მდივანი — ჯ. შუბითიძე

სატენდერო კომისიის სხდომას სათათბირო ხმის უფლებით ესწრებოდნენ:
საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან — დ. ჭელიძე
საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან — დ. ხოსრუაშვილი

სატენდერო კომისიის სხდომას დამკვირვებლის სტატუსით ესწრებოდნენ:
ახალგაზრდა ფინანსისტთა ასოციაციიდან ი. ლექვინაძე

მსვლელობა:

სატენდერო კომისიაზე აღინიშნა, რომ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კონვერტების გახსნის შემდეგ პირველ რიგში უნდა განხორციელდეს შერჩევა წარმოდგენილი სატენდერო წინადადებებისა და თანმხლები დოკუმენტების სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

სატენდერო წინადადებების შერჩევა უნდა განხორციელდეს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, რის საფუძველზეც ამავე დებულების მე-15 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების თანახმად უნდა შეირჩეს ის სატენდერო წინადადებები, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მისაღებად და დაშვებული იქნას შესაფასებლად და ის სატენდერო წინადადებები, რომლებიც ვერ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისათვის.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით ყველა პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები შესწავლილი იქნა საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2006 წლის 7 მარტის №34 ბრძანებით შექმნილი საექსპერტო ჯგუფის მიერ.

სატენდერო კომისიამ პრეტენდენტების სატენდერო წინადადებების განხილვის მიზნით, მოისმინა ზემოთ აღნიშნული ექსპერტთა ჯგუფის მიერ თითოეული პრეტენდენტების სატენდერო წინადადებებზე მოცემული რეკომენდაციები (მომხსენებელი თენგიზ გველესიანი. რეკომენდაციები ოქმს თან ერთვის).

საექსპერტო ჯგუფის მიერ თითოეული პრეტენდენტი ორგანიზაციის სატენდერო წინადადებების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი სურათი:

ლოტების მიხედვით სატენდერო წინადადებები წარმოადგინეს შემდეგმა ორგანიზაციებმა:

| № | ლოტი I | ლოტი II | ლოტი III |
|---|---|---|---|
| 1 | შპს „ბლექ სი გრუპი" | შპს „ბლექ სი გრუპი" | შპს „ბლექ სი გრუპი" |
| 2 | შპს „გზამშენი-4" | შპს „ დ და გ ტექნოლოგი" | შპს „ დ და გ ტექნოლოგი" |
| 3 | შპს „დ და გ ტექნოლოგი" | შპს „ზიმო" | შპს „ზიმო" |
| 4 | შპს „ზიმო" | შპს „ონური" | შპს „ონური" |
| 5 | შპს „ონური" | | |

პრეტენდენტების მიერ სამუშაოების შესასრულებლად შემოთავაზებული ფასები.

ლოტი I

| იურიდიული პირის დასახელება | სავარაუდო ღირებულება | შემოთავაზებული ფასი (ძირითადი წინადადების) | შემოთავაზებული ფასი (ალტერნატიული წინადადების) | შემოთავაზებული ფასი არითმეტიკული შესწორების შემდეგ | განსხვავება შემოთავაზებულ ფასსა და სავარაუდო ღირებულებას შორის |
|---|---|---|---|---|---|
| შპს „ბლექ სი გრუპი" | 11 864 582 | 11 846 934.91 | - | 11 843 483 | - 21 099 |
| შპს „გზამშენი-4" | | 10 940 994.03 | 9 531 096.33 | არ დაფიქსირებულა | +923 588 |
| შპს „ დ და გ ტექნოლოგი" | | 11 050 870 | - | 11 036 245 | - 828 337 |
| შპს „ ზიმო" | | 12 210 473.09 | 12 210 473.09 | არ დაფიქსირებულა | +345 891 |
| შპს „ონური" | | 18 139 705.84 | - | არ დაფიქსირებულა | +6 275 124 |

ლოტი II

| იურიდიული პირის დასახელება | სავარაუდო ღირებულება | შემოთავაზებული ფასი (ძირითადი წინადადების) | შემოთავაზებული ფასი (ალტერნატიული წინადადების) | შემოთავაზებული ფასი არითმეტიკული შესწორების შემდეგ | განსხვავება შემოთავაზებულ ფასსა და სავარაუდო ღირებულებას შორის |
|---|---|---|---|---|---|
| შპს „ბლექ სი გრუპი“ | 19 033 707 | 18 805 269.74 | - | არ დაფიქსირებულა | - 228 437 |
| შპს „ დ და გ ტექნოლოგი“ | | 17 825 574 | - | 17 582 308 | - 1 451 399 |
| შპს „ზიმო“ | | 19 024 358.83 | 19 024 358.83 | არ დაფიქსირებულა | - 9 348 |
| შპს „ონური“ | | 18 185 392.72 | - | 19 256 610.88 | - 848 314 |

ლოტი III

| იურიდიული პირის დასახელება | სავარაუდო ღირებულება | შემოთავაზებული ფასი (ძირითადი წინადადების) | შემოთავაზებული ფასი (ალტერნატიული წინადადების) | შემოთავაზებული ფასი არითმეტიკული შესწორების შემდეგ | განსხვავება შემოთავაზებულ ფასსა და სავარაუდო ღირებულებას შორის |
|---|---|---|---|---|---|
| შპს „ბლექ სი გრუპი“ | 14 689 180 | 15 251 456.10 | - | 15 248 449.25 | +559 269 |
| შპს „ დ და გ ტექნოლოგი“ | | 13 314 131 | - | 13 680 002.02 | - 1 009 178 |
| შპს „ზიმო“ | | 15 897 365.49 | 15 897 365.49 | 15 897 743.09 | +1 208 563 |
| შპს „ონური“ | | 18 053 937.16 | - | 18 053 621.74 | +3 364 442 |

### *შპს „ბლექ სი გრუპი“*

შპს „ბლექ სი გრუპი“-ს მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები სამუშაოთა წარმოების წარმართვის ორგანიზაციულ-საწარმოო გეგმებისა და ქმედებების თაობაზე ვერ ასახავს სრულყოფილ სურათს, ამ სამუშაოთა შეუფერხებლად შესრულების თვალსაზრისით. არ არის აღწერილი სამუშაოთა შესრულების მეთოდი და სპეციფიკაციები. საერთოდ არ არის წარმოდგენილი და მათ წინადადებაში არ აისახება გზაგამტარებისა და ხიდების კონსტრუქციების (მალის ნაშენის) დამზადების ან შეძენის ობიექტები და წყაროები, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია, ვინაიდან შემჭიდროვებულ ვადების პირობებში აღნიშნული საკითხები საკვანძო ხასიათისაა და თავიდანვე მკაფიოდ და ცალსახად უნდა იქნას განსაზღვრული. შესაბამისად შპს „ბლექ სი გრუპი“-ს მიერ წარმოდგენილ სამუშაოთა კალენდარულ გრაფიკში გზაგამტარებისა და ხიდების მშენებლობის სამუშაოები დიფერენცირებული სახით არ არის წარმოდგენილი, არ ჩანს მათი დამზადებისა და მოწყობის ხანგრძლივობა და შესრულების მიმდევრობა.

აღნიშნულის გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას უწევს სატენდერო კომისიას ზემოაღნიშნული ნაკლოვანებებზე გაამახვილოს ყურადღება და შესაბამისად იმსჯელოს შპს „ბლექ სი გრუპი“-ს შეყვასებისათვის.

აქვე აღსანიშნავა, რომ შპს „ბლექ სი გრუპი“-ს წარმოდგენილი საჭირო დოკუმენტები შედგენილია შესაბამისი ფორმის დაცვით, არსებითად შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციაში აღნიშნულ ტექნიკურ მოთხოვნებს და არ შეიცავენ მნიშვნელოვან გადახრებს ან შეცდომებს.

სატენდერო კომისიის წევრების წინადადებით, მიუხედავად აღნიშნული ნაკლოვანებებისა, შპს „ბლექ სი გრუპი“-ს სატენდერო წინადადება არსებითად შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციაში აღნიშნულ ტექნიკურ მოთხოვნებს, „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების“ მე-15 მუხლის

მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად შეიძლება ჩაითვალოს მისაღებად და დაიშვას შესაფასებლად. შეფასებისას, ქულების მინიჭების დროს სატენდერო კომისიის წევრების მხრიდან გათვალისწინებული იქნება საექსპერტო კომისიის რეკომენდაციები და ფირმის სატენდერო წინადადების ყველა დადებითი და უარყოფითი მხარე.

### *შპს „გზამშენი-4“*

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს. არ აქვს წარმოდგენილი მხოლოდ ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მონაცემების აღწერილობა. წარმოდგენილი სამუშაოების შესრულების მეთოდის მიხედვით მოსამზადებელი სამუშაოები წარმოდგენილია სრულყოფილად.

მიწის ვაკისის მოწყობის და წყალგამტარი რკინაბეტონის მილების სამუშაოები წარმოდგენილია სრულყოფილად, მაგრამ არ არის მითითებული ინერტული მასალების მოპოვების წყარო. არ არის მოცემული გზაგამტარის მშენებლობის მეთოდიკა, მისი განხორციელების ვადები. სამუშაოთა შესრულების კალენდარული გრაფიკი არ ითვალისწინებს ხელოვნური ნაგებობების მშენებლობის დიფერენციაციას, სრულიად განსხვავებულად არის წარმოდგენილი სამოსის მოწყობის მეთოდიკა, სადაც სამუშაოთა თანმიმდევრობა და ხანგრძლივობა სრულად არის აღწერილი.

რაც შეეხება გზის კუთვნილებას და მოწყობილობას, წინადადებაში არ არის მითითებული სპეცპროფილის პარაპეტის დამზადების ადგილმდებარეობა.

შპს „გზამშენი-4“ წარმოდგენილი აქვს აგრეთვე ალტერნატიული წინადადება.

ა. გზის საფარის კონსტრუქციულ ნაწილზე

ბ. გზაგამტარის სამალე ნაშენის თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციით შპს „გზამშენი-4“ წარმოდგენილი საჭირო დოკუმენტები შედგენილია შესაბამისი ფორმის დაცვით და არსებითად შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციაში აღნიშნულ ტექნიკურ მოთხოვნებს და არ შეიცავენ მნიშვნელოვან გადახრებს ან შეცდომებს.

სატენდერო კომისიის მოსაზრებით, შპს „გზამშენი-4“ სატენდერო წინადადება მთლიანობაში იმსახურებს დადებით შეფასებას და სამუშაოების შესრულების მეთოდში აღნიშნულ ნაკლოვანებები, რაზედაც საექსპერტო ჯგუფს აქვს ყურადღება გამახვილებული, შესაძლებელია სამუშაო პროცესში აღმოფხვრილი და გამოსწორებული იქნას.

სატენდერო კომისიის წევრების წინადადებით, გამომდინარე იქიდან, რომ შპს „გზამშენი-4“ სატენდერო წინადადება არსებითად შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციაში აღნიშნულ ტექნიკურ მოთხოვნებს, საჭირო დოკუმენტები შედგენილია შესაბამისი ფორმის დაცვით და არ შეიცავენ მნიშვნელოვან გადახრებს ან შეცდომებს, „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების“ მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ის შეიძლება ჩაითვალოს მისაღებად და დაიშვას შესაფასებლად. ასევე შესაფასებლად იქნას დაშვებული მისი ალტერნატიული წინადადება.

შესაბამისად ეთხოვოს საპროექტო ორგანიზაციას წარმოდგენილი ალტერნატიული წინადადება განიხილოს და სატენდერო კომისიას აცნობოს მათი მოსაზრებები და დასკვნები.

### *ფირმა „ონური“-ს*

არ აქვს წარმოდგენილი ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მონაცემების აღწერილობა, სამუშაოების შესრულების მეთოდი და სპეციფიკაციები.

ფირმა „ონურ“-ს საერთოდ არ აქვს წარმოდგენილი სამუშაოთა შესრულების ორგანიზაციულ-საწარმოო მეთოდოლოგია და მოსაზრებები. შესაბამისად სრულიად შეუძლებელია იმსჯელო თუ სად ექნება მოწყობილი კომპანიას საწარმოო ბაზა, სად განათავსებს ასფალბეტონის ქარხანას, აქვს თუ არა მას ამისათვის სათანადო ტერიტორია, საჭირო ნებართვები. არ არის კარიერების შესახებ ინფორმაცია, სად და ვისი კარიერებით უნდა ისარგებლოს, საიდან მოიტანს ინერტულ მასალებს და ა. შ.

შეუძლებელია შეაფასო მათი წინადადება (მისი არ არსებობის გამო) ხელოვნური ნაგებობების, განსაკუთრებით კი გზაგამტარებისა და ხიდების მოწყობის თაობაზე.

წარმოდგენილი მოსაზრებები სამუშაოთა წარმოების წარმართვის ორგანიზაციულ-საწარმოო გეგმებისა და ქმედებების თაობაზე ვერ ასახავს სრულყოფილ სურათს, ამ სამუშაოთა შეუფერხებლად შესრულების თვალსაზრისით. არ არის აღწერილი სამუშაოთა შესრულების მეთოდი და სპეციფიკაციები. საერთოდ არ არის წარმოდგენილი და მათ წინადადებაში არ აისახება გზაგამტარებისა და ხიდების

კონსტრუქციების (მალის ნაშენის) დამზადების ან შეძენის ობიექტები და წყაროები, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია, ვინაიდან შემჭიდროვებულ ვადების პირობებში აღნიშნული საკითხები საკვანძო ხასიათისაა და თავიდანვე მკაფიოდ და ცალსახად უნდა იქნას განსაზღვრული. შესაბამისად ფირმა „ონური“-ს მიერ წარმოდგენილ სამუშაოთა კალენდარულ გრაფიკში გზაგამტარებისა და ხიდების მშენებლობის სამუშაოები დიფერენცირებული სახით არ არის წარმოდგენილი, არ ჩანს მათი დამზადებისა და მოწყობის ხანგრძლივობა და შესრულების მიმდევრობა.

მიუხედავად აღნიშნული ნაკლოვანებებისა, ექსპერტთა ჯგუფი ითვალისწინებს რა ფირმა „ონური“-ს დიდ გამოცდილებას საგზაო მშენებლობაში, მათ ძლიერ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, რომელიც მათ გააჩნიათ თურქეთში, მიზანშეწონილად მიაჩნიათ ამ ფირმის მიერ წარმოდგენილი წინადადება განხილული იქნას სატენდერო კომისიის მიერ და რეკომენდაციას უწევს შეფასებაზე დასაშვებად.

აქვე აღინიშნა, რომ ფირმა „ონური“-ს წარმოდგენილი საჭირო დოკუმენტები შედგენილია შესაბამისი ფორმის დაცვით, არსებითად შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციაში აღნიშნულ ტექნიკურ მოთხოვნებს და არ შეიცავენ მნიშვნელოვან გადახრებს ან შეცდომებს.

სატენდერო კომისიის წევრების წინადადებით, მიუხედავათ აღნიშნული ნაკლოვანებებისა, გამომდინარე იქიდან, რომ ფირმა „ონურ“-ს გააჩნია ძლიერ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზა, დიდ გამოცდილება საგზაო მშენებლობაში და მისი სატენდერო წინადადება არსებითად შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციაში აღნიშნულ ტექნიკურ მოთხოვნებს, „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების“ მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად ფირმა „ონური“-ს სატენდერო წინადადება შეიძლება ჩაითვალოს მისაღებად და დაიშვას შესაფასებლად. შეფასებისას, ქულების მინიჭების დროს სატენდერო კომისიის წევრების მხრიდან გათვალისწინებული იქნება ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები და ფირმის სატენდერო წინადადების ყველა დადებითი და უარყოფითი მხარე.

### *შპს „ზიმო“*

შპს „ზიმო“-ს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს. არ აქვს წარმოდგენილი მხოლოდ ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მონაცემების აღწერილობა. საგზაო სამოსის მოწყობის ტექნოლოგია არ არის ჩამოყალიბებული სრულყოფილად, ხოლო რაც წარმოდგენილია არის ზოგადი. წარმოდგენილ გრაფიკში გზაგამტარის მშენებლობის გრაფიკი სასურველია იყოს უფრო დეტალურად აღწერილი.

შპს „ზიმო“-ს მიერ წარმოდგენილი საჭირო დოკუმენტები შედგენილია შესაბამისი ფორმის დაცვით, არსებითად შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციაში აღნიშნულ ტექნიკურ მოთხოვნებს და არ შეიცავენ მნიშვნელოვან გადახრებს ან შეცდომებს.

შპს „ზიმო“-ს წარმოდგენილი აქვს ალტერნატიული წინადადება.

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციით შპს „ზიმო“-ს სატენდერო წინადადება შესაძლებელია დაშვებული იქნას შესაფასებლად.

სატენდერო კომისიის მოსაზრებით, რაც შეეხება ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მონაცემების აღწერილობას ის მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, ხოლო ექსპერტთა ჯგუფის მიერ აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოფხვრა შესაძლებელია უკვე მუშა პროცესში.

აქვე სატენდერო კომისიამ მოისმინა შპს „ზიმო“-ს მიერ წარმოდგენილი ალტერნატიული წინადადების შესახებ ინფორმაცია. აღინიშნა, რომ ალტერნატიული წინადადება ეხება თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ.27-კმ.43 მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოებზე საგზაო სამოსის კონსტრუქციის მოწყობას ცემენტობეტონის საფარით. ხაზი გაესვა მის დადებით და უარყოფითი მხარეებს. კერძოდ დადებით მხარედ აღინიშნა რომ:

ცემენტბეტონის საფარის ექსპლოატაციის პერიოდი 40 წელი და მეტია, როცა ასფალტბეტონის საფარის საექსპლოატაციო ვადა არ აჭარბებს 12-20 წელს. ბეტონის საფარი ბევრად მედეგია ამინდის, ძერძზე მძიმე დატვირთვის, მაღალი ტემპერატურის და დატვირთვისას საფარის დაზიანების მიმართ, ასევე მისი სიმტკიცე დროსთან ერთად მატულობს. უზრუნველყოფს მაღალ უსაფრთხოებას. არის ეკოლოგიურად სუფთა. თანამედროვე ტექნოლოგიები და ადგილობრივი ნედლეული უზრუნველყოფს მშენებლობის წარმოების უწყვეტობას, რასაც თან ერთვის ქართული წარმოებების გაფართოება, მაღალი მედეგობა განაპირობებს დაზიანებათა დაბალ დონეს ასფალტბეტონთან შედარებით ცემენტბეტონი უკეთ ირეკლავს სინათლეს, რაც ხილვადობის ხარისხს აუმჯობესებს. ხაოიანი ზედაპირი ნესტიან ამინდში ხელს უშლის

მოცურებას, ბეტონის საფარი უფრო მოჭიმულია. ზაფხულში ბეტონის საფარის არეალზე ჰაერის ტემპერატურა 4 გრადუსით ნაკლებია, ვიდრე ასფალტის საფარის არეალზე. ბეტონის საფარზე მოძრაობისას, სტატისტიკურად, ავტოსატრანსპორტო საშუალებები ხარჯავენ ნაკლებ საწვავს, რითაც მცირდება გამონაბოლქვის მოცულობა ჰაერში.

აქვე აღინიშნა, რომ მსოფლიოს ისეთი განვითარებული ქვეყნები, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია, ჰოლანდია, ბელგია, შვეიცარია და სხვა, ბოლო ათწლეულების მანძილზე განვითარებული ტექნოლოგიების ინოვაციის საფუძველზე სწრაფი ტემპებით ახორციელებენ საავტომობილო გზებზე ასფალტბეტონის საფარის ჩანაცვლებას ცემენტობეტონის საფარით. თანამედროვე პირობებში ტვირთების გადაზიდვა ხორციელდება მრავალღერძიანი ავტომობილებით, რომელთა ღერძზე მოსული დატვირთვის ზღვრული მნიშვნელობა უტოლდება 13-16 ტონას. ეს ცემენტბეტონის საფარზე გადასვლას სულ უფრო მეტად პრიორიტეტულს ხდის. მსოფლიოში ნავთობის ფასის შეუქცევადი ზრდა იწვევს ბიტუმის ფასების პერმანენტულ ზრდას, რაც გვაიძულებს უფრო მეტი ყურადღება დავუთმოთ ისეთ ალტერნატიულ შემაკავშირებელ საშუალებებს, როგორიცაა ცემენტი. მსოფლიო პრაქტიკით აღიარებულია, რომ პირველადი დანახარჯების მცირეოდენი სიჭარბისა, გრძელვადიან პერსპექტივაში, ეკონომიკური ეფექტიანობა ცალსახად ცემენტბეტონის სასარგებლოდაა.

უარყოფით მხარედ აღინიშნა, რომ:

მასზე მოძრაობა იწვევს გაცილებით მეტ ხმაურს, ვიდრე ასფალტბეტონის საფარი. ზამთრის პირობებში მოყინვის უფრო მეტი ალბათობა არსებობს. შესაძლებელია მოხდეს აქერცვლა. შედარებითი სიძვირე მშენებლობის საწყის ეტაპზე. შესაძლებელია ყინვის საწინააღმდეგო მასალების უარყოფითი ზემოქმედება ბეტონზე

სატენდერო კომისიის წევრების წინადადებით, გამომდინარე იქიდან, რომ შპს „ზიმო"-ს სატენდერო წინადადება არსებითად შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციაში აღნიშნულ მოთხოვნებს, ვადებს და სხვა პარამეტრებს, „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების" მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის თანახმად, ის შეიძლება ჩაითვალოს მისაღებად და დაიშვას შესაფასებლად. ამავე დროს დეპარტამენტის ტექნიკური საბჭოს გადაწყვეტილების და რეკომენდაციათა გათვალისწინებით შესაბამისად შესაფასებლად შესაძლებელია დაშვებული იქნას ალტერნატიული წინადადება.

### *შპს „დ და გ ტექნოლოგი"*

შპს "დ და გ ტექნოლოგი"-ს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შეიცავს მნიშვნელოვან ხარვეზებსა და ნაკლოვანებებს, რომლის მიხედვითაც გართულებულია წინადადების სრულფასოვანი შეფასების შესაძლებლობა.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ხარჯთაღრიცხვა შედგენილია უამრავი არითმეტიკული შეცდომებით. განსაკუთრებით გაუგებარია და ყოველგვარ მოსაზრებას მოკლებულია სამუშაოთა ღირებულებების გამოყვანის მათ მიერ შემოთავაზებული ე.წ. ლამრგვალების პრინციპი. რიგ შემთხვევებში რამოდენიმე, როგორც ერთგვაროვანი ასევე არაერთგვაროვანი ერთეული სამუშაოების მოცულობა გაერთიანებულია და მითითებულია ერთი ფასი, რაც თავისთავად შესრულებულ სამუშაოთა ანაზღაურების შემთხვევაში ბევრ გაუგებრობას და უზუსტობას გამოიწვევს. არის აგრეთვე სამუშაოთა სახეობების ერთეულ განზომილებების შეცვლის ფაქტებიც სატენდერო დოკუმენტაციაში ასახული განზომილებებთან შედარებით. ყოველივე აღნიშნული ცალსახად ეწინააღმდეგება იმ ძირითად მოთხოვნებს, რაც სატენდერო წინადადებებში იყო მითითებული, შესაბამისად შპს "დ და გ ტექნოლოგი"-ს მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა შესრულებულია ძალზე არაპროფესიონალურად და ამავე დროს უპასუხისმგებლოდ.

ასევე აღსანიშნავია, ის გარემოება, რომ ხარჯთაღრიცხვაში არ არის შეტანილი დამკვეთის მიერ წინასწარ განსაზღვრული თანხები, რომელიც მშენებლობის პერიოდში შესაძლო გაუთვალისწინებელ ხარჯების, დროებით შენობა-ნაგებობებისა და სხვა სარეზერვო სახსრებისაგან არის შედგენილი. შესაბამისად აღნიშნულ ხარჯების წარმოშობის აუცილებლობის შემთხვევაში, გაურკვეველი რჩება მათი დაფარვის საშუალებები, ვინაიდან ფირმის მიერ წარმოდგენილ წინადადებაში ისინი ასახული არ არის.

სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნა, რომ წარმოდგენილი ყოფილიყო მისაწოდებელი ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მონაცემების სრული აღწერილობა, სამუშაოების მეთოდები, გრაფიკები და სხვა პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილია მეტად ზოგადი არასრული სახით. ასეთივე მდგომარეობაა ქვის სამტვრევ და ასფალტბეტონის დამამზადებელ ღახადგარებზე.

ამის გარდა, საყურადღებოა ხელოვნური ნაგებობების, გზაგამტარებისა და ხიდების კონსტრუქციების დამზადებისა და მოწყობის წინადადება. თავდაპირველ, საკვალიფიკაციო მონაცემებში გაცხადებული იყო, რომ ხელოვნურ ნაგებობებს დაამზადებდნენ "ლილო"-ს რკინაბეტონის ქარხანაში. შპს "დ და გ ტექნოლოგი"-ს წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა დაეკონკრეტებინათ და დაეზუსტებინათ მათ ხიდების სამალე ნაშენის კონსტრუქციების დამზადებისა და მოწყობის დეტალები, რის შემდეგაც მათ სატენდერო წინადადებაში გამოჩნდა შპს "ხიდმშენი", რომელიც თითქოსდა უზრუნველყოფდა აღნიშნული ხელოვნური ნაგებობების მშენებლობას და საჭირო კონსტრუქციების დამზადებას. უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილ სატენდერო წინადადებაში კვლავ არ ჩანს ხიდის კოჭების დამზადების ადგილი და შემსრულებელი. სავარაუდოდ "დ და გ ტექნოლოგს" მკაფიოდ არ აქვს აღნიშნული კონსტრუქციების დამზადების ტექნოლოგია და შესაბამისი საჭირო პირობები. რაც მშენებლობის შეზღუდული ვადების პირობებში ყოვლად დაუშვებლად და მიუღებლად მიგვაჩნია.

ექსპერტთა ჯგუფისთვის უცნობია, რამდენად შეძლებს ლილოს აღნიშნული ქარხანა მშენებლობა უზრუნველყოს ანაკრები კონსტრუქციებით, არის თუ არა აღჭურვილი იმ ყალიბებით, რომლებიც საჭიროა საგზაო მშენებლობისათვის, რადგან მარტო I ლოტზე საჭიროა 2475 ცალი (1888მ$^3$) ბეტონის და რკ.ბეტონის ანაკრები კონსტრუქციის დამზადება. გრაფიკის მიხედვით კონსტრუქციები უნდა დამზადდეს და დამონტაჟდეს 2 თვესა და 20 დღეში, ყოველივე ეს ეჭვს იწვევს დროის ფაქტორიდან გამომდინარე.

საკვალიფიკაციო მონაცემებში გაცხადებული ჰქონდათ, რომ ხიდებისა და სხვა ხელოვნური ნაგებობების სამშენებლო სამუშაოებს შეასრულებდა გერმანული ფირმა "ეუროტექ-აგ", როგორც ქვეკონტრაქტორი ორგანიზაცია. სამუშაოების ზოგად მეთოდიკაში ეს ფირმა საერთოდ არ ფიგურირებს და მის ნაცვლად გზაგამტარისა და ხიდების მშენებლობას გადასცემენ სს "ხიდმშენს", რომელთანაც აქვთ წინასწარი შეთანხმება, რაც ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია სატენდერო პირობების დარღვევად, რადგან არავითარი დოკუმენტი აღნიშნულ ფირმასთან პრეტენდენტის შეთანხმებისა წარმოდგენილი არ არის და არც ცნობაში ქვეკონტრაქტორების შესახებ აღნიშნული სააქციო საზოგადოება მოხსენებული არ არის. ამავე დროს მეთოდიკაში საერთოდ არ აქვთ მოხსენიებული გზაგამტარებისა და ხიდის მშენებლობის წარმოების ორგანიზაცია.

მშენებლობის გრაფიკი წარმოდგენილი აქვთ მეტად ზოგადი. მასში არ არის მოცემული გზაგამტარის მშენებლობის სამუშაოები დიფერენცირებული სახით, ბურჯების, სამალო ნაშენისა და სხვა სამუშაოების ხანგრძლივობა და მათი შესრულების მიმდევრობა. ასევე არ არის დიფერენცირებული საგზაო სამოსის მოწყობის თანამიმდევრობა. ამავე დროს ასფალტის დაგების სამუშაოების დაწყება გრაფიკით გათვალისწინებული აქვთ ივლისის ბოლო დეკადაში, ხოლო დამთავრება კი – აგვისტოს ბოლოს, რაც ექსპერტთა ჯგუფის აზრით ყოვლად მიუღებელია. ასფალტობეტონის დაგების სამუშაოები უნდა დაიწყოს ბევრად უფრო ადრე მიწის ვაკისის და საფუძვლის სამუშაოების პარალელურად.

მეთოდიკაში არაფერი არ აქვთ ნახსენები სამშენებლო მასალების მომარაგების წყაროებზე.

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციით გამომდინარე იქიდან, რომ შპს „დ და გ ტექნოლოგი"-ს წარმოდგენილი საჭირო დოკუმენტები, კერძოდ ხარჯთაღრიცხვა სამივე ლოტზე არ არის შედგენილი შესაბამისი ფორმის დაცვით, შეიცავენ მნიშვნელოვან გადახრებს და შეცდომებს, ხოლო სამივე ლოტზე სატენდერო წინადადებების ტექნიკური ნაწილი წარმოდგენილია მეტად ზოგადი არასრული სახით, მათი გაშვება შესაფასებლად მიზანშეუწონელია.

სატენდერო კომისიის მოსაზრებით, შპს „დ და გ ტექნოლოგი"-ს სატენდერო წინადადების ფინანსური ნაწილი, კერძოდ ხარჯთაღრიცხვა არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს. წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვაში რამოდენიმე ერთგვაროვანი და არაერთგვაროვანი სამუშაოების მოცულობები გაერთიანებულია და მითითებულია ერთი ფასი, რაც პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში, მუშაობის და ანაზღაურების პროცესში გარკვეულ პრობლემებს გამოიწვევს. სატენდერო დოკუმენტაციის საბაზისო მონაცემების ნუსხის ი.ტ.მ. 9.1 პუნქტის შესაბამისად პრეტენდენტს სატენდერო წინადადების ფინანსური ნაწილი უნდა წარმოედგინა სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული სახარჯთაღრიცხვო ფორმის მოთხოვნების მკაცრი დაცვით, რაც შპს „დ და გ ტექნოლოგი"-ს მიერ არ იქნა დაცული, ხოლო სამუშაოების შესრულების მეთოდი მეტად ბუნდოვნად არის წარმოდგენილი.

აღნიშნულიდან გამომდინარე „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების" მე-15 მუხლის მე-6 მუხლის „ა" და „დ" ქვეპუნქტების თანახმად შპს

„დ და გ ტექნოლოგი“-ს სატენდერო წინადადება მიუღებელია და აქედან გამომდინარე მისი დაშვება შესაფასებლად არ უნდა მოხდეს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე სატენდერო კომისიამ დაადგინა:

1. სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, №1, №2 და №3 ლოტებზე შპს „ბლექ სი გრუპი“-ს, შპს „ზიმო“-ს და ფირმა „ონური“-ს სატენდერო წინადადებები შესაძლებელია ჩაითვალოს მისაღებად და აქედან გამომდინარე მათი წინადადებები დაშვებული იქნას შესაფასებლად.

2. სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, №1 ლოტზე შპს „გზამშენი-4“ სატენდერო წინადადება შესაძლებელია ჩაითვალოს მისაღებად და აქედან გამომდინარე დაშვებული იქნას შესაფასებლად.

3. სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების მე-15 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად შპს „დ და გ ტექნოლოგი“-ს სატენდერო წინადადებები სამივე ლოტზე არ ჩაითვალოს მისაღებად და არ იქნას დაშვებული შესაფასებლად.

4. ეთხოვოს დეპარტამენტის სატენდერო კომისიას სატენდერო წინადადებების შეფასება მოახდინოს ორი დღის ვადაში.

რ. დალაქიშვილი

ი. ლითანიშვილი

გ. წერეთელი

ნ. გასვიანი

თ. გველესიანი

ა. თვალჭრელიძე

დ. კორახაშვილი

ჯ. შუბითიძე

შემსრულებელი გ. დიასამიძე

# დანართი №6

21.03.2006 N07-05/939

შ.პ.ს. "დ და გ ტექნოლოგი"

ქ. თბილისი, კავსაძის №4, ტელ: 53.22.37
ფაქსი: 53.22.39

ტენდერის შედეგის შესახებ
შეტყობინების გაგზავნა

პატივცემულო ბატონებო:

საავტომობილო გზების დეპარტამენტი მადლობას გიხდით სამ ლოტად (ლოტი-№1, ლოტი №2, ლოტი №3) დაყოფილი საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ.27-კმ.43 მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებულ საერთაშორისო ტენდერში მონაწილეობისთვის და გაცნობებთ, რომ სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით თქვენმა ორგანიზაციამ სამივე ლოტზე წარმოდგენილი სატენდერო წინადადებებით, ამჯერად ვერ გაიმარჯვა.

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი გამოხატავს რა თქვენდამი ღრმა პატივისცემას, გამოთქვამს იმედს და სურვილს, რომ ჩვენს შორის საქმიანი ურთიერთობები მომავალშიც გაგრძელდება.

წერილთან ერთად გიბრუნებთ თქვენს მიერ თითოეულ ლოტზე ცალ-ცალკე წარმოდგენილ სატენდერო წინადადებების 1% საბანკო გარანტიებს (საბანკო გარანტიები სამ ფურცელზე).

21.03.06.

პატივისცემით

ი. ლოსაბანიშვილი
თავმჯდომარის მოადგილე

**დანართი №7**

# შ.პ.ს „გ ზ ა მ შ ე ნ ი – 4"

"GZAMSHENI-4" Ltd
Rustavi highway №247
Tbilisi, 380065, Georgia
Tel/fax: (99532)751579
E-mail: gzamsheni_4@yahoo.com

ООО "ГЗАМШЕНИ-4"
Руставское шоссе №247
Тбилиси,380065, Грузия
Тел/Факс:(99532)75 15 79
Имеил:gzamsheni_4@yahoo.com

რუსთავის გზატკეცილი №247 თბილისი, 380065, საქართველო ტელ/ფაქსი: (995 32) 75 15 79.
ტელ: (995 32) 75 20 96 იმეილი: gzamsheni_4@yahoo.com website: www.roadcompany-gzamsheni4ltd.ge

№ 56 13 მარტი 2006

საავტომობილო გზების დეპარტამენტის
თავმჯდომარეს ბატონ რ. დალაქიშვილს

შ.პ.ს. „გზამშენი-4" გაცნობებთ, თავის მოსაზრებას დაწინადადებას საავტომობილო გზის თბილისი –სენაკი - ლესელიძის ჩატარებული ტენდერის შესახებ. რომელიც შეგვექმნა 10 მარტს დეპარტამენრში ტენდერში მონაწილე ორგანიზაციების მიერ წარდგენილი წინადადებების საჯარო განხილვის დროს.

როგორც თქვენთვის ცნობილია, ჩვენმა ორგანიზაციამ მონაწილეობა მიიღო ტენდერის ლოტი №1 გათამაშებაში. სადაც, მის მიერ წარდგენილმა წინადადებამ გაიმარჯვა, (პირობითად კომისიის დასკვნამდე, არც კომისიას არ ჰქონია ჩვენს მიმართ რაიმე სერიოზული შენიშვნები) სხვა წინადადებებთან შედარებით.

მაგრამ, გვინდა მოგახსენოთ, რომ ძალიან მოგვეწონა შ.პ.ს. „ზიმოს" წარმოდგენილი წინადადება ასფალტის საფარის, ბეტონის საფარით შეცვლის შესახებ, რომელიც არის მცდელობა ხისტ საფარიან საავტომობილო გზების მშენებლობაზე გადასვლის თაობაზე, რასაც ჩვენი სამსახურიც მხარს უჭერს სატენდერო კომისიის შ.პ.ს.„ზიმოს" მოწონების შემთხვევაში.

გთავაზობთ ჩვენს მოსაზრებას პირობითად ჩვენს მიერ გამარჯვებულ №1 ლოტზე ა/ბ საფარის ნაცვლად შ.პ.ს„ ზიმომ" მოაწყოს მხოლოდ ბეტონის საფარი, ხოლო №1 ლოტით გათვალისწინებულ ყველა სახის სამუშაოებს შეასრულებს შ.პ.ს.„გზამშენი-4".

შ.პ.ს.„გზამშენი-4"-ის
გენერალური დირექტორი რეზო ჩახვაშვილი

367
14 03 6

## დანართი №8

# შ.პ.ს „გ ზ ა მ შ ე ნ ი – 4"

"GZAMSHENI-4" Ltd
Rustavi highway №247
Tbilisi, 380065, Georgia
Tel/fax: (99532)751579
E-mail: gzamsheni_4@yahoo.com

ООО "ГЗАМШЕНИ-4"
Руставское шоссе №247
Тбилиси,380065, Грузия
Тел/Факс:(99532)75 15 79
Имеил:gzamsheni_4@yahoo.com

რუსთავის გზატკეცილი №247 თბილისი, 380065, საქართველო ტელ/ფაქსი: (995 32) 75 15 79.
ტელ: (995 32) 75 20 96 იმეილი: gzamsheni_4@yahoo.com website: www.roadcompany-gzamsheni4ltd.ge

№ 57 " 14 " მარტი 2006 წ.

14.03.06

საქ.საავტომობილო გზების
დეპარტამენტის თავჯდომარეს
ბატონ რ. დალაქიშვილს

როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა მ/წ. 14 მარტს შპს "გზამშენი-4"-მა გაიმარჯვა თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის რეკონსტრუქციის ტენდერში № 1 ლოტზე, ხოლო მე-2 და მე-3 ლოტებზე გაიმარჯვა შპს "ზიმომ", რომელმაც საგზაო სამოსის კონსტრუქცია წარმოადგინა ბეტონის საფარით, რომელსაც ჩვენს მხრივ მხარი დაუჭირეთ. ჩვენი მ/წ № 56 წერილით 13 მარტი.

მინდა განვმარტოთ შექმნილი ვითარება № 2 და № 3 ლოტზე იქნება ბეტონის საფარიანი კონსტრუქცია, ხოლო №1 ლოტზე ასფალტობეტონის სამოსის კონსტრუქცია, რომელიც შექმნილ მდგომარეობაში არ მიმაჩნია მართებულად. გზის საფარი სამივე ლოტზე უნდა იყოს ან ასფალტის ან ბეტონის საფარის.

იმის გათვალისწინებით , რომ ვთვლით სამივე ლოტზე უნდა იყოს ბეტონის საფარი ( რომლის შესრულებასაც ჩვენ ამ ეტაპზე მოკლებული ვართ) ხოლო შპს "ზიმოს" ქვემოიჯარადედ აყვანა არ მოხერხდება, რადგან ა/ბეტონის საფარზე ჩვენს მიერ წარდგენილი თანხობრივი მოცულობა ვერ აკმაყოფილებს ბეტონის საფარის მოწყობის ტოლფასობას, ამიტომ ვიღებთ გადაწყვეტილებას № 1 ლოტზე გამარჯვებულად არგამოაცხადოთ შპს "გზამშენი–4"

შ.პ.ს. „გზამშენი-4"-ის
გენერალური დირექტორი რეზო ჩახვაშვილი

372
14 . 03 . 6

## დანართი №9

| | |
|---|---|
| სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების საშუალება; | ორეტაპიანი ტენდერი |
| ტენდერი: | საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს/გზის კმ27-კმ43 სამ ლოტად მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოებზე შესყიდვა |

საავტომობილო გზების დეპარტამენტის
სატენდერო კომისიის სხდომის

ოქმი № 6

ქ. თბილისი 15.03.06წ.

*თემა:* საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს/გზის კმ27-კმ43 სამ ლოტად დაყოფილი მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებულ ორეტაპიან ტენდერში პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებების შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა.

***სხდომას ესწრებოდნენ:***

*სატენდერო კომისიის თავმჯდომარე :*

დეპარტამენტის თავმჯდომარე — რ. დალაქიშვილი

*სატენდერო კომისიის წევრები:*

თავმჯდომარის მოადგილე — ი. ლითანიშვილი
თავმჯდომარის მოადგილე — გ. წერეთელი

საავტომობილო გზების ტექნიკური პოლიტიკის სამმართველოს უფროსი — თ. გველესიანი
ეკონომიკისა და ფინანსების სამმართველოს უფროსი — ა. თვალჭრელიძე

იურიდიული, კადრებისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი — დ. კორახაშვილი

სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი — ჯ. შუბითიძე

საავტომობილო გზების ადმინისტრირების სამმართველოს უფროსი — ნ. გასვიანი

*მსვლელობა:*

დეპარტამენტის სატენდერო კომისიის 2006 წლის 11 მარტის (ოქმი№5) დადგენილების მე4 პუნქტით სატენდერო კომისიის წევრებს ეთხოვათ სატენდერო წინადადებების შეფასება მოეხდინათ ორი დღის ვადაში. შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფმა სამივე ლოტისათვის სატენდერო კომისიას წარუდგინა შეფასების საბოლოო შედეგები .

ინფორმაცია საკითხთან დაკავშირებით მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილებში:

ლოტი I თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს/გზის კმ30(0.7) - კმ37(0.6) მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოები

| იურიდიული პირის დასახელება | შემოთავაზებული ფასი | შემოთავაზებული ფასი არითმეტიკული შესწორების შემდეგ |
|---|---|---|
| შპს „ბლექსიგრუპი“ | 11 846 934.90 | 11 843 483.40 |
| შპს “გზამშენი-4“ (ძირითადი წინადადება) | 10 940 994.03 | არ დაფიქსირებულა |
| შპს “გზამშენი-4“ (ალტერნატიული წინადადება) | 9 531 096.33 | არ დაფიქსირებულა |
| შპს „ზიმო„ (ძირითადი წინადადება) | 12 210 473.09 | არ დაფიქსირებულა |
| შპს „ზიმო“ (ალტერნატიული წინადადება) | 12 210 473.09 | არ დაფიქსირებულა |
| შპს „ონური“ | 18 139 705.84 | არ დაფიქსირებულა |

ლოტი II თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს/გზის კმ37(0.4) - კმ43(0.6) მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოები

| იურიდიული პირის დასახელება | შემოთავაზებული ფასი | შემოთავაზებული ფასი არითმეტიკული შესწორების შემდეგ |
|---|---|---|
| შპს „ბლექსიგრუპი“ | 18 805 269.74 | არ დაფიქსირებულა |
| შპს „ზიმო„ (ძირითადი წინადადება) | 19 024 358.83 | არ დაფიქსირებულა |
| შპს „ზიმო“ (ალტერნატიული წინადადება) | 19 024 358.83 | არ დაფიქსირებულა |
| შპს „ონური“ | 18 185 392.72 | 19 256 910.88 |

ლოტი III თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს/გზის კმ27(0.6) - კმ30(0.3) მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოები

| იურიდიული პირის დასახელება | შემოთავაზებული ფასი | შემოთავაზებული ფასი არითმეტიკული შესწორების შემდეგ |
|---|---|---|
| შპს „ბლექსიგრუპი“ | 15 251 456.10 | 15 248 449.25 |
| შპს „ზიმო„ (ძირითადი წინადადება) | 15 897 365.49 | 15 897 743.09 |
| შპს „ზიმო“ (ალტერნატიული წინადადება) | 15 897 365.49 | 15 897 743.09 |
| შპს „ონური“ | 18 053 937.16 | 18 053 621.74 |

სატენდერო კომისიის ყველა წევრმა განახორციელა პრეტენდენტის სატენდერო წინადადებების ტექნიკური და ფინანსური ნაწილების შეფასება, რომლის შედეგები მოყვანილია ცხრილში.

| № | სატენდერო კომისიის წევრები | ლოტი I მინიჭებული ქულები | | | | | | ლოტი II მინიჭებული ქულები | | | | ლოტი III მინიჭებული ქულები | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | შპს „ბლექსიგრუპი“ | შპს „გზამშენი-4“ (ძირით. წინადად) | შპს „გზამშენი-4“ (ალტერ. წინადად) | შპს „ზიმო“ (ძირით. წინადად) | შპს „ზიმო“ (ალტერ. წინადად) | შპს „ონური“ | შპს „ბლექსიგრუპი | შპს „ზიმო“ (ძირით. წინადად) | შპს „ზიმო“ (ალტერ. წინადად) | შპს „ონური“ | შპს „ბლექსიგრუპი | შპს „ზიმო“ (ძირით. წინადად) | შპს „ზიმო“ (ალტერ. წინადად) |
| 1 | რ. დალაქიშვილი | 7.82 | 9.0375 | 9.895 | 8.46 | 8.355 | 5.955 | 9.22 | 9.916 | 9.860 | 9.12 | 9.22 | 9.72 | 9.615 |
| 2 | ი. ლითანიშვილი | 7.55 | 9.09 | 9.91 | 8.46 | 8.04 | 5.48 | 8.85 | 9.93 | 9.51 | 8.63 | 8.85 | 9.72 | 9.3 |
| 3 | გ. წერეთელი | 8.18 | 9.9 | 9.65 | 9.14 | 9.04 | 6.07 | 8.53 | 9.76 | 9.66 | 8.70 | 8.53 | 9.55 | 9.45 |
| 4 | ა. თვალჭრელიძე | 8.055 | 10.0 | 9.82 | 8.6 | 8.39 | 5.375 | 8.755 | 9.3 | 9.09 | 7.475 | 8.545 | 9.65 | 9.545 |
| 5 | ნ. გასვიანი | 7.783 | 9.09 | 9.595 | 8.355 | 8.055 | 5.175 | 9.025 | 9.811 | 9.511 | 8.474 | 8.71 | 9.713 | 9.413 |
| 6 | თ. გველესიანი | 7.40 | 9.0 | 9.64 | 8.38 | 8.47 | 5.66 | 8.77 | 9.54 | 9.63 | 7.89 | 8.77 | 9.74 | 9.83 |
| 7 | დ. კორახაშვილი | 7.25 | 9.3 | 10.0 | 8.6 | 8.285 | 5.69 | 7.25 | 8.6 | 8.285 | 6.39 | 8.65 | 9.3 | 8.985 |
| 8 | ჯ. შუბითიძე | 8.57 | 9.17 | 9.17 | 8.42 | 8.42 | 5.98 | 9.06 | 9.07 | 9.07 | 8.56 | 8.65 | 8.87 | 8.87 |
| | | 7.828 | 9.323 | 9.710 | 8.552 | 8.382 | 5.673 | 8.683 | 9.491 | 9.327 | 8.155 | 8.711 | 9.533 | 9.376 |

როგორც შეფასების ცხრილიდან ჩანს I ლოტში მაქსიმალური ქულები დააგროვა შპს „გზამშენი-4“ -ის, ალტერნატიულმა წინადადებამ.

აღნიშნული ალტერნატიული წინადადება განხილვისათვის და შესაბამისი დასკვნისა და რეკომენდაციისათვის გადაეცა პროექტის ავტორს - შპს „ტრანსპროექტს„ რომელმაც სათანადო შესწავლის შემდეგ, მიმდინარე წლის 9 მარტის №პრ01-09/26 წერილით გვაცნობა, რომ იგი არ ეთანხმება წარმოდგენილ ალტერნატიულ წინადადებას, (წერილი თან ახლავს) ვინაიდან წარმოდგენილი წინადადების მიხედვით პროექტით გათვალისწინებული საფუძვლის ქვედა ფენა ქვიშა-ღორღოვანი ნარევი, გამაგრებული ცემენტით (4%) მ-40, სისქით 20სმ და საფუძვლის ზედა ფენა მსხვილმარცვლოვანი, ფოროვან ღორღოვანი ასფალტბეტონის ცხელი ნარევი, სისქით 8სმ, შეცვლილია მჭლე ბეტონით მ-100, სისქით 20სმ და 2სმ სისქის ქვიშის ფენით. გზის სამოსის კონსტრუქციის ტიპიური პროექტით სერია 3.503-71/88 მიხედვით მჭლე ბეტონის მ-100 გამოყენება დასაშვებია ხისტ კონსტრუქციებში. უნდა აღინიშნოს, რა ფუნქციას ასრულებს საფუძვლის ქვედა ფენაში ქვიშის 2სმ ფენა გაურკვეველია. აგრეთვე წარმოდგენილი წინადადებით შემცირებულია ასფალტბეტონის საფარის ქვედა და ზედა ფენის სისქეები თითო სანტიმეტრით, პროექტით გათვალისწინებული 12(7+5)სმ-ის ნაცვლად 10(6+4)სმ. მთლიანად, აღნიშნული კონსტრუქცია არ აკმაყოფილებს როგორც ტექნიკურ მოთხოვნებს, ასევე ნორმატიული დატვირთვის პირობებს.

პკ28+34-ზე წარმოდგენილი გზაგამტარის ზემოთ აღნიშნული ტიპიური პროექტი დამუშავებულია ფოლადრკინაბეტონის უჭრი მალის ნაშენისათვის, სქემით 24+33+24მ, ლითონის უჭრი კოჭის სიმაღლით 1.2მ. ალტერნატიულ წინადადებაში მიღებული ჭრილი კოჭი 1.2მ სიმაღლის და 33.0მ სიგრძის მალის ნაშენი ვერ უზრუნველყოფს კოჭების ჩაღუნვების ნორმატიულ სიდიდეს. აღნიშნული გაიზრდება მინიმუმ 1.5-2.3მ. რაც არ დააკმაყოფილებს პროექტით გათვალისწინებული არსებული გზაგამტარის პირობებს. გარდა ამისა, აღნიშნულ მონაკვეთზე სხვადასხვა კონსტრუქციების აღრევა მიზანშეუწონელია. შესაბამისად იგი რეკომენდაციას ვერ აძლევს საფარის კონსტრუქციის შემოთავაზებულ ვერსიას.

მიხედავად იმისა, რომ სატენდერო კომისიის წევრთა ხმათა უმრავლესობით უპირატესობა მიენიჭა შპს „გზამშენი-4“-ის ალტერნატიულ წინადადებას, ზემოაღნიშნული დასკვნის გათვალისწინებით ხსენებული ალტერნატიული წინადადება ტექნიკური თვალსაზრისით მიუღებელია, აქედან გამომდინარე, სატენდერო კომისიის წევრთა შეფასებების საფუძველზე შეფასებულ ქულათა მიხედვით, მეორე ანუ შემდეგ საფეხურზე არსებული შპს „გზამშენი-4“-ის ძირითადი წინადადება ექვემდებარება გამარჯვებულად გამოცხადებას.

შპს „გზამშენი-4“-მა 2006 წლის 13 მარტის №56 წერილით სატენდერო კომისიას მიმართა და აცნობა, რომ ის მხარს უჭერს შპს „ზიმოს“ მიერ წარმოდგენილ ალტერნატიულ წინადადებას ასფალტის საფარის ბეტონის საფარით შეცვლის შესახებ და კომისიას სთავაზობს I ლოტზე შპს „ზიმომ“ ასფალტბეტონის საფარის ნაცვლად მოაწყოს ცემენტბეტონის საფარი.

აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ შპს „გზამშენი-4“ მ/წლის 14 მარტის №57 წერილით იტყობინება, გაეცნო რა, შპს „ზიმოს“ მიერ წარმოდგენილი ალტერნატიული წინადადების შინაარს (საფარის ცემენტობეტონის მოწყობის თაობაზე, რაც გახმოვანებული იქნა სატენდერო კომისიის და პრეტენდენტთა წარმოდგენილი წინადადებების დაზუსტებებისა და დაკონკრეტების მიზნით გამართულ შეხვედრაზე), იმ შემთხვევაში თუ სატენდერო კომისიის მიერ იქნება მიღებული გადაწყვეტილება მე-2 და მე-3 ლოტებში შპს „ზიმოს“ ალტერნატიული წინადადების მხარდასაჭერად ანუ საფარის ცემენტობეტონით მოწყობის იდეის სასარგებლოდ, ითვალისწინებს ცემენტობეტონით საფარის მოწყობის მთელ რიგ უპირატესობებს და ახალი ტექნოლოგიის დანერგვის საშუალებას საქართველოში, იგი მხარს უჭერს ალტერნატიულ წინადადებას და გვთხოვს, რომ ასეთ შემთხვევაში,

მას არ მიენიჭოს I ლოტზე გამარჯვება, ვინაიდან ტექნიკურად სრულიად გაუმართლებელი და შეუძლებელი იქნება სხვადასხვა ლოტებზე შესაბამისად გზის სხვადასხვა მონაკვეთზე განსხვავებული საფარების მოწყობა და ამასთანავე მის მიერ წარმოდგენილი ფასის მიხედვით იგი ვერ შეძლებს ცემენტობეტონიანი საფარის მოწყობას.

სატენდერო კომისიამ დადებითად შეაფასა შპს „გზამშენი-4"-ის პოზიცია და წმინდა პროფესიონალური სურვილი, რათა საქართველოს ისტორიაში პრაქტიკულად პირველად შესაძლებელი შეიქმნას ახალი ტექნოლოგიური მეთოდით, ახალი სპეციალური მოდიფიცირებული ტექნიკითა და ამ საქმეში მეტად გამოცდილი გერმანელი სპეციალისტების მეშვეობით ცემენტობეტონიანი საფარით გზის მშენებლობა, რომელიც მეტი მდგრადობითა და გამძლეობით გამოირჩევა.

ლოტი II-ის და ლოტი III -ის შეფასებიდან ჩანს, რომ მაქსიმალური ქულები დააგროვა შპს „ზიმო"-ს ძირითადმა წინადადებამ. აღინიშნა, რომ შპს „ზიმოს" ნამდვილად შესწევს უნარი შეასრულოს ასეთი მნიშვნელოვანი კონტრაქტი მეტად შემჭიდროებულ ვადებში, რაც მას განვლილ გამოცდილების ანალიზის გათვალისწინებით უკვე საქმით აქვს დადასტურებული.

აღინიშნა, რომ მე-2 და მე-3 ლოტებზე სატენდერო კომისიის წევრთა შეფასებები უპირატესობას აძლევს შპს „ზიმოს" ძირითად წინადადებებს, ამავე დროს ყურადღება გამახვილდა მისი ალტერნატიულ წინადადებაზე - გზის საფარის ცემენტობეტონით მოწყობის თაობაზე, რომელიც იმავე ღირებულებით არის წარმოდგენილი რაც ძირითადი წინადადების ფასია.

სატენდერო კომისიამ იმსჯელა ცემენტობეტონით გზის მოწყობის თაობაზე. აღინიშნა, რომ ცემენტობეტონით მოწყობილი გზის საფარი გამოირჩევა რიგი უპირატესობით, როგორიც არის მისი მდგრადობა, საექსპლოატაციო მედეგობის ხანგრძლივობა, რაც თავისთავად იწვევს სარემონტო ხარჯების მკვეთრ შემცირებას და უზრუნველყოფს გზის სატრანსპორტო-საექსპლოატაციო მაჩვენებლების მდგომარეობის მაღალ დონეს. ეს ძალზედ მნიშვნელოვანია თუ გავითვალისწინებთ, რომ გზის ეს მონაკვეთი გამოირჩევა ავტოტრანსპორტის ძალზედ დიდი (საქართველოს პირობებში ყველაზე მაღალი მაჩვენებლით) ინტენსივობით და მათ შორის განსაკუთრებით მძიმეწონიანი ტრანზიტული ტრანსპორტის სიმრავლით. მომავალში პროგნოზით მოსალოდნელია ინტესივობის კიდევ უფრო სწრაფი ზრდა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ასფალტობეტონის შეუცვლელი კომპონენტის-ბიტუმის ფასი სისტემატიურად მატულობს, შესაბამისად ძვირდება საგზაო სამუშაოების ღირებულებაც. უნდა აღინიშნოს ასევე, რომ ბიტუმი საქართველოში არ იწარმოება და 100%-ით ხდება მისი იმპორტი, რაც მისი ფასის რეგულირებას ჩვენი ქვეყნის პირობებში შეუძლებელს და უკონტროლოს ქმნის მაშინ, როდესაც საქართველო ძალზედ მდიდარია ცემენტისათვის საჭირო ნედლეულებითა და რესურსებით. მომავალში ცემენტის მოთხოვნილების ზრდა ბუნებრივად გამოიწვევს ახალ საწარმოთა მშენებლობას, არსებულის გადაიარაღებასა და გაფართოებას, ეს კი თავისთავად ქვეყნაში დასაქმებას შეუწყობს ხელს.

სატენდერო კომისიაზე აღინიშნა აგრეთვე ცემენტობეტონის გზის უარყოფითი მხარეც, როგორც არის მისი სიხისტის გათვალისწინებით შესაბამისი დატვირთვების შედეგად შესაძლო ბზარებისა და დეფორმაციების გაჩენის ალბათობა, რასაც აუცილებელია დაუპირისპირდეს ტექნოლოგიური პროცესების მკაცრი დაცვა და სამუშაოთა მაღალი საშემსრულებლო დისციპლინა.

აღინიშნა ასევე, რომ ცემენტობეტონიანი გზები უფრო შედარებით ხმაურიანია.

სატენდერო კომისიის წევრმა ბატონმა გიორგი წერეთელმა მოახსენა კომისიას, რომ აღნიშნული საკითხი განსილული იქნა დეპარტამენტის სამეცნიერო - ტექნიკურ საბჭოზე, განიხილა რა ტექნიკურმა საბჭომ ზემოაღნიშნული საკითხი,

იმსჯელა როგორც ასფალტბეტონის ასევე ცემენტობეტონის დადებით და უარყოფით მხარეებზე, იმის გათვალისწინებით, რომ ცემენტობეტონის საფარის მოწყობა მოხდება ახალი ტექნოლოგიური მეთოდით, ახალი მოდიფიცირებული ტექნიკითა და რაც ძალზედ მნიშვნელოვანია ამ საქმეში გამოცდილი გერმანელი სპეციალისტების მეშვეობით, ტექსაბჭომ მიიღო გადაწყვეტილება დადებითი რეკომენდაცია მიეცეს საცდელად მოწყობილი იქნას ცემენტობეტონიანი საფარის საავტომობილო გზის მონაკვეთი.

სატენდერო კომისიის მიერ აღინიშნა აგრეთვე, რომ შპს „ზიმო“ იძლევა ათ წლიან საბანკო გარანტიას, ცემენტობეტონის საფარზე შესაძლო დაზიანებებისა და დეფექტების გაჩენის შემთხვევაში, [illegible]

სატენდერო კომისიის სხდომაზე აზრი გამოთქვეს და დააფიქსირეს თავიანთი დადებითი განწყობა ცემენტობეტონიანი გზის მოწყობის შესახებ, სათათბირო ხმის უფლებით მოწვეულებმაც.

კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ დადგენილი სატენდერო კრიტერიუმებით ახალი ტექნოლოგიების დანერგვის შეფასება არ იყო გათვალისწინებული, ამიტომ კომისიის წევრებს არ ჰქონდათ საშუალება შეეფასებინათ ალტერნატიული წინადადების ტექნოლოგიური აქტუალობა, ამიტომ არსებული შეფასების საფუძველზე უპირატესობა მიენიჭა შპს „ზიმოს“ (II და III ლოტებზე) და შპს „გზამშენი-4“-ის ალტერნატიულ წინადადებას, თუმცა ტექნოლოგიის გათვალისწინებით კომისიის წევრები უპირატესობას ანიჭებენ შპს „ზიმოს“ ალტერნატიულ წინადადებას ცემენტობეტონის საფარის მოწყობის სახით.

სატენდერო კომისიამ მსჯელობისა და ანალიზის შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება:

1. სატენდერო კომისიის სხდომაზე აღნიშნული გარემოებებისა და შესაბამისი არგუმენტირებული მოსაზრებების საფუძველზე სათანადო საბანკო გარანტიების უზრუნველყოფისა და ასევე შპს „გზამშენი-4“-ის წინადადების გათვალისწინებით სამივე ლოტზე გამარჯვებულად გამოცხადდეს შპს „ზიმო“ ალტერნატიული წინადადებით.
2. ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში ჩამოყალიბდეს შესრულებულ სამუშაოთა ხარისხის და დროის ფაქტორის მკაცრი დაცვის (გარანტიების) პირობებით, სადაც გათვალისწინებული იქნას ყველა ის გარემოება რაც სატენდერო კომისიის სხდომაზე იქნა აღნიშნული და სატენდერო წინადადებას მოიცავს.
3. დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველომ, იურიდიულ სამმართველოსთან ერთობლივად მოამზადოს სათანადო დოკუმენტები ხელშეკრულების გასაფორმებლად.

რ. დალაქიშვილი

ი. ლითანიშვილი

გ. წერეთელი

თ. გველესიანი

დ. კორახაშვილი

ა. თყალთჭრელიძე

ნ. გასყიანი

ჯ. შუბითიძე

შემსრულებელი: ქ. გელაშვილი

## დანართი №10

| | |
|---|---|
| სახელმწიფო შესყიდვების განმახორციელებელი: | საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი |
| სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების საშუალება; | ორ ეტაპიანი ტენდერი |
| ტენდერი: | საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ.27(0.1)-კმ.43(0.6) მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის მეორე რიგის სამუშაოები; |

### საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სატენდერო კომისიის სხდომის

### ო ქ მ ი № 1

ქ. თბილისი 20.11.2006 წ.

თემა: საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ.27(0.1)-კმ.43(0.6) მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის მეორე რიგის სამუშაოების შესყიდვაზე გამოსაცხადებელი ორ ეტაპიანი ტენდერის სატენდერო განცხადების ტექსტისა და სატენდერო დოკუმენტაციის დამტკიცების შესახებ

სატენდერო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:
დეპარტამენტის თავმჯდომარე — რ. დალაქიშვილი

სატენდერო კომისიის წევრები:

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე — გ. წერეთელი
საავტომობილო გზების ტექნიკური პოლიტიკის სამმართველოს უფროსი — თ გველესიანი
საავტომობილო გზების ადმინისტრირების სამმართველოს უფროსი — ნ. გასვიანი
ეკონომიკისა და ფინანსების სამმართველოს უფროსი — ა. თეალჭრელიძე
იურიდიული, კადრების და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი — დ. კორახაშვილი

შესყიდვების სამმართველოს უფროსი — შ. ხალვაში

შენიშვნა: ამ დროისათვის სატენდერო კომისიის წევრი ბატონი ირაკლი ლითანიშვილი იმყოფებოდა შვებულებაში.

მსვლელობა: სატენდერო კომისიამ განიხილა საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ.27(0.1)-კმ.43(0.6) მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის მეორე რიგის სამუშაოების შესყიდვაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია და გაზეთში გამოსაქვეყნებლად მომზადებული განცხადების ტექსტი. აღინიშნა რომ სატენდერო განცხადების ტექსტი და სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების მოთხოვნების შესაბამისად.

სატენდერო კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს განცხადების ტექსტში აღნიშნულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და ყურადღება გაამახვილეს შემდეგ გარემოებაზე, რომ ტენდერში მონაწილე იურიდიული ან/და ფიზიკური პირებისთვის წინასაკვალიფიკაციო კონფერენცია შედგება თბილისში 2006 წლის 12 დეკემბერს დღის 15 საათზე, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკონფერენციო დარბაზში.

ვინაიდან, სამუშაოების სავარაუდო ღირებულება სცილდება 8 000 000 (რვა მილიონი) ლარს, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-12 მუხლის პირველი პუნქტის "ა" და "ბ" ქვეპუნქტების თანახმად, ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების ტექსტი გამოქვეყნდეს გაზეთ "24 საათში" ქართულ და ინგლისურ ენებზე, ასევე ინგლისურ ენაზე გაზეთ "24 საათის" ინგლისურენოვან გამოცემაში, რომელიც ურიგდებათ საქართველოში აკრედიტებულ უცხო ქვეყნების დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგენლობებს. ასევე დეპარტამენტმა ინფორმაცია სატენდერო პროცედურების დაწყების შესახებ აცნობოს საქართველოში აკრედიტებულ უცხო ქვეყნის საელჩოებს, განცხადების ტექსტის ინგლისური ვარიანტის დართვით და გამოქვეყნდეს თავის ვებ-გვერდზე (www.georoad.ge).

ტენდერში მიიღება მხოლოდ იურიდიული სტატუსის მქონე პირების განცხადებები.

ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურიდული ან/და ფიზიკური პირების სპეციალისტთა 50%-ს უნდა გააჩნდეს ანალოგიური სამუშაოს შესრულების არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება.

პრეტენდენტებმა რომლებიც დაიშვებიან მეორე ეტაპზე "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების მე-13 მუხლის პირველი პუნქტისა და მეორე პუნქტის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად უნდა წარმოადგინონ მაღალრეიტინგული ბანკის მიერ გაცემული სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება პრეტენდენტების სატენდერო წინადადებების 1% -ის ოდენობით.

სატენდერო კომისიის წევრებმა ასევე აღნიშნეს, რომ გამარჯვებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების დადებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, გაცემული მაღალრეიტინგული ბანკის მიერ. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5% ოდენობით.

ამას გარდა, ტენდერში მონაწილე უცხო ქვეყნის იურიდიული ან/და ფიზიკური პირი გამარჯვების შემთხვევაში ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებამდე დარეგისტრირდეს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 29-ე მუხლის მიხედვით განსაზღვრულ მუდმივ დაწესებულებად ან ამავე კოდექსის 26-ე მუხლის მიხედვით განსაზღვრულ საქართველოს საწარმოდ, რომელიც დაიბეგრება საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გადასახადებით.

ამის შემდეგ კომისიის წევრებმა განიხილეს სატენდერო დოკუმენტაცია.

აღინიშნა, რომ საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების თანახმად სატენდერო წინადადების შეფასების მეთოდიკა დამყარებულია ორ მაჩვენებელზე, მის ტექნიკურ და ფინანსურ ნაწილებზე, პრიორიტეტულობის კოეფიციენტების და დაგროვილი ქულების (მაქსიმალური ქულა -10) გამოყენებით. ობიექტებზე ტექნიკურ ნაწილს განესაზღვროს პრიორიტეტულობის კოეფიციენტი - 0,3, ხოლო ფინანსურს - 0.7, სულ ჯამური კოეფიციენტი შეადგენს 1.0. ტექნიკური ნაწილის შეფასებისათვის სატენდერო კომისიის წევრების მიერ შემოთავაზებული ქვეკრიტერიუმებია:

1. ა) პრეტენდენტის კონკრეტული გამოცდილება და ძირითადი მომსახურე პერსონალის გამოცდილება ———— 0.105 (35%)
2. ბ) შემოთავაზებული პროგრამა ———— 0.09 (30%)
3. გ) ტექნიკური აღჭურვილობა ———— 0.105 (35%)

კომისიამ იხელმძღვანელა რა საქართველოს კანონით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და დებულებით „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“, დაადგინა:

1. დამტკიცდეს საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ.27(0.1)-კმ.43(0.რ) მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის მეორე რიგის სამუშაოების შესყიდვაზე სატენდერო დოკუმენტაცია და ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების ტექსტი, სატენდერო კომისიის წევრების მიერ გამოთქმული წინადადებების გათვალისწინებით;

2. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად სამუშაოების შესყიდვა განხორციელდეს ორეტაპიანი ტენდერის საშუალებით;

3. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის "ა" და "ბ" ქვეპუნქტების თანახმად, ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების ტექსტი გამოქვეყნდეს გაზეთ „24 საათში“ ქართულ და ინგლისურ ენებზე, ასევე ინგლისურ ენაზე გაზეთ "24 საათის" ინგლისურენოვან გამოცემაში, რომელიც ურიგდებათ საქართველოში აკრედიტებულ უცხო ქვეყნების დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგენლობებს. ასევე დეპარტამენტმა ინფორმაცია სატენდერო პროცედურების დაწყების შესახებ აცნობოს საქართველოში აკრედიტებულ უცხო ქვეყნის საელჩოებს, განცხადების ტექსტის ინგლისური ვარიანტის დართვით და გამოქვეყნდეს თავის ვებ-გვერდზე (www.georoad.ge).

რ. დალაქიშვილი

გ. წერეთელი

ა. თვალჭრელიძე

ნ. გასვიანი

თ. გველესიანი

დ. კორახაშვილი

შ. სალუკვაშ

შემსრულებელი: კ. გუგეშაშვილი

## დანართი №11

| | |
|---|---|
| სახელმწიფო შესყიდვების განმახორციელებელი: | საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი |
| სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების საშუალება; | ორ ეტაპიანი ტენდერი |
| ტენდერი: | საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ.27(0.1)-კმ.43(0.6) მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის მეორე რიგის სამუშაოები; |

### საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სატენდერო კომისიის სხდომის

### ო ქ მ ი № 3

ქ .თბილისი 08.01.2007წ

თემა: საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ.27(0.1)-კმ.43(0.6) მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის მეორე რიგის სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებულ ორ ეტაპიან ტენდერში მონაწილე იურიდიული პირების მიერ დალუქული კონვერტებით წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების და პირველადი სატენდერო წინადადებების განხილვა.

სატენდერო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:
საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე — რ. დალაქიშვილი

სატენდერო კომისიის წევრები:

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე — ი. ლითანიშვილი

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე — გ. წერეთელი

საავტომობილო გზების ადმინისტრირების სამმართველოს უფროსი — ნ. გასვიანი

საავტომობილო გზების ტექნიკური პოლიტიკის სამმართველოს უფროსი — თ. გველესიანი

ეკონომიკისა და ფინანსების სამმართველოს უფროსი — ა. თვალჭრელიძე

შესყიდვების სამმართველოს უფროსი — შ. ხალვაში

შენიშვნა: ამ დროისათვის სატენდერო კომისიის წევრი ბატონი დავით კორახაშვილი იმყოფებოდა შვებულებაში.

მსვლელობა: აღინიშნა, რომ ტენდერში მონაწილე ორგანიზაციების შ.პ.ს. „კავკასუს როუდ პროჯექტის", შ.პ.ს. „კუტერ ენდ კომპანი KG", შ.პ.ს. „axios", კომპანია „ექსენ პროჟე, ინშაათ, ტურიზმ ვე თიჯაეთი", შ.პ.ს. „ზიმო" და კომპანია „ოზთაშ ინშაათ, ინშაათ. მაზემელერი თიჯარეთი"-ს მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები შესწავლილ იქნა სატენდერო კომისიის 2006 წლის 26 დეკემბრის №2 ოქმის საფუძველზე შექმნილი საექსპერტო ჯგუფის მიერ (შ. ხალვაში, ო. ხატიაშვილი, ბ. მინჯორაია, რ. ჩეჩელაშვილი, დ. ლომინაძე).

ტენდერში მონაწილეობის მსურველი ორგანიზაციების საკვალიფიკაციო მონაცემების და პირველადი სატენდერო წინადადებების ანალიზი და მის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები სატენდერო კომისიას განსახილველად წარუდგინა ექსპერტთა ჯგუფმა. ანალიზის შედეგად დადგინდა:

შ.პ.ს. „კავკასუს როუდ პროჯექტის" მიერ ქართულ და ინგლისურ ენაზე წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები შეესაბამება დეპარტამენტის მიერ სატენდერო განცხადებით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. წარმოდგენილი ცნობის თანახმად, ქვეკონტრაქტორად იწვევს „ჰეილიტ+ვოერხერ ბაუ გმბჰ" და „შტრაბაგ ინტერნეიშენლ გმბჰ"(ორივე გერმანული საგზაო კომპანია), რომელთა მეშვეობით გეგმავს ცემენტო-ბეტონის საფარის მოწყობას. აგრეთვე გამოყენებული იქნება მათი აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმები.

შ.პ.ს. „კუტერ ენდ კომპანი KG"-ის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების რიგი საკითხები საჭიროებს დაზუსტებას, კერძოდ: ზოგადი სახით არის წარმოდგენილი კომპანიის ანალოგიურ სამუშაოთა გამოცდილება, განსაკუთრებით ცემენტო-ბეტონის საფარის მოწყობის თაობაზე. არასრულყოფილი მონაცემებისა და თარგმანის გამო შეუძლებელია მანქანა-მექანიზმების სიმძლავრეების და ტექნიკური მონაცემების დადგენა, აგრეთვე ასფალტო და ცემენტო ბეტონის ქარხნების ადგილმდებარეობის შესახებ. წარმოდგენილი სპეციალისტების მონაცემები არ შეიცავს ინფორმაციას მათი კონკრეტული ბიოგრაფიული მონაცემების შესახებ. წარმოდგენილია ხელშეკრულება შპს „მუშტასთან", რომელიც იღებს ვალდებულებას დაუმზადოს მათ 100 000 კუბ.მ. ინერტული მასალები (ღორღი,ქვიშა), მაგრამ ხელშეკრულებაში არ ჩანს საჭირო ინერტული მასალების მოსაპოვებელი კარიერის კონკრეტული ადგილმდებარეობა.

შ.პ.ს. „axios"-ის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები არ შეესაბამება დეპარტამენტის მიერ სატენდერო განცხადებით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. წარმოდგენილი მანქანა-მექანიზმები აღებული აქვს ხელშეკრულების საფუძველზე იჯარის სახით ქ. სალონიკში რეგისტრირებული კომპანია „alte ate"-სგან. აღნიშნულ კომპანიას ეს მანქანა-მექანიზმები გააჩნია თუ არა ამის დამადასტურებელი დოკუმენტები არ არსებობს. არ არის წარმოდგენილი ფირმის სპეციალისტების და მათი ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილების შესახებ მონაცემები. არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია ფირმის უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში გაწეული ანალოგიური ხასიათისა და სირთულის სამუშაოების გამოცდილების შესახებ.

კომპანია „ექსენ პროჟე, ინშაათ, ტურიზმ ვე თიჯარეთი"-ის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების რიგი საკითხები საჭიროებს დაზუსტებას, კერძოდ: მკაფიოდ არ ჩანს კომპანიის ანალოგიურ სამუშაოთა გამოცდილება, განსაკუთრებით ცემენტო-ბეტონის საფარის მოწყობის თაობაზე, დასაზუსტებელია ინფორმაცია კომპანიის სპეციალისტების კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ, განცხადებაში ასახული მოთხოვნების შესაბამისად, ასევე დაზუსტებას მოითხოვს ინფორმაცია სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების, მათი ოდენობის, წარმადობისა და მდგომარეობის შესახებ. წარმოდგენილია წინსაწარი შეთანხმება შპს „ბლექ სი გრუპთან", რომელიც ტენდერში გამარჯვების შემთხვევაში იჯარით გადასცემს სოფ. მუხრანის ჩრდილო-დასავლეთით 2 კმ.-ში მდ. ქსნის მარჯვენა ტერასაზე ქვიშა-ხრეშის კარიერს ამასთან ერთად გადასცემს სოფ. აღაიანში მდებარე ასფალტო-ბეტონის და ცემენტო-ბეტონის ქარხნებს, უნდა აღინიშნოს, რომ შეთანხმებას ექსენის მხრიდან ხელს აწერს ა. მამუჩაძე, რომელიც არ არის შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი, შესაბამისად ეჭვს იწვევს შეთანხმების ნამდვილობა.

შ.პ.ს. „ზიმოს" მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების რიგი საკითხები საჭიროებს დაზუსტებას, კერძოდ: დასაზუსტებელია ინფორმაცია ცემენტო-ბეტონის საფარის დამგები კომპლექტის, ბეტონის პარაპეტების მოსაწყობი აგრეგატის და ცემენტო-ბეტონის ქარხნის შესახებ. სატენდერო წინადადებაში

აღნიშნულია, რომ ცემენტო-ბეტონის საფარის სამუშაოებს შეუსრულებს გერმანული კომპანია „heilit+woerner", მაგრამ არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ხელშეკრულება.

კომპანია „ოზთაშ ინშაათ, ინშაათ მაზემელერი თიჯარეთი"-ს მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების რიგი საკითხები საჭიროებს დაზუსტებას, კერძოდ: მკაფიოდ არ ჩანს კომპანიის ანალოგიურ სამუშაოთა გამოცდილება, განსაკუთრებით ცემენტო-ბეტონის საფარის მოწყობის თაობაზე, დასაზუსტებელია ინფორმაცია კომპანიის სპეციალისტების კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ, განცხადებაში ასახული მოთხოვნების შესაბამისად; დასაზუსტებელია ინფორმაცია სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ, მათი ოდენობის, წარმადობისა და მდგომარეობის შესახებ;

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე და საკვალიფიკაციო მონაცემების განხილვისა და შერჩევის პროცედურების სრულფასოვნად ჩატარების მიზნით სატენდერო კომისიამ დაადგინა:

1. დაევალოს დეპარტამენტის ექსპერტთა ჯგუფს (შ. ხალვაში, ო. ხატიაშვილი, ბ. მინჯორაია, რ.ჩეჩელაშვილი, დ. ლომინაძე) განმეორებით, დეტალურად გაანალიზოს საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ.27(0.1)-კმ.43(0.6) მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის მეორე რიგის სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებულ ორ ეტაპიან ტენდერში მონაწილე იურიდიული პირების მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად წინამდებარე ოქმში დაფიქსირებული შენიშვნების და წინადადებების გათვალისწინებით მოხდეს ტენდერში მონაწილე იურიდიული პირების მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების წერილობითი სახით დაზუსტება.

რ. დალაქიშვილი

ი. ლითანიშვილი

გ. წერეთელი

ნ. გასვიანი

ა. თეალჭრელიძე

თ. გველესიანი

შ. ხალვაში

შემსრულებელი კ. გუგეშაშვილი

## დანართი №12

| | |
|---|---|
| სახელმწიფო შესყიდვების განმახორციელებელი: | საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი |
| სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების საშუალება; | ორ ეტაპიანი ტენდერი |
| ტენდერი: | საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ.27(0.1)-კმ.43(0.6) მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის მეორე რიგის სამუშაოები; |

### საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სატენდერო კომისიის სხდომის

### ო ქ მ ი № 6

ქ .თბილისი 23.02.2007წ

თემა: საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ.27(0.1)-კმ.43(0.6) მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის მეორე რიგის სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებულ ორ ეტაპიანი ტენდერის მეორე ეტაპზე მონაწილე იურიდიული პირების მიერ დახურული კონვერტებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადებების გახსნა და ფასების დაფიქსირება.

სატენდერო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:
საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე — რ. დალაქიშვილი

სატენდერო კომისიის წევრები:

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე — ი. ლითანიშვილი

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე — გ. წერეთელი

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი — დ. კილაბერიძე
საავტომობილო გზების ადმინისტრირების სამმართველოს უფროსი — ნ. გასვიანი
საავტომობილო გზების ტექნიკური პოლიტიკის სამმართველოს უფროსი — თ. გველესიანი
ეკონომიკისა და ფინანსების სამმართველოს უფროსი — ა. თვალჭრელიძე
იურიდიული, კადრების და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი — დ. კორახაშვილი

შესყიდვების სამმართველოს უფროსი — შ. ხალვაში
სატენდერო კომისიის აპარატის წევრები:
გ. დიასამიძე, თ. ღუნაშვილი, კ. გუგეშაშვილი

სატენდერო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:
ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციიდან დამკვირვებლის სტატუსით
დავით ძოწენიძე

მონაწილე ორგანიზაციების წარმომადგენლები:

შ.პ.ს. „კავკასუს როუდ პროჯექტი"-დან პაატა ტრაპაიძე (დირექტორი) და თემურ ჯოხაძე; შ.პ.ს. „კუტერ ენდ კომპანი KG"-დან ონურ ერზენი (სერვის მენეჯერი) და მიხეილ სიჭინავა; კომპანია „ექსენ პროჟე, ინშაათ, თურიზმ ვე თიჯარეთი"-დან დათო ძველაია; შ.პ.ს. „ზიმო"-დან ზურაბ კიკნაძე (დირექტორი); კომპანია „ოზთაშ ინშაათ, ინშაათ მაზემელერი თიჯარეთი"-დან ვანო ცერცვაძე და ავთო სიჭინავა.

მსვლელობა: სატენდერო კომისიაზე აღინიშნა, რომ 2007 წლის 15 იანვრის №4 ოქმის საფუძველზე საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ.27(0.1)-კმ.43(0.6) მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის მეორე რიგის სამუშაოების ორ ეტაპიანი ტენდერის საშუალებით შესყიდვაზე დამტკიცდნენ პრეტენდენტებად და დაშვებულ იქნენ ტენდერის მეორე ეტაპზე: შ.პ.ს. „კავკასუს როუდ პროჯექტი", შ.პ.ს. „კუტერ ენდ კომპანი KG", კომპანია „ექსენ პროჟე, ინშაათ, ტურიზმ ვე თიჯარეთი", შ.პ.ს. „ზიმო" და კომპანია „ოზთაშ ინშაათ, ინშაათ მაზემელერი თიჯარეთი". შესაბამისად 17 იანვარს დაეგზავნათ შეტყობინების წერილები, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ფირმები მოწვეული იქნენ ტენდერის მეორე ეტაპზე მონაწილეობის მისაღებად.

სატენდერო მოსაკრებელი გადაიხადეს და შესაბამისად სატენდერო დოკუმენტაცია გადაეცა შემდეგ იურიდიულ პირებს: შ.პ.ს. „კავკასუს როუდ პროჯექტი", შ.პ.ს. „კუტერ ენდ კომპანი KG", კომპანია „ექსენ პროჟე, ინშაათ, თურიზმ ვე თიჯარეთი", შ.პ.ს. „ზიმო" და კომპანია „ოზთაშ ინშაათ, ინშაათ მაზემელერი თიჯარეთი".

2007 წლის 16 თებერვალს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა კონფერენცია, რომელიც ითვალისწინებდა საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ.27(0.1)-კმ.43(0.6) მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის მეორე რიგის სამუშაოების ორ ეტაპიანი ტენდერის მეორე ეტაპზე მონაწილე პრეტენდენტებისათვის პროექტისა და განსახორციელებელ სამუშაოებზე ინფორმაციის მიწოდებას, სპეციფიკაციების დაზუსტებას და პრეტენდენტთა შეკითხვებზე პასუხების გაცემას.

სატენდერო წინადადებების მიღების ბოლო ვადად, 2007 წლის 2 თებერვლის №5 ოქმით და №07-05/337 წერილით განსაზღვრული იყო 2007 წლის 23 თებერვლის 12 საათი. ამ დროისათვის დალუქული კონვერტებით საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები წარმოადგინეს შემდეგმა იურიდიულმა პირებმა: შ.პ.ს. „კავკასუს როუდ პროჯექტი", შ.პ.ს. „კუტერ ენდ კომპანი KG", კომპანია „ექსენ პროჟე, ინშაათ, ტურიზმ ვე თიჯარეთი", შ.პ.ს. „ზიმო" და კომპანია „ოზთაშ ინშაათ, ინშაათ მაზემელერი თიჯარეთი".

კონვერტების გახსნის შემდეგ დაფიქსირდა შემდეგი ფასები:

| № | პრეტენდენტის დასახელება | შემოთავაზებული ფასი (ლარი) | გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1% |
|---|---|---|---|
| 1 | შ.პ.ს. „კავკასუს როუდ პროჯექტი" | 38 378 594.76 | 384 000 |
| 2 | შ.პ.ს. „კუტერ ენდ კომპანი KG" | 38 025 000.00 | 262 000 |
| 3 | კომპანია „ექსენ პროჟე, ინშაათ, თურიზმ ვე თიჯარეთი" | 32 745 144.00 | 380 000 |
| 4 | შ.პ.ს. „ზიმო" | 34 791 252.32 | 375 000 |
| 5 | კომპანია „ოზთაშ ინშაათ, ინშაათ მაზემელერი თიჯარეთი" | 37 873 313.76 | 380 000 |

აღინიშნა, რომ შ.პ.ს. „კუტერ ენდ კომპანი KG"-ს არ ჰქონდა წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა. შ.პ.ს. „კუტერ ენდ კომპანი KG"-ის წარმომადგენელმა ონურ ერზენმა (სერვის მენეჯერი) სიტყვიერად განაცხადა, რომ ხარჯთაღრიცხვის წარმოდგენა ვერ მოესწრო მათ

მიერ. ამასთან აღნიშნა, რომ მათი სატენდერო წინადადებით შემოთავაზებულ ფასში (38 025 000.00 ლარი) გაანგარიშებულია როგორც დამატებული ღირებულების გადასახადი, ასევე გაუთვალისწინებელი ხარჯების, დროებითი შენობა-ნაგებობების და სხვა სარეზევო თანხები (1 750 000.00 ლარი).

სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით, ზემოთაღნიშნული ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების დეტალურად შესწავლისა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების მიზნით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარის მოადგილე ი. ლითანიშვილი (ჯგუფის უფროსი), საავტომობილო გზების ტექნიკური პოლიტიკის სამმართველოს უფროსის მოადგილე ო. ხატიაშვილი, საავტომობილო გზების განვითარებისა და განსახლების განყოფილების უფროსი ბ. მინჯორაია, სახელმწიფო შესყიდვებისა და ხელშეკრულებითი ურთიერთობების სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი დ. მარშავა, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი კ. გუგეშაშვილი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე სატენდერო კომისიამ დაადგინა:

1. დაევალოს ექსპერთა ჯგუფს (ი. ლითანიშვილი (ჯგუფის უფროსი), ო. ხატიაშვილი, ბ. მინჯორაია, დ. მარშავა, კ. გუგეშაშვილი) დეტალურად შეისწავლოს საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ.27(0.1)-კმ.43(0.6) მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის მეორე რიგის სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებულ ორ ეტაპიანი ტენდერის მეორე ეტაპზე მონაწილე იურიდიული პირების მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები, ჩაატაროს შესაბამისი ანალიზი და სათანადო რეკომენდაციებით წარუდგინოს სატენდერო კომისიას განსახილველად და პრეტენდენტების გამოსავლენად.

რ. დალაქიშვილი

ი. ლითანიშვილი

გ. წერეთელი

დ. კილაბერიძე

ნ. გასვიანი

ა. თვალჭრელიძე

თ. გვეტაძე

დ. კორახაშვილი

შ. ხაღვაში

შემსრულებელი კ. გუგეშაშვილი

## დანართი №13

| | |
|---|---|
| სახელმწიფო შესყიდვების განმახორციელებელი: | საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი |
| სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების საშუალება; | ორ ეტაპიანი ტენდერი |
| ტენდერი: | საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ.27(0.1)-კმ.43(0.6) მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის მეორე რიგის სამუშაოები; |

### საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სატენდერო კომისიის სხდომის

### ო ქ მ ი № 7

ქ .თბილისი 12.03.2007წ

თემა: საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ.27(0.1)-კმ.43(0.6) მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის მეორე რიგის სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებულ ორ ეტაპიან ტენდერში მონაწილე იურიდიული პირების მიერ დალუქული კონვერტებით წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადებების განხილვა.

სატენდერო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:
საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე — რ. დალაქიშვილი

სატენდერო კომისიის წევრები:

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე — ი. ლითანიშვილი

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე — გ. წერეთელი

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი — დ. კილაბერიძე
საავტომობილო გზების ადმინისტრირების სამმართველოს უფროსი — ნ. გასვიანი
საავტომობილო გზების ტექნიკური პოლიტიკის სამმართველოს უფროსი — თ. გველესიანი
ეკონომიკისა და ფინანსების სამმართველოს უფროსი — ა. თვალჭრელიძე
იურიდიული, კადრების და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი — დ. კორახაშვილი

შესყიდვების სამმართველოს უფროსი — შ. ხალვაში
სატენდერო კომისიის აპარატის წევრები:
გ. დიასამიძე, თ. ღუნაშვილი, კ. გუგეშაშვილი

სატენდერო კომისიის სხდომას ესწრებოდა დამკვირვებლის სტატუსით:
ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციიდან დავით ძოწენიძე

მსვლელობა: აღინიშნა, რომ ტენდერში მონაწილე ორგანიზაციების შ.პ.ს. „კავკასუს როუდ პროჯექტის", შ.პ.ს. „კუტერ ენდ კომპანი KG", კომპანია „ექსენ პროჟე, ინშაათ, თურიზმ ვე თიჯარეთი", შ.პ.ს. „ზიმო" და კომპანია „ოზთაშ ინშაათ, ინშაათ მაზემელერი თიჯარეთი"-ს მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო

მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები შესწავლილ იქნა სატენდერო კომისიის 2007 წლის 23 თებერვლის №6 ოქმის საფუძველზე შექმნილი საექსპერტო ჯგუფის მიერ (ი. ლითანიშვილი (ჯგუფის უფროსი), ო. ხატიაშვილი, ბ. მინჯორაია, დ. მარშავა, კ. გუგეშაშვილი).

ტენდერში მონაწილე ორგანიზაციების საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადებების ანალიზი და მის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები სატენდერო კომისიას განსახილველად წარუდგინა ექსპერტთა ჯგუფმა. ანალიზის შედეგად დადგინდა:

შ.პ.ს. „კავკასუს როუდ პროჯექტის" მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები შეესაბამება დეპარტამენტის მიერ სატენდერო დოკუმენტაციით და განცხადებით მოთხოვნილ პირობებს. წარმოდგენილი ცნობის თანახმად, ქვეკონტრაქტორად იწვევს „ჰეილიტ+ვოერნერ ბაუ გმბჰ" და „შტრაბაგ ინტერნეიშნლ გმბჰ"(ორივე გერმანული საგზაო კომპანია), რომელთა მეშვეობით გეგმავს ცემენტო-ბეტონის საფარის მოწყობას. აგრეთვე გამოყენებული იქნება მათი აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმები.

შ.პ.ს. „კუტერ ენდ კომპანი KG"-ის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების განხილვისას გამოიკვეთა რომ აღნიშნულ ფირმას არ ქონდა წარმოდგენილი სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის 1%-იანი საბანკო გარანტია სატენდერო დოკუმენტაციით და, განცხადებით მოთხოვნილი ფორმით. წარმოდგენილი საბანკო გარანტია „შპარკასე მემინგენ-ლინდაუ-მინდელჰაიმი"-ს მიერ გაცემული თავისი შინაარსით წარმოადგენს არა სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის 1%-იან საბანკო გარანტიას, არამედ ბანკი გაცემული გარანტიით იღებს ვალდებულებას, რომ მხოლოდ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში წარმოადგენს პროექტის ღირებულების 1%-ს. შ.პ.ს. „კუტერ ენდ კომპანი KG"-ამ მოიწერა წერილი (06.03.07. №415), სადაც აღნიშნავდა რომ გაიპარა უზუსტობა ქართულ თარგმანში და წარმოადგინეს ქართულ ენაზე ნათარგმნი შესწორებული ვარიანტი, რომლის მიხედვითაც ბანკი საბანკო გარანტიას პრეტენდენტს გასცემდა ტენდერში მონაწილეობისათვის. ამასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა ბანკის მიერ გაცემული გარანტიის თარგმანი, მოხდა მისი ხელახალი თარგმნა, რომელიც დამოწმებულია ნოტარიუსის მარინა ჟორდანიას მიერ, რომლის მიხედვითაც თუ შ.პ.ს. „კუტერ ენდ კომპანი KG" გაიმარჯვებს და მიიღებს შეკვეთას, ბანკი 1%-ს (262 000 USD) თავდებობით გადასცემს შემკვეთს. ამასთან აღინიშნა, რომ შ.პ.ს. „კუტერ ენდ კომპანი KG"-ის მიერ წარმოდგენილ დალუქულ კონვერტში არ იყო პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა, რომელიც მოგვიანებით 28 თებერვალს წერილი №363 წარმოადგინეს.

კომპანია „ექსენ პროჟე, ინშაათ, ტურიზმ ვე თიჯარეთი"-ის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები შეესაბამება დეპარტამენტის მიერ სატენდერო დოკუმენტაციით და განცხადებით მოთხოვნილ პირობებს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოხდა რიგი საკითხების წერილობითი სახით დაზუსტება. კომპანია „ექსენ პროჟე, ინშაათ, ტურიზმ ვე თიჯარეთი"-ს განცხადებით ცემენტო-ბეტონის ქარხანა მზადაა ქ. ტრაპიზონის, არაკლის რაიონში და წარმოების დაწყებიდან 15 დღეში შეეძლებათ ექსპლოატაციაში გაშვება. მათი განცხადებითვე ტექნიკა მზადაა თურქეთში და ხელშეკრულებაზე ხელის მოწერიდან 30-45 დღის განმავლობაში იქნება სამუშაოს შესრულების ადგილზე მობილიზებული. ცემენტო-ბეტონის სამუშაოებს შეუსრულებს შპს „ონურ ინშაათ ვე თიჯარეთი", რომლის ბეტონის საფარის მოწყობის შესრულებული სამუშაოების ჯამური ფართი აღემატება 300 000 მ²-ს. შპს „77 ინშაათ ვე თააჰუთი" გამარჯვების შემთხვევაში დაუმზადებს კოჭებს და შეუსრულებთ სამონტაჟო სამუშაოებს.

შ.პ.ს. „ზიმოს" მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები შეესაბამება დეპარტამენტის მიერ სატენდერო დოკუმენტაციით და განცხადებით მოთხოვნილ პირობებს. ცემენტო-ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოებს შეუსრულებს გერმანული კომპანია „heilit+woerner", ამასთან დამატებით წარმოდგენილია ხელშეკრულებები გერმანულ კომპანია "PAPENBURG"-

თან და თურქულ კომპანია "CENGIZ"-თან რომლებიც მზად არიან გამარჯვების შემთხვევაში შეუსრულონ ცემენტო-ბეტონის მოწყობის სამუშაოები. წარმოდგენილია ხელშეკრულება კომპანია "LINTEC"-სთან რომელიც დაუმონტაჟებს მაისის თვეში ცემენტობეტონის ქარხანას.

კომპანია „ოზთაშ ინშაათ, ინშაათ მაზემელერი თიჯარეთი"-ს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები შეესაბამება დეპარტამენტის მიერ სატენდერო დოკუმენტაციით და განცხადებით მოთხოვნილ პირობებს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოხდა რიგი საკითხების წერილობითი სახით დაზუსტება. კომპანია „ოზთაშ ინშაათ, ინშაათ მაზემელერი თიჯარეთი"-ს განცხადებით ცემენტო-ბეტონის ქარხანა მზადაა ქ. ტრაპიზონის, არაკლის რაიონში და წარმოების დაწყებიდან 15 დღეში შეეძლებათ ექსპლოატაციაში გაშვება. მათი განცხადებითვე ტექნიკა მზადაა თურქეთში და ხელშეკრულებაზე ხელის მოწერიდან 30-45 დღის განმავლობაში იქნება სამუშაოს შესრულების ადგილზე მობილიზებული. ცემენტო-ბეტონის სამუშაოებს შეუსრულებს შპს „ონურ ინშაათ ვე თიჯარეთი", რომლის ბეტონის საფარის მოწყობის შესრულებული სამუშაოების ჯამური ფართი აღემატება 300 000 მ²-ს. შპს „77 ინშაათ ვე თიჯარეთი" გამარჯვების შემთხვევაში დაუმზადებს კოჭებს და შეუსრულებთ სამონტაჟო სამუშაოებს.

სატენდერო კომისიის წევრებმა ასევე მოისმინეს პრეტენდენტების მიერ შემოთავაზებული სატენდერო წინადადებების ფინანსური ნაწილის ანალიზი. (პრეტენდენტების სატენდერო წინადადებების ფინანსური ნაწილის ანალიზი ოქმს თან ერთვის.)

ანალიზის შედეგად გამოვლინდა:

– შ.პ.ს. „კავკასუს როუდ პროჯექტის" მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებით შემოთავაზებული ფასი შეადგენს 38 378 594.76 ლარს, არითმეტიკული შესწორების შემდეგ შეადგინა 38 397 069.71 ლარი, რაც 2 739 259.71 (7.6%) ლარით აღემატება სავარაუდო ღირებულებას.

– შ.პ.ს. „კუტერ ენდ კომპანი KG"-ის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებით შემოთავაზებული ფასი შეადგენს 38 025 000.00 ლარს, რაც 2 367 190.00 (6.6%) ლარით აღემატება სავარაუდო ღირებულებას.

– კომპანია „ექსენ პროჟე, ინშაათ, თურიზმ ვე თიჯარეთი"-ის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებით შემოთავაზებული ფასი შეადგენს 32 745 144.00 ლარს, არითმეტიკული შესწორების შემდეგ შეადგინა 31 992 446.77 ლარი, რაც 3 665 363 .23 (10.2%) ლარით ნაკლებია სავარაუდო ღირებულებაზე. აღნიშნული არითმეტიკული შესწორების შემდეგ კომპანია „ექსენ პროჟე, ინშაათ, თურიზმ ვე თიჯარეთი"-ის მიერ სატენდერო წინადადებით შემოთავაზებული ღირებულება შემცირდა 752 697.23 ლარით, ამასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ წერილობით (01.03.07 №07-05/683) ეცნობა კომპანია „ექსენ პროჟე, ინშაათ, თურიზმ ვე თიჯარეთი"-ს და შესაბამისად მათი მხრიდან მოვიდა წერილი (12.03.07 №453), რომლითაც დაეთანხმნენ აღნიშნულ არითმეტიკულ შესწორებას და გამოთქვეს მზადყოფნა გამარჯვების შემთხვევაში კორექტირებულ ფასად (31 992 446.77 ლარი) სამუშაოების შესრულებაზე.

– შ.პ.ს. „ზიმოს" მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებით შემოთავაზებული ფასი შეადგენს 34 791 252.32 ლარს, არითმეტიკული შესწორების შემდეგ შეადგინა 34 473 350.34 ლარი, რაც 1 184 459.66 (3.3%) ლარით ნაკლებია სავარაუდო ღირებულებაზე. აღნიშნული არითმეტიკული შესწორების შემდეგ შ.პ.ს. „ზიმოს" მიერ სატენდერო წინადადებით შემოთავაზებული ღირებულება შემცირდა 317 901.98 ლარით, ამასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ წერილობით (01.03.07 №07-05/685) ეცნობა შ.პ.ს. „ზიმოს" და შესაბამისად მათი მხრიდან მოვიდა წერილი (05.03.07 №362), რომლითაც დაეთანხმნენ აღნიშნულ არითმეტიკულ შესწორებას და გამოთქვეს მზადყოფნა გამარჯვების შემთხვევაში კორექტირებულ ფასად (34 473 350.34 ლარი) სამუშაოების შესრულებაზე.

– კომპანია „ოზთაშ ინშაათ, ინშაათ მაზემელერი თიჯარეთი"-ს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებით შემოთავაზებული ფასი შეადგენს 37 873 313.76 ლარს, არითმეტიკული შესწორების შემდეგ შეადგინა 37 873 627.64 ლარი, რაც 2 215 817.64 (6.2%) ლარით აღემატება სავარაუდო ღირებულებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფმა შ.პ.ს. „კუტერ ენდ კომპანი KG"-ის გარდა ყველა იურიდიულ პირს მისცა რეკომენდაცია შეფასებაზე დასაშვებად (ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები ოქმს თან ერთვის).

სატენდერო კომისიამ დაადგინა:

1) "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ.27(0.1)-კმ.43(0.6) მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის მეორე რიგის სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებულ ორ ეტაპიანი ტენდერის მეორე ეტაპზე შ.პ.ს. „კავკასუს როუდ პროჯექტის", კომპანია „ექსენ პროუე, ინშაათ, თურიზმ ვე თიჯარეთის", შ.პ.ს. „ზიმოს" და კომპანია „ოზთაშ ინშაათ, ინშაათ მაზემელერი თიჯარეთი"-ს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები ჩაითვალოს მისაღებად და დაშვებულ იქნას შეფასებაზე.

2) "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების მე-13 მუხლის მე-6 პუნქტის და მე-15 მუხლის მე-6 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის თანახმად, შ.პ.ს. „კუტერ ენდ კომპანი KG"-ის სატენდერო წინადადება არ ჩაითვალოს მისაღებად და არ იქნას დაშვებული შესაფასებლად.

3) დაევალოს დეპარტამენტის სატენდერო კომისიის წევრებს საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ " მე-15 მუხლის მე-6 პუნქტის და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად მოახდინონ შ.პ.ს. „კავკასუს როუდ პროჯექტის", კომპანია „ექსენ პროუე, ინშაათ, თურიზმ ვე თიჯარეთის", შ.პ.ს. „ზიმოს" და კომპანია „ოზთაშ ინშაათ, ინშაათ მაზემელერი თიჯარეთი"-ს სატენდერო წინადადებების შეფასება ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით.

რ. დალაქიშვილი

ი. ლითანიშვილი

გ. წერეთელი

დ. კილაბერიძე

ნ. გასვიანი

ა. თეალჭრელიძე

თ. გველესიანი

დ. კორახაშვილი

შ. ხალვაში

შემსრულებელი კ. გუგეშაშვილი

# დანართი №14

| | |
|---|---|
| სახელმწიფო შესყიდვების განმახორციელებელი: | საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი |
| სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების საშუალება; | ორ ეტაპიანი ტენდერი |
| ტენდერი: | საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ.27(0.1)-კმ.43(0.6) მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის მეორე რიგის სამუშაოები; |

## საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სატენდერო კომისიის სხდომის

## ო ქ მ ი № 8

თბილისი 13.03.2007წ

თემა: საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ.27(0.1)-კმ.43(0.6) მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის მეორე რიგის სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებულ ორ ეტაპიან ტენდერში პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებების შეფასების შედეგად გამარჯვებულის გამოვლენა.

სატენდერო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

| | |
|---|---|
| სატენდერო კომისიის თავმჯდომარე საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე | რ. დალაქიშვილი |
| სატენდერო კომისიის წევრები: | |
| თავმჯდომარის მოადგილე | ი. ლითანიშვილი |
| თავმჯდომარის მოადგილე | გ. წერეთელი |
| საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი | დ. კილაბერიძე |
| საავტომობილო გზების ადმინისტრირების სამმართველოს უფროსი | ნ. გასვიანი |
| საავტომობილო გზების ტექნიკური პოლიტიკის სამმართველოს უფროსი | თ. გველესიანი |
| ეკონომიკისა და ფინანსების სამმართველოს უფროსი | ა. თვალჭრელიძე |
| იურიდიული, კადრების და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი | დ. კორახაშვილი |
| შესყიდვების სამმართველოს უფროსი | შ. ხალვაში |

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები:
გ. დიასამიძე, თ. ღუნაშვილი, კ. გუგეშაშვილი

მსჯელობა: საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ.27(0.1)-კმ.43(0.6) მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის მეორე რიგის სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებულ ორ ეტაპიან ტენდერში პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებების შეფასებების შედეგები კომისიის წევრებს გააცნო სახელმწიფო შესყიდვების. სამმართველოს მთავარმა სპეციალისტმა კ. გუგეშაშვილმა.

კომისიის წევრების მიერ გაკეთებული შეფასებები ქვემოთ არის მოყვანილი

| № | სატენდერო კომისიის თავმჯდომარე და კომისიის წევრები | პრეტენდენტები | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | შ.პ.ს. „კავკასუს როუდ პროჯექტი" | შ.პ.ს. „ზიმო" | სს „ექსენ პროჟე, ინშაათ, თურიზმ ვე თიჯარეთი" | სს „ოზთაშ ინშაათ, ინშაათ მაზემელერი თიჯარეთი" |
| 1 | რ. დალაქიშვილი | 8.51 | 9.21 | 9.7 | 8.58 |
| 2 | ი. ლითანიშვილი | 8.38 | 8.97 | 9.4 | 8.28 |
| 3 | გ. წერეთელი | 8.42 | 9.17 | 9.49 | 8.42 |
| 4 | დ. კილაბერიძე | 8.51 | 9.21 | 9.7 | 8.58 |
| 5 | ნ. გასვიანი | 8.7025 | 9.385 | 9.6475 | 8.6675 |
| 6 | ა. თვალჭრელიძე | 6.35 | 9.0 | 9.415 | 6.525 |
| 7 | თ. გველესიანი | 8.45 | 9.48 | 9.685 | 8.62 |
| 8 | დ. კორახაშვილი | 8.1 | 8.9 | 9.4 | 8.0 |
| 9 | შ. ხალვაში | 8.53 | 9.2 | 9.4 | 8.32 |

აღნიშნულიდან გამომდინარე სატენდერო კომისიამ დაადგინა:

1) საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ.27(0.1)-კმ.43(0.6) მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის მეორე რიგის სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებულ ორ ეტაპიან ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდეს კომპანია „ექსენ პროჟე, ინშაათ, ტურიზმ ვე თიჯარეთი" სახელშეკრულებო ღირებულებით 31 992 446.77 ლარი.

2) დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების მე-16 მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად აცნობოს ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს კომისიის გადაწყვეტილება, ხოლო ტენდერში გამარჯვებულთან კომპანია „ექსენ პროჟე, ინშაათ, ტურიზმ ვე თიჯარეთი" -სთან ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდგომ დაიდოს ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

3) დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს მოამზადოს სათანადო დოკუმენტები გამარჯვებულ ორგანიზაციასთან ხელშეკრულების გასაფორმებლად.

რ. დალაქიშვილი

ი. ლითანიშვილი

გ. წერეთელი

დ. კილაბერიძე

ა. თვალჭრელიძე

ნ. გასვიანი

თ. გველესიანი

დ. კორახაშვილი

შ. ხალვაში

შემსრულებელი: კ. გუგეშაშვილი